

ვეფხისტყავე ურ ვერსუბიგის

გერმანული
გროტესკის
მცირე
ანთოლოგია



ნიგნში შესულია გერმანულიდან თარგმნილი ნოველები, რომელთა ავტორები (ჰერმან ჰესე, ერის კესტნერი, ზიგფრიდ ლენცი, ჰაინრიხ ბიოლი, პეტერ ბიქსელი, ვალტერ ქაუერი) სახალისო (გროტესკული) მანერით მოგვითხრობენ უცნაურ პერსონაჟთა უცნაურ თავგადასავლებს.

თემატიკა კი ამ ნაწარმოებებისა უაღრესად სერიოზული და აქტუალურია: ომისა და მშვიდობის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთდამოკიდებულების, ნიგნიერებისა და უნიგნურობის, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობის, შრომასთან, ბედნიერებასთან, ადამიანის თავისუფლებასთან დაკავშირებული საჭირბოროტო საკითხებისა და პრობლემების მაღალმხატვრული დამუშავებით იპყრობს ჩვენს ყურადღებას ეს თხზულებები.

რედაქტორი
როსტომ ჩხეიძე

დიზაინერი
კარლო ფაჩულია

ISBN 978-9941-0-1477-2

© ლევან ბრეგაძე, 2009

მკითხველისადმი

ამ კრებულში შესულ ნაწარმოებებს სამი რამ აერთიანებს. ერთი ის, რომ ყველა გერმანულიდან არის ნათარგმნი, ყველა მათგანის ორიგინალი გერმანულ ენაზეა შეთხზული გასულ XX საუკუნეში.

მეორე საერთო ისაა აქვთ, რომ ყველა ეს მოთხრობა და ნოველა გროტესკული მანერით არის დანერილი, ლიტერატურული გროტესკია.

და მესამე — სამი მთარგმნელის მიერ შესრულებული ეს თარგმანები ერთი მთარგმნელობითი სახელოსნოდან, ოჯახური მთარგმნელობითი სახელოსნოდან არის გამოსული და ერთიან მეთოდუკას ემყარება, რომლის მიზანია შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნეს გადმოტანილი ქართულად ორიგინალის მთელი რელევანტური (არსებითი მნიშვნელობის მქონე) ინფორმაცია, მათ შორის ისიც, რომელიც ნაწარმოების ე. წ. ფორმალურ დონეებზეა წარმოდგენილი.

ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ გროტესკის თაობაზე. გროტესკი, გროტესკული მანერით შექმნილი ნაწარმოები (ისევე როგორც ზღაპარი) სინამდვილეს უცნაურად, „არარეალისტურად“ წარმოგვიდგენს, მასში ისეთი ამბები ხდება, რომლებიც სინამდვილეში შეუძლებელია მოხდეს. წერის (და აზროვნების!) ეს მანერა ხალხურ შემოქმედთა საყვარელი მანერაა. მკითხველს ვთხოვთ, გროტესკზე, წერის გრო-

ტესკულ მანერაზე წარმოდგენის შესაქმნელად გაიხსენოს ქართული ანდაზები: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიენევაო“, „თუ კაცს ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებაო“, „ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის — კაკალიც არაო“, „უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო“ — ეს და სხვა ამათი მსგავსი ულტრამინიატურული გროტესკები არამიმეტური ხატოვანი აზროვნების შედეგებია. ამავე მანერით არის შესრულებული ამ კრებულში შესული მოთხრობები და ნოველები, რის გამოც ისინი ძალიან სახალისო საკითხავია.

რა მიზანს ისახავს მწერალი, როცა სინამდვილეს ასე უცნაურად (დეფორმირებულად) წარმოსახავს? ჩვენი პასუხი ამაზე ასეთია: რასაც ზემოთ ციტირებულ ანდაზათა ავტორები — მოვლენათა არსის მკაფიოდ წარმოჩენას.

ამრიგად, თქვენ წინაშეა გერმანული გროტესკის მცირე ანთოლოგია, წიგნი სახალისოც და ბრძნულიც ერთსა და იმავე დროს. მისი უცნაური (ზოგჯერ ახირებულიც კი!) პერსონაჟები მოუთმენლად ელიან თქვენთან შეხვედრას.

მთარგმნელები



ჰერმან ჰესე

ევროპელი

ბოლოს და ბოლოს ღმერთმა მოწყალემა მოიღო და სისხლიანი ომებით თავმოებეზრებულ მსოფლიოს თვითონ მოუღო ბოლო — დედამინაზე დიდი ნარღვნა მოავლინა. ღვარცოფმა წაღეკა, რაც ბებერ პლანეტას ბილწავდა: სისხლიანი თოვლის მინდვრები, ზარბაზნებით მოფენილი მთები, გახრწნილი გვამები, რომელთაც ისინიც მიაყოლა, ვინც მათ დასტიროდა; აღშფოთებულნი და სისხლმონყურებულნი, გაღატაკებულნი, დამშეულნი, ჭკუიდან შეშლილნი — ერთიანად წაღეკა ღვარცოფმა.

აღერსიანად დაჰყურებდა ლურჯი ცამრგვალი გლუვ ბურთს ზემოდან.

თუმცა, უნდა ითქვას, ევროპულმა ტექნიკამ ბოლომდე ისახელა თავი. რამდენიმე კვირას ევროპა მედგრად ებრძოდა აზვირთებულ წყალს. ჯერ უშველებელი ჯებირებით, რომლებსაც მილიონობით ტყვე დღე და ღამე აშენებდა; მერე ხელოვნური ბორცვებით, ზღაპრული სისწრაფით რომ მიიწევდნენ ზევით და თავიდან უზარმაზარ ტერასებს წაგავდნენ, შემდეგ კი, თანდათან, კოშკის ფორმას ღებულობდნენ. ამ კოშკებიდან ადამიანთა გმირულმა სულმა გულის ამაჩუყებელი ერთგულებით იღვანა

უკანასკნელ დღემდე. როცა ევროპა და მთელი მსოფლიო ჩაიძირა და ჩაიხრჩო, წყალზემოთ ამოჩრილი უკანასკნელი რკინის კოშკებიდან ჯერ კიდევ სერავდა პროექტორების ჩახჩახა შუქი დასალუპავად განწირული დედამიწის ნოტიო ბინდბუნდს და ზარბაზნის ჭურვები ზუზუნით ხაზავდნენ მომხიბლავ ტრაექტორიებს. დასასრულამდე ორი დღით ადრე მოკავშირეთა სარდლებმა გადანყვიტეს სინათლის სიგნალით ზავი შეეთავაზებინათ მტრისთვის. მტერმა კოშკების დაუყოვნებელი დაცარიელება მოითხოვა, რაზედაც მშვიდობის ყველაზე თავგამოდებულმა მომხრეებმაც კი უარი თქვეს, ასე რომ, ბოლო წუთამდე გმირულად აგრძელებდნენ სროლას.

მთელი ქვეყანა წყალმა დაფარა. ერთადერთი გადარჩენილი ევროპელი მაშველი რგოლით მიცურავდა, უკანასკნელი ძალ-ღონე მოეკრიბა და ბოლო დღეების მოვლენებს იწერდა, რათა მომავალ კაცობრიობას შეეტყო, რომ მისმა სამშობლომ მტრებისაზე რამდენიმე საათით მეტ ხანს იარსება და სამუდამოდ გაინაღდა გამარჯვების პალმა.

ამ დროს რუხ ჰორიზონტზე შავი ვეებერთელა მოუქნელი მცურავი საგანი გამოჩნდა, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდებოდა ქანცგანყვეტილ ევროპელს. გაიხარა, როცა უზარმაზარი კიდობანი შეიცნო, და ვიდრე გონებას დაკარგავდა, მცურავი სახლის ქიმთან მდგარი წარმოსადეგი, ღრმად მოხუცებული, ვერცხლისფერწვერაფრიალებული პატრიარქი შენიშნა. გოლიათური აღნაგობის ზანგმა ამოათრია წყლიდან ცოცხალ-მკვდარი წყალწაღებული, რომელიც მალე მოეგო გონს. პატრიარქმა ალერსიანად გაიღიმა. აღსრულდა მისი სანადელი — დედამი-

ნელ სულიერთა ყველა სახეობის თითო წარმომადგენელი გადარჩა.

სანამ კიდობანი წყლის დაკლების მილოდინში წყნარად მიჰქონდა ქარს, გემბანზე ხალისიანი ცხოვრება გაჩაღდა. დიდი თევზები ქარავნებად მისდევდნენ კიდობანს; ჭრელი, ოცნებისეული საჰაერო ესკადრასავით ირეოდნენ ჩიტები და მწერები გადახსნილი სახურავის ზემოთ. ყოველი ჯურის ცხოველი და ადამიანი ხარობდა, რომ გადარჩა და ნინ ახალი ცხოვრება ელოდა. დილაობით წყალზე მწივანა ხმით გაჰკიოდა ჭრელი ფარშევანგი; გახარებული სპილო შემართული ხორთუმით თვითონაც ივლებდა ხალისით ტანზე წყალს და დედალ სპილოსაც ბანდა; მზით განათებულ მორზე ბზინავდა ხვლიკი; სწრაფი, მკვეთრი მოძრაობით ჩაჰკრავდა შუბს ინდიელი წყლის უსასრულო ნაკადს და იქიდან ბრჭყვიალა თევზს ამოაფართქალებდა, შუბის წვერზე წამოგებულს; ზანგი გამხმარი შეშის ხახუნით კერაზე ცეცხლს აჩაღებდა და გახარებული თავის ათქვირებულ ცოლს რიტმულად უტყაპუნებდა ტყლაშუნა ბარძაყებზე ხელს; გამხმარი ინდოელი გაშეშებული იდგა, გულხელი დაეკრიფა და თავისთვის ბუტბუტებდა უძველეს ლექსებს, სამყაროს შექმნის ამბავს რომ მოგვითხრობენ; ესკიმოსი მზეზე იწვა, ვიწრო თვალეები უცინოდა და ოფლად და ცხიმად იღვრებოდა, თავზე კეთილი ტაპირი დასდგომოდა და ყნოსავდა; პატარა იაპონელს ჯოხი გამოეთალა და ხან ცხვირზე, ხანაც ნიკაპზე ჯამბაზივით იჩერებდა. ევროპელს თავისი სანერ-კალამი მოემარჯვებინა და იქ მყოფ სულდგმულთა ინვენტარიზაციას ახდენდა.

სამეგობროები და ჯგუფები იქმნებოდა და თუკი სადმე კამათი ატყდებოდა, პატრიარქის ერთი მინიმ-

ნებაც კმაროდა, რომ ყველაფერი მოგვარებულიყო. გულღია და მხიარული იყო ყველა, მხოლოდ ევროპელი იჯდა მარტო, წერიტი სამუშაოთი გართული.

ადამიანებმა და ცხოველებმა ერთი ასეთი გასართობი გაიჩინეს: თითოეულს თავისი შესაძლებლობა და ხელოვნება უნდა წარმოეჩინა. ყველას უნდოდა პირველი გამოსულიყო და პატრიარქის ჩარევა გახდა საჭირო წესრიგის დასამყარებლად. მან დიდსა და პატარა ცხოველს ცალ-ცალკე მიუჩინა ადგილი, ადამიანებს კიდევ — ცალკე. ყველა მათგანს ხელის აწევით უნდა მოეთხოვა გამოსვლის უფლება და ის უნარი დაესახელებინა, რითაც თავის გამოჩენას აპირებდა. ამის შემდეგ ყველაფერი რიგის მიხედვით წარიმართა.

ეს დიდებული თამაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, ხშირად ერთი ჯგუფი საკუთარ თამაშს თავს ანებებდა და გარბოდა, რომ სხვებისთვის ეცქირა. ყოველი ჩინებული უნარის გამოვლინებას დიდი აღტაცებით ეგებებოდნენ. რამდენი საოცარი რამის ნახვა შეიძლებოდა! როგორ ცდილობდა ღვთის ყოველი ქმნილება, მასში დაფარული ნიჭი წარმოეჩინა! ცხოვრების რა სიმდიდრე არ გადაიშალა მათ თვალწინ! ხარხარი, აღტაცების შეძახილები, ჩხავილი, კრიახი, ფეხის ბრახუნი, ჭიხვინი აყრუებდა იქაურობას.

საოცრად დარბოდა სინდიოფალა, ჯადოსნურად გალობდა ტოროლა, დიდებულად დააბიჯებდა გაფხორილი ინდაური და დაუჯერებელი სისხარტით მოძრაობდა ციყვი. მანდრილი მალაიელს აჯავრებდა, პავიანი — მანდრილს! მორბენალი, მცოცავი, მცურავი და მფრინავი არსებანი დაულალავად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველა თავისებურად უბადლო იყო და აღიარებას იმსახურებდა. იყვნენ ცხოვე-

ლები, რომლებიც ჯადოთი მოქმედებდნენ და იყვნენ ისეთნიც, რომელთაც გაუჩინარება შეეძლოთ. ბევრი ძალ-ლონით გამოირჩეოდა, ბევრი ეშმაკობით, ზოგიც თავდასხმის, ხოლო ზოგიც თავდაცვის ხელოვნებით. მწერებს შეეძლოთ ბალახს, შეშას, ხავსს, ქვას დამსგავსებოდნენ და ასე დაეცვათ თავი. სხვა სუსტი არსებანი იმით იწვევდნენ აღტაცებას, რომ საზიზღარ სუნს უშვებდნენ და მაყურებელნი სიცილ-ხარხარით გარბოდნენ იქიდან. ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, არავინ იყო უნიჭო და უუნარო. ჩიტის ბუდეები იწვნებოდა, ნებდებოდა, იქსოვებოდა, შენდებოდა. მტაცებელი ფრინველები თავბრუდამხვევი სიმაღლიდან ერთი ციციქნა საგანს ამჩნევდნენ.

ადამიანებიც ჩინებულად ართმევდნენ თავს თავიანთ ამოცანას. ერთ რამედ ღირდა იმის ცქერა, რა მსუბუქად და გაუჭირვებლად ადიოდა ვეება ზანგი ძელზე. მალაიელი სამი მოძრაობით პალმის ტოტისგან ნიჩაბს ამზადებდა, პანანინა ფიცარს ნავივით მართავდა და წყალზე დასრიალებდა. ინდიელი მსუბუქ ისარს უმცირეს სამიზნესაც უცდომლად ახვედრებდა, ხოლო მისი ცოლი ორგვარი ლაფნისაგან წნავდა ჭილოფს, რაც აღფრთოვანებას იწვევდა. ყველა დიდხანს დუმდა გაოცებისგან, როცა ინდოელი გამოვიდა და რამდენიმე ფოკუსი წარმოადგინა. ჩინელმა კი საზოგადოებას უჩვენა, როგორ შეიძლება ბეჯითი შრომით ხორბლის მოსავლის გასამმაგება, თუკი მთლად ქორფა ჯეჯილს ერთმანეთისაგან თანაბარი დაშორებით გადავრგავთ.

ევროპელი, რომელიც, რატომღაც, დიდად არავის ეხატებოდა გულზე, ბევრჯერ მოძმეთა უკმაყოფილების მიზეზი შეიქნა, რადგანაც იგი სხვათა საქმიან-

ნობას უხეშად და აგდებულად აქილიკებდა. როცა ინდიელმა ჩიტი ცის ლაჟვარდიდან ძირს ჩამოაგდო, თეთრკანიანმა მხრები აიჩეჩა და დაიჟინა, ოცი გრამი დინამიტით სამჯერ უფრო მაღლა შეიძლება სროლაო! ხოლო როცა სთხოვეს, აბა გვაჩვენე, ეგ როგორ უნდაო, ვერაფერი მოახერხა და ჩამოთვალა, მაგისტვის ეს მჭირდებაო, ის მჭირდებაო, ათასი რალაც-რალაცებით; ესენი რომ მომცა, მაშინ შევძლებდი მაგასო. ჩინელიც საცინლად აიგდო და უთხრა, ნორჩი ჯეჯილის გადარგვას უზარმაზარი შრომა სჭირდება და ასეთი მონური ჯაფა ხალხს ბედნიერებას ვერ მოუტანსო. ჩინელმა კი მიუგო, ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც საჭმელი აქვს და ღმერთებს პატივს მიაგებსო, რისთვისაც ტაში დაიმსახურა. ევროპელმა კი ამაზეც დამცინავად ჩაიღიმა.

მხიარული შეჯიბრი გაგრძელდა, ყველა ცხოველმა და ადამიანმა თავისი ნიჭი და ხელოვნება გამოავლინა. შთაბეჭდილება დიდი და გასახარელი იყო, პატრიარქმაც ჩაიცინა თავის თეთრ ნვერში, ყველა შეაქო და განაცხადა: დროა უკვე წყალმა ნელ-ნელა დაიკლოს და ჩვენს პლანეტაზე ახალ ცხოვრებას მიეცეს დასაბამი, რამეთუ ღმერთის სამოსის ყველა ფერადი ძაფი ჯერ კიდევ ხასხასებს და არაფერი უშლის ხელს დედამიწაზე უსაზღვრო ბედნიერების დამკვიდრებასო.

მხოლოდ ევროპელს არ გამოემყლავნებინა ჯერ-ჯერობით არანაირი უნარი და ყველა დაჟინებით მოითხოვდა, გამოსულიყო და რამე გაეკეთებინა, რათა გაეგოთ, მასაც ჰქონდა თუ არა უფლება ღვთიური ჰაერით ესუნთქა და პატრიარქის მოცურავე სახლით ემგზავრა.

დიდხანს უარზე იდგა ეს კაცი და თავის დაძვრენას ცდილობდა. მაგრამ ნოემ თვითონ მიაბჯინა მკერდზე თითი და ანიშნა გაჰყოლოდა.

„მეც, — ასე დაიწყო თეთრკანიანმა, — მეც დავხვეწე და სრულვყავი ერთი უნარი. მე მხედველობით კი ვერ ვჯობივარ სხვებს, ანდა სმენით, ან ყნოსვით, ან ხელის სიმარჯვით ან სხვა ამის მსგავსი რალაცებით. ჩემი ნიჭი უფრო მაღალი ბუნებისაა. ჩემი ნიჭი ინტელექტია“.

„გვაჩვენე!“ — დაიძახა ზანგმა და ყველანი ევროპელს შემოეხვივნენ გარს.

„აქ არაფერია საჩვენებელი, — თქვა თეთრკანიანმა წყნარად, — თქვენ მე, ეტყობა, კარგად ვერ გამიგეთ. ის, რითიც მე გამოვიჩვევი, არის გონება“.

ზანგმა მხნედ გაიცინა და თოვლივით ქათქათა კბილები გამოაჩინა, ინდოელმა დამცინავად ამრიზა თხელი ტუჩები, ჩინელმა ეშმაკურად და კეთილად ჩაილიმა.

„გონება? — თქვა მან ხმადაბლა, — აბა, ერთი გვაჩვენე ეგ შენი გონება, რალაც ჯერჯერობით მისთვის თვალი არ მოგვიკრავს“.

„დასანახავი აქ არაფერია, — თავს იცავდა ევროპელი, — ჩემი ნიჭის თვისება ესაა: ვაგროვებ ჩემს თავში გარემოს სურათებს, მათგან ახალ სურათებს ვადგენ და ჩემებურად ვანესრიგებ. მე შემიძლია ჩემს ტვინში მთელი სამყარო გადავხარშო, ანუ ახლად შეექმნა“.

ნოემ თვალებზე ხელი გადაისვა.

„ერთი მითხარი, — წარმოთქვა მან მშვიდად, — რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამას? ხელახლა წარმოქმნა ღმერთის მიერ უკვე შექმნილი სამყარო“.

და ისიც მხოლოდ შენთვის, შენს პატარა თავში! რა საჭიროა ეს?"

ყველას აღტაცების შეძახილი აღმოხდა და თეთრკანიანს კითხვები დააყარეს.

„მოიცათ, — წამოიძახა ევროპელმა, — თქვენ ჩემი კარგად არ გესმით. გონების მუშაობის დემონსტრირება ისე იოლი როდია, როგორიც რამე ხელმარჯვეობისა“.

ინდოელმა გაიღიმა.

„რატომაც არა, თეთრკანიანო ძმობილო, ძალიანაც შესაძლებელია. გვაჩვენე გონების მუშაობა, მაგალითად, ანგარიში. მოდი ანგარიშში შევეჯიბროთ! ერთ წყვილს სამი შვილი ჰყავს, რომელთაგან თითოეული კიდევ თითო ოჯახს ქმნის. ყოველი ახალგაზრდა წყვილი წელიწადში თითო ბავშვს აჩენს. რამდენი წელი უნდა გავიდეს, რომ მათმა რაოდენობამ ასს მიაღწიოს?“

ყველა გულისყურით უსმენდა, დაიწყეს თითებზე ანგარიში, სახეზე დაძაბული გამომეტყველება აღებეჭდათ. ევროპელიც შეუდგა ანგარიშს, მაგრამ ჩინელმა დაასწრო და სწორი პასუხი თქვა.

„კეთილი და პატიოსანი, — აღიარა თეთრკანიანმა, — მაგრამ ეს მხოლოდ ვარჯიშის შედეგია. მე გონება იმისთვის კი არ მჭირდება, რომ ასეთი უბრალო ფოკუსები ვაკეთო, არამედ იმისათვის, რომ გრანდიოზული ამოცანები ამოვხსნა, რომლებზეც კაცობრიობის ბედნიერებაა დამოკიდებული“.

„ოო, ეს მომწონს, — გახალისდა ნოე, — ბედნიერების მიგნების უნარი ნამდვილად ყველა სხვა უნარს სჯობს. შენ მართალი ხარ. აბა, გვითხარი, როგორ უნდა გახდეს კაცობრიობა ბედნიერი და დიდად მადლობელნი დაგრჩებით“.

მონუსხულნი და სულგანაბულნი მიაშტერდნენ ყველანი თეთრკანიანის ბაგეებს. დადგა დიადი ნამი! სამარადისო დიდება იმას, ვინც გვეტყვის, სად მოიძევება კაცობრიობის ბედნიერება! ყველა ავი სიტყვა ეპატიოს მას, ჯადოქარს! რას აქნევდა ის ოსტატობას და სიმარჯვეს თვალისას, ყურისას თუ ხელისას, რადღა სჭირდებოდა სიბეჯითე და ანგარიშის ხელოვნება, თუკი ასეთი რამ იცოდა!

ევროპელი, რომელსაც მანამდე თავი ამაყად ეჭირა, ასეთმა თაყვანისმცემლურმა ცნობისმოყვარეობამ თანდათან დააბნია.

„ჩემი ბრალი არ არის, — თქვა მან ყოყმანით, — მაგრამ თქვენ მაინც ვერ გამიგეთ! მე არ მითქვამს, რომ ბედნიერების საიდუმლოება ვიცი. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ჩემი გონება იმ ამოცანებზე მუშაობს, რომელთა ამოხსნა კაცობრიობის გაბედნიერებას შეუწყობს ხელს. ეს გზა ძალიან გრძელია. ვერც მე და ვერც თქვენ მის დასასრულს თვალს ვერ მივანვდნეთ. კიდევ ბევრ თაობას მოუწევს ამ ძნელ საკითხებზე თავის მტკრევა“.

ხალხი დაბნეული იდგა და უნდობლად შეჰყურებდა ამის მთქმელს. რას ამბობდა ეს კაცი? ნოემაც გვერდზე გაიხედა და შუბლი შეიჭმუხნა.

ინდოელმა ჩინელს გაუღიმა და, სანამ სხვები შეცბუნებულები დუმდნენ, ჩინელმა მხიარული კილოთი განაცხადა: „ძმებო, ეს ჩვენი თეთრი ნათესავი დიდი ხუმარა ვინმე ბრძანებულა. ეგ გვეუბნება, ჩემს თავში ისეთი სამუშაო მიმდინარეობს, რომლის შედეგსაც ჩვენი შვილთა შვილიშვილები ან მოესწრებიან, ან ვერაო. მე გთავაზობთ, ვცნოთ იგი მასხარად. რასაც ეგ ამბობს, მართალია, ვერ ვხვდებით, მაგრამ იმას ხომ

ვგრძნობთ, რომ თუ მის ნათქვამს ჩავწვდით, შეიძლება ფერდები დაგვისკდეს სიცილით. თქვენც ასე არ ფიქრობთ? ჰოდა, მაშ, გაუმარჯოს ამ ჩვენს ხუმარას!"

უმეტესობამ კვერი დაუკრა და გაიხარეს, რომ ეს ბნელი ამბავი ბოლოს და ბოლოს დასრულდა. თუმცა ზოგს უკმაყოფილების გრძნობა დაეუფლა. ევროპელი კი დარჩა მარტო და იდგა თავისთვის უნუგემოდ.

სალამოყამს ზანგმა ესკიმოსი, ინდიელი და მალაიელი გაიყოლა თან, პატრიარქს ეახლა და ასე უთხრა:

„მამავ ბატონო, ერთი რალაცა უნდა გკითხოთ. ეს თეთრი ყმანვილი, დღეს რომ ჩვენი გამასხარავება ინება, რატომღაც თვალში არ მოგვდის. ყველა სულდგმულს, დათვსა თუ რწყილს, ხოხობსა თუ ნეხვის ჭიას, ისევე როგორც ჩვენ, ადამიანებს, ყველას რალაცა გვქონდა საჩვენებელი, რითაც ღმერთს თაყვანს ვცემთ, ჩვენს სიცოცხლეს ვიცავთ, ვამაღლებთ და ვალამაზებთ. ნიჭის საოცარი გამოვლინებანი ვიხილეთ, ზოგი სიცილის მომგვრელი იყო, მაგრამ უმცირესმა არსებამაც კი რალაცით გაგვახარა, რალაცა ლამაზი წარმოგვიდგინა. მარტო ამ თეთრ კაცს, ბოლოს რომ ამოვიყვანეთ წყლიდან, არაფერი შეძლება, გარდა უცნაური, მაღალფარდოვანი ლაქლაქისა, ქარაგმებისა და ხუმრობისა, რომელიც არავის ესმის და არავის ახარებს. და ჩვენ გეკითხებით შენ, მამავ ბატონო, სამართლიანია თუ არა, რომ ამგვარმა არსებამ ამ ჩვენს საყვარელ დედამინაზე ახალი ცხოვრების დაფუძნებაში მიიღოს მონაწილეობა. უბედურებას ხომ არ მოგვიტანს ეს ამბავი? შეხედე ერთი! თვალეები ამღვრეული აქვს, შუბლი დანაოჭებული, ხელეები ფერწასული და სუსტი, სახე ბოროტი და დაღვრემილი, ერთი ნათელი ბგერაც არ აღმოხდება!

იცოდეს ღმერთმა, მთლად სწორად ვერ მოქცეულა, ვინც ეგ ყმანვილი კიდობანში შემოგვიგზავნა”.

მოხუცმა პატრიარქმა ნათელი მზერა ალერსიანად მიაპყრო მათ.

„შვილებო, — წყნარი და კეთილი ხმით წარმოთქვა მან, — ძვირფასო შვილებო! თქვენ მართალნი ხართ და ამავე დროს არცა ხართ მართალნი! ღმერთმა პასუხი მანამდე გაგვცა, სანამ თქვენ ამას შემეკითხებოდით. გეთანხმებით, ეს კაცი ომის ქვეყნიდან მაინცდამაინც საამო სტუმარი როდია, მართლაცდა, რა გასაჩენია ასეთი ახირებული არსებანი. მაგრამ რაკი ღმერთმა იგი შექმნა, ეტყობა, იცოდა, რატომაც მოიმოქმედა ეს. ამ თეთრ ადამიანებს ყველა თქვენგანის წინაშე ბევრი დანაშაული მიუძღვით, მათი ბრალია, რომ ჩვენი საბრალო დედამინა კიდეც ერთხელ დაისაჯა. მაგრამ ნახეთ, ღმერთმა მიგვანიშნა, რას უპირებს ამ თეთრ კაცს. თქვენ ყველას, შენ, ზანგო, და შენ, ესკიმოსო, ახალი ცხოვრებისთვის, რომლის დანყებასაც მალე ვაპირებთ, თქვენი საყვარელი მეუღლეები გყავთ გვერდით, შენ — ზანგი ქალი, შენ — ინდიელი, შენ — ესკიმოსი. მხოლოდ ევროპელია მარტო. დიდხანს ვწუხდი ამაზე, ახლა კი, მგონი, ვხვდები ამის აზრს. ეს კაცი დაგვრჩა, როგორც გაფრთხილება და სტიმული, ან იქნებ, როგორც მოჩვენება. გამრავლებით კი იგი ვერ გამრავლდება, ასე რომ, მრავალფეროვანი კაცობრიობის ნაკადში შთაინთქმება. ახალ დედამინაზე ცხოვრებას ის თქვენ ველარ მოგინამლავთ. დამშვიდდით!”

დალამდა და მეორე დილით აღმოსავლეთით წმინდა მთის პატარა და წვეტიანი მწვერვალი გამოჩნდა წყალზე.

დოქტორ კნიოლგეს აღსასრული

ბატონი დოქტორი კნიოლგე, გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი, რომელიც ადრინადად გასულიყო პენსიაზე და თავი კერძო ფილოლოგიური შტუდიებისთვის მიეძღვნა, ნამდვილად თავისდღეში არ დაუახლოვდებოდა ვეგეტარიანელებსა და ვეგეტარიზმს, ქოშინისა და რევმატიზმებისკენ მისი მიდრეკილება რომ არა, რამაც მას ერთხელაც ვეგეტარიანულ დიეტაზე გადასვლა აიძულა. შედეგი იმდენად თვალსაჩინო გამოდგა, რომ იქიდან მოკიდებული კერძო სწავლული ყოველწლიურად რამდენიმე თვეს ატარებდა რომელიმე ვეგეტარიანულ სანატორიუმში ან პანსიონში, ძირითადად სამხრეთში, და ამრიგად, მიუხედავად ყოველგვარ უჩვეულოსა და ახირებულის მიმართ მისი არაკეთილგანწყობილებისა, ისეთ წრეებთან და ტიპებთან უწევდა ურთიერთობა, რომლებსაც იგი ვერ ეწყობოდა, და რომელთა იშვიათი, ყოველთვის თავიდან ვერასაც ილებელი სტუმრობანი მის სამშობლოში დიდად არ ეხატებოდა გულზე.

რამდენიმე წელიწადს დოქტორი კნიოლგე გაზაფხულისა და ადრეული ზაფხულის პერიოდებს, ზოგჯერ შემოდგომის თვეებსაც, სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროზე ან ლაგო მაჯორეზე მომრავლებულ რომელიმე სტუმართმოყვარე ვეგეტარიანულ პანსიონ-

ში ატარებდა. ბევრნაირი ადამიანი გაიცნო და რა-
ღაც-რაღაცებს კიდევ შეეგუა: ფეხშიშველა სია-
რულსა და გრძელთმიან მოციქულებს, შიმშილობის
ფანატიკოსებსა და ვეგეტარიანელ გურმანებს. ამ
უკანასკნელთა შორის არაერთი მეგობარი გაიჩინა
და თავადაც, ავადმყოფობა მძიმე კერძების მირთმე-
ვას სულ უფრო და უფრო მეტად რომ უკრძალავდა,
ბოსტნეულისა და ხილის სფეროში მოკრძალებულ
გურმანად ჩამოყალიბდა. ვარდკაჭაჭას ყველანაირი
სალათა როდი აკმაყოფილებდა და არც კალიფორნი-
ულ ფორთოხალს შეჭამდა ოდესმე იტალიურის ნაც-
ვლად. საერთოდ, ვეგეტარიზმი დიდად არ ანაღ-
ვლებდა, ის მისთვის მხოლოდ სამკურნალო საშუა-
ლება იყო და ხანდახან თუ დაინტერესდებოდა ამ
სფეროში გაჩენილი გასაოცარი ენობრივი ნეოლო-
გიზმებით, რომლებიც მისთვის, როგორც ფილოლო-
გისთვის, საყურადღებო გახლდათ. არსებობდნენ ვე-
გეტარიელები, ვეგეტარიანელები, ვეგეტაბილისტიე-
ბი, უმად მჭამელნი, ნაყოფმჭამელნი და შერეული
მჭამელები!

თვითონ დოქტორი, განდობილთა ტერმინოლო-
გიით, შერეულ მჭამელებს მიეკუთვნებოდა, რაკილა
არა მხოლოდ ხილსა და უმ ბოსტნეულს, არამედ მო-
ხარშულსაც, ის კი არა და, რძისა და კვერცხისგან
დამზადებულ კერძებსაც კი გეახლებოდათ. ნაღდი
ვეგეტარიანელებისთვის, პირველ ყოვლისა კი მკაც-
რი ნეს-განგების მიმდევარ წმინდა უმადმჭამელ-
თათვის, თავზარდამცემი რომ იყო ეს ამბავი, არ გა-
მოჰპარვია, მაგრამ ამ ძმათა ფანატიკური აღმსარებ-
ლობითი დავა-კამათისგან თავი შორს ეჭირა და შე-
რეულმჭამელთა კლასისადმი კუთვნილებას მხო-

ლოდ საქმით ავლენდა, როცა ზოგიერთი მისი კოლეგა, კერძოდ კი ავსტრიელები, სავიზიტო ბარათებზე თავმომწონედ აღნიშნავდნენ თავიანთ სტატუსს.

როგორც ვთქვით, კნიოლგე ამ ხალხს მაინცდამაინც ვერ ეწყობოდა. გარეგნულადაც იგი თავისი მშვიდობიანი, ლაულაჟა პირისახითა და ზორბა ტანით სულ სხვანაირი ჩანდა მკაცრი ვეგეტარიზმის მიმდევარ გამხმარ, ასკეტურად მზირალ, ხშირად ფანტასტიკურად გამონწყობილ ძმათა ფონზე, ზოგი მათგანი თმებს მხრებამდე რომ იზრდიდა და თითოეული საკუთარი იდეალის ფანატიკოსად, აღმსარებლად და მარტვილად დააბიჯებდა ცხოვრების გზაზე. კნიოლგე ფილოლოგი და პატრიოტი გახლდათ, ის არ იზიარებდა თანავეგეტარიანელთა არც საკაცობრიო აზრებსა და სოციალურ რეფორმათა იდეებს და არც მათ ახირებულ ცხოვრების ნირს. იგი ისე გამოიყურებოდა, რომ ლოკარნოს ან პალანცას სადგურებსა და პორტებში უბრალო მოკვდავთათვის განკუთვნილ სასტუმროთა მსახურები, „კომბოსტოს მოციქულებს“ შორიდანვე რომ სცნობდნენ ხოლმე, დიდი ნდობით სთავაზობდნენ თავიანთ სასტუმროებს და ფრიად გაოცებულნი რჩებოდნენ, როცა ასეთი სოლიდური შესახედაობის ადამიანი თავის ჩემოდანს „ტალიზიის“ ან „ცერესის“ მსახურს ანდა „მონტე ვერიტას“ მევირეს გადასცემდა.

და მაინც დოქტორი კნიოლგე დროთა განმავლობაში შეეჩვია ამ, მისთვის უცხო გარემოს და იქ მშვენივრად გრძნობდა თავს. იგი ოპტიმისტი გახლდათ, დიახ, თითქმის ცხოვრების ხელოვანი, და თანდათან ყველა ქვეყნის მცენარისმჭამელთა შორის, იმ ადგილებს რომ სტუმრობდნენ, მეტადრე ფრანგთა შორის, არაერთი

მშვიდობისმოყვარე და ლოყებლაყლაყა მეგობარი გაიჩინა, რომლებთანაც თავის ქორფა სალათასა და ატამს გულდამშვიდებით შეექცეოდა მყუდრო სუფრული მუსაიფის დროს ისე, რომ მკაცრი წეს-განგების მიმდევარი რომელიმე ფანატიკოსი შერეულმჭამელობას, ან რომელიმე ბრინჯილეჭია ბუდისტი რელიგიურ განურჩევლობას ვერ ნამოსძახებდა.

ერთხელაც დოქტორმა კნიოლგემ ჯერ გაზეთებიდან, მერე კი უშუალოდ თავისი ნაცნობებისგანაც, დიდი საერთაშორისო ვეგეტარიანული საზოგადოების დაარსების ამბავი შეიტყო. საზოგადოებას მცირე აზიაში მინის უზარმაზარი ნაკვეთი შეუძენია და მთელი მსოფლიოს თანამოძმეებს შელავათიან ფასად ეპატიჟებოდა იქ სტუმრად ან სამუდამოდ დასარჩენად. ეს იმ გერმანელ, ჰოლანდიელ და ავსტრიელ მცენარისმჭამელთა იდეალისტური დაჯგუფებების ნამონყებული საქმე იყო, რომელთა მისწრაფებები ერთგვარ ვეგეტარიანულ სიონიზმს წარმოადგენდა და იქითკენ იყო მიმართული, რომ მათი რწმენის მომხრეთა და მიმდევართათვის სადმე მსოფლიოში საკუთარი ქვეყანა დაეარსებინათ საკუთარივე მმართველობითურთ, სადაც ბუნებრივი პირობები იქნებოდა იმგვარი ცხოვრებისთვის, იდეალად რომ დაესახათ მათ. ამ გეგმის ხორცშესხმის დასაბამი გახლდათ ვეგეტარიანული საზოგადოების დაარსება მცირე აზიაში. მათი მოწოდებანი „ვეგეტარიანული და ვეგეტაბილისტური ცხოვრების წესის, სიშიშვლის კულტურისა და ცხოვრების რეფორმირების ყველა მეგობარს“ უხმობდა და იმდენ დაპირებას იძლეოდა და ისე მომხიბლავად ჟღერდა, რომ ვერც ბატონმა კნიოლგემ გაუძლო ამ მიმზიდველი სამოთხისეული

ძახილის მომნუსხველობას და დამდეგი შემოდგომისთვის სტუმრად ჩაენერა იქ.

ამ მიწაზე საოცრად ნაზი და ბარაქიანი ხილბოსტნეული იცოდა, დიდი ცენტრალური სახლის სამზარეულოს „სამოთხისაკენ მიმავალი გზების“ ავტორი ხელმძღვანელობდა, ბევრს კი უფრო ის ამბავი სიამოვნებდა, რომ იქ მშვიდად იცხოვრებდა, ღვარძლიანი მსოფლიოს დამცინავი დამოკიდებულება აღარ შეანუხებდა. ვეგეტარიზმისა და ჩაცმულობის რეფორმისადმი მისწრაფების ყველა ნაირსახეობა ნებადართული გახლდათ, აკრძალვით კი ხორცის ქამისა და ალკოჰოლის მიღების გარდა არაფერი იკრძალებოდა.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ ლტოლვილი ახირებულები, ნაწილობრივ იმისთვის, რომ იქ, მცირე აზიაში ბოლოსდაბოლოს სიმშვიდე და შვება ეპოვათ, თავ-თავიანთი ბუნების შესაფერისად ეცხოვრათ, ნაწილობრივ კი იმიტომაც, რომ მოზღვავებულ განკურნების მოსურნეთაგან ხეირი და გამორჩენა ენახათ. ჩამოდიოდნენ ყველანაირი ეკლესიებიდან გამოქცეული მღვდლები და მქადაგებლნი, ცრუ ჰინდუსები, ოკულტიზტები, ენის მასწავლებლები, მასაჟისტები, მაგნეტოპათები, ჯადოსნები, ექიმბაშები. ექსცენტრიკულ არსებათა მთელი ეს ჯამაათი უფრო უწყინარი ნვრილ-ნვრილი ცრუპენტელეებისგან შედგებოდა, ვიდრე ყალთაბანდი და ბოროტი ადამიანებისაგან, რადგან იქ დიდ ხეირს ვერ ნახავდა კაცი და უმეტესობას მეტიც არა უნდოდა რა, გარდა თავის რჩენისა, რაც მცენარისმჭამელისთვის მეტად იაფი ჯდება სამხრეთის ქვეყნებში.

ევროპიდან და ამერიკიდან გამოსხლეტილ ამ ადამიანთა უმეტესობის ერთადერთი მანკიერება ის გახ-

ლდათ, რომ შრომას უფრთხოდნენ, რაც უამრავ ვეგეტარიანელთა საერთო დამახასიათებელი თვისებაა. არც ოქრო ენადათ, არც მოლხენა, არც ძალაუფლება თუ სიამოვნება, მათი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ უშრომლად და გაურჯელად გაეტარებინათ თავიანთი მოკრძალებული ცხოვრება. ზოგიერთ მათგანს მთელი ევროპა რამდენჯერმე ჰქონდა ფეხით მოვლილი, ვითარცა შეძლებულ თანამოაზრეთა სახლების კარის სახელურთა თავმდაბალ მნმენდავთ, ან მოქადაგე ნინასნარმეტყველთ, ან სასნაულმოქმედ მკურნალთ, კნიოლგე კი ქვიზიზანაში ჩასვლისას ერთ ძველ ნაცნობს გადაეყარა, რომელიც ლაიფციგში დროდადრო უწყინარ მათხოვრად მოევლინებოდა ხოლმე.

თუმცა უწინარეს ყოვლისა ვეგეტარიზმის ყველა ბანაკის კორიფეები და გმირები ხვდებოდა თვალში. მზით გარუჯული, გრძლად ჩამოტალღულ თმანვერიანი კაცები, თეთრი მოსასხამები სანდლებამდე რომ სცემდათ, ძველი აღთქმიდან გადმოსულებივით დააბიჯებდნენ აქეთ-იქით, ზოგსაც ღია ფერის ტილოს სპორტული ტანსაცმელი ეცვა. რამდენიმე პატივცემული პიროვნება შიშველი დაიარებოდა, წელზე საკუთარი ხელით ნაქსოვი ლაფნის ტილო ჰქონდა შემოხვეული. შეიქმნა ჯგუფები და ორგანიზებული გაერთიანებებიც კი, ზოგან ნაყოფმჭამელნი იკრიბებოდნენ, ზოგან ასკეტურად მოშიმშილეები, სხვაგან თეოსოფები თუ სინათლის მალმერთებლები. ამერიკელი ნინასნარმეტყველის, დავისის, თაყვანისმცემლებმა ტაძარი ააგეს; ერთი დარბაზი ნეოსვედენბორგისტების ღვთისმსახურებას ეთმობოდა.

ამ უცნაურ რია-რიაში დოქტორი კნიოგლე თავიდან ცოტა არ იყოს გაუბედავად დააბიჯებდა. ერთი

ყოფილი ბადენელი მასწავლებლის, გვარად კლაუბერის, მოხსენებებს ესწრებოდა, რომელიც მსოფლიოს ხალხებს წმინდა ალემანიურით მოუთხრობდა ატლანტის ქვეყანაში მომხდარ ამბებს და აღფრთოვანებული იყო იოგი ვიშინანდათი, რომელსაც სინამდვილეში ბეპო ცინარი ერქვა და ათნლეულების განმავლობაში გულმოდგინე მცდელობით იმისთვის მიეღწია, რომ თუ მოინდომებდა, შეეძლო თავისი გულისცემის სიხშირე დაახლოებით სამჯერ შეემცირებინა.

ევროპაში, სამენარმეო და პოლიტიკური ცხოვრების მოვლენათა გვერდით, ეს კოლონია საგიჟეთის ან ფანტასტიკური კომედიის შთაბეჭდილებას მოახდენდა. აქ კი, მცირე აზიაში, ეს ყოველივე სრულიად გასაგებად და სავსებით შესაძლებლად გამოიყურებოდა. დროდადრო ახლადჩასულებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე, სანუკვარი ოცნების ახდენით აღფრთოვანებულთ არამინიერი ნათელი გადაჰყვენოდათ სახეებზე, თვალეში სიხარულის ცრემლები უბრჭყვიალებდათ, ხელში ყვავილები ეჭირათ და ყოველ შემხვედრს სამშვიდობო კოცნით ესალმებოდნენ.

ყველაზე თვალშისაცემი მაინც მკაცრ ნაყოფმჭამელთა ჯგუფი გახლდათ. ამათ ტაძარი, სახლი და ყოველგვარი სახის ორგანიზაცია უარყვეს და არავითარ სხვა მისწრაფებას არ იჩენდნენ გარდა იმისა, რომ რაც შეიძლება ბუნებრივნი გამხდარიყვნენ და, როგორც თავად ამბობდნენ, „დედამინას დაახლოებოდნენ“. ღია ცის ქვეშ ცხოვრობდნენ და მხოლოდ იმას ჭამდნენ, რასაც ხე ან ბუჩქი მოისხამდა. სხვა ვეგეტარიანელები სასტიკად სძულდათ და ერთმა მათგანმა დოქტორ კნიოგლეს პირში მიახალა, ბრინჯისა და პურის ჭამა ზუსტად ისეთივე ღორობაა, როგო-

რიც ხორცისაო, ხოლო რძისმსმელ ვაივეგეტარიანელსა და რომელიმე ლოთბაზარასა და არყის ძმობილს შორის ვერავითარ განსხვავებას ვერა ვხედავო.

ნაყოფმჭამელთა შორის პატივცემული ძმა იონა გამოიკვეთა, ამ მიმართულების ყველაზე თანამიმდევრული და წარმატებული წარმომადგენელი. თუმცა წელზე ტილო ეხვია, მაგრამ ის მისი ბანჯგვლიანი, გარუჯული სხეულისაგან თითქმის არ განირჩეოდა. პატარა კორომში ცხოვრობდა და მკვირცხლად დაძვრებოდა ხოლმე ტოტიდან ტოტზე. ხელისა და ფეხის ცერები განსაცვიფრებლად გადაჰგვარებოდა და მთელი მისი არსება და ცხოვრება ბუნებასთან ყველაზე შეუპოვარ და წარმატებულ დაბრუნებას წარმოადგენდა. რამდენიმე მქირდავი მას თავიანთ წრეში გორილას ეძახდა, საერთოდ კი იონა აღფრთოვანებას იწვევდა და მთელ დასახლებაში პატივისცემით სარგებლობდა.

მეტყველებაზე ხელი აელო ამ დიდ უმადმჭამელს. როცა ძმანი ან დანი მისი კორომის განაპირას საუბრობდნენ, იგი ხანდახან მათ თავს ზემოთ რომელიმე ტოტზე ჩამოჯდებოდა ხოლმე, გამამხნეველად იღრიჭებოდა ანდა ამრეზით ხარხარებდა, თქმით კი არაფერს ამბობდა, ჟესტებით ცდილობდა ენიშნებინა მათთვის, რომ მისი ენა ბუნების უცდომელი ენა იყო და მომავალში ყველა ვეგეტარიანელისა და ბუნების ადამიანის მსოფლიო ენა გახდებოდა. მისი უახლოესი მეგობრები ყოველდღე მასთან იყვნენ, ღეჭვისა და კაკლის მტვრევის ხელოვნების გაკვეთილებით ტკბებოდნენ და პროგრესირებადი სრულქმნის პროცესს მოწინებით ადევნებდნენ თვალს, ოღონდ შიშობდნენ, რომ მალე ალბათ მისი ხილვის

ბედნიერება მოაკლდებოდათ, ვინაიდან იგი, სავსებით შერწყმული ბუნებასთან, უთუოდ მთების მშობლიურ უღრანებს მიაშურებდა.

რამდენიმე ფანატიკოსმა წინადადება წამოაყენა ღვთაებრივი პატივი მიეგოთ ამ საოცარი არსებისთვის, რომელმაც სიცოცხლის მიმოქცევა სრულყო, გაადამიანების გზა უკულმა გაიარა და მის სანყის წერტილს მიაღწა. მაგრამ ერთ დილას, მზის ამოსვლისას ამ განზრახვით კორომს რომ ეწვივნენ და გაღმერთების ცერემონიალი სიმღერით დაიწყეს, განდიდებული თავის საყვარელ მსხვილ ტოტზე გამოჩნდა, წელზე შემოხვეული ტილო შემოიხსნა, დამცინავად ააფრიალა ჰაერში და თაყვანისმცემლებს ფიჭვის მკვრივი გირჩები დაუშინა.

ეს სრულქმნილი იონა, ეს „გორილა“, ჩვენს დოქტორ კნიოლგეს თავისი მოკრძალებული სულის სიღრმემდე სძაგდა. ყველაფერი, რაც კი ოდესმე ვეგეტარიანიული მსოფლმხედველობისა და ფანატიკურ-გიჟური ხასიათის უშნო გამოვლინებების წინააღმდეგ გულში მდუმარედ გაეელო, ამ არსების სახით შემზარავად შემოეფეთა და ლამის საკუთარ ზომიერ ვეგეტარიანიელობასაც მწარედ დასცინა. უპრეტენზიო კერძო სწავლულის გულში შეურაცხყოფილი ადამიანური ღირსება ამბოხდა და იგი, რომელიც ამდენ განსხვავებულად მოაზროვნეს მშვიდად და მოთმინებით იტანდა, სრულქმნილის საცხოვრებელ ადგილს ისე ვერ ჩაუვლიდა, რომ მის მიმართ ზიზღი და გააფთრება არ ეგრძნო. ხოლო გორილა, თავისი ტოტიდან ყველა ჯურის თანამოაზრეს, თაყვანისმცემელსა თუ კრიტიკოსს გულგრილად რომ ათვალთქმობდა ხოლმე, ამ ადამიანის მიმართ, რომლის სიძულვილსაც

ალბათ ინსტინქტით გრძნობდა, მზარდ ცხოველურ მძვინვარებას განიცდიდა. ყოველთვის, როცა კი გვერდით ჩაუვლიდა, დოქტორი საყვედურით აღსავსე შეურაცხყოფილ მზერას შეავლებდა ხოლმე ხის ბინადარს, რასაც ის კბილების კრაჭუნითა და ბრაზიანი ხრიალით პასუხობდა.

დამდეგ თვეს სამშობლოში დაბრუნება უკვე გადაეწყვიტა კნიოლგეს, როცა ერთ კაშკაშა სავსემთვარიან ღამეს სეირნობამ ღამის თავისდაუნებურად კორომის სიახლოვეს გაიტყუა. სინანულით იგონებდა ძველ დროს, როცა სრულიად ჯანმრთელი, ხორცისმჭამელი და ჩვეულებრივი ადამიანი თავისნაირთა შორის ცხოვრობდა და ღამაში წლების მოგონებით გართულმა უნებურად ძველი სტუდენტური სიმღერა წაუსტვინა.

ამ დროს ბუჩქნარიდან ტყის კაცი გამოშლიგინდა, მელოდისაგან გაღიზიანებული და გახელებული. მუქარით გადაუდგა წინ მოსეირნეს, თან უშველებელ კომბალს იქნევდა. მაგრამ დოქტორი ისე იყო გააფთრებულ-გაგულისებული ამ მოულოდნელი თავდასხმით, რომ კი არ გაიქცა, არამედ იმ წუთის დადგომა იგრძნო, როცა თავის მტერს უნდა შეებოდა. სასტიკი ღიმილით მოიდრიკა თავი და ხმაში რამდენიც შეეძლო, იმდენი დაცინვა და შეურაცხყოფა ჩააქსოვა: ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ, დოქტორი კნიოლგე!

გორილამ ერთი საშინლად დაიღრიალა, კომბალი მოისროლა, ეცა საწყალს და წამში თავისი სასტიკი ხელებით მოახრჩო. დოქტორი მეორე დილას იპოვეს, ზოგი ხვდებოდა, რაც მომხდარიყო, მაგრამ ვერავინ გაბედა გორილა იონასთან დაპირისპირება, რომელიც ტოტებში არხეინად ამტვრევდა კაკალს. რამდე-

ნიმე მეგობარმა, რომლებიც დოქტორმა სამოთხეში ყოფნისას გაიჩინა, იქვე ახლოს დამარხა იგი, მის საფლავზე კი უბრალო ფიცარი დაარჭვეს მოკლე წარწერით: დრ. კნიოლგე, შერეულმჭამელი გერმანიიდან.

კაცი, გვარად ციგლერი

ერთ დროს ბრაუერგასეზე ერთი ყმანვილკაცი ცხოვრობდა, გვარად ციგლერი. ის ერთი მათგანი გახლდათ, ყოველდღე რომ გვხვდებიან ქუჩაში, მაგრამ მათი სახე წესიერად არ გვამახსოვრდება, რადგან ყველას ერთი საერთო სიფათი აქვს: კოლექტიური სიფათი.

ციგლერს ყველა ის თვისება ჰქონდა, რაც ასეთ ადამიანებს ახასიათებთ და ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ისინი აკეთებენ ხოლმე. არც უნიჭო ეთქმოდა, არც ნიჭიერი, უყვარდა ფული და გართობა, კოხტად იცვამდა და მშობარა იყო, როგორც ადამიანთა უმეტესობა: მის ცხოვრებასა და საქმიანობას ნაკლებად წარმართავდა გულისნადილი და მიზანსწრაფვა და უფრო აკრძალვებსა და სასჯელის შიშს ემორჩილებოდა. გარდა ამისა, ჰქონდა კიდევ ზოგი სასიამოვნო თვისება და, საერთოდ, გულგასახარად ნორმალური ადამიანი იყო, რომელსაც თავისი თავი ძალიან უყვარდა და ეძვირფასებოდა. ყველა ადამიანივით ისიც ფიქრობდა, პიროვნება ვარო, სინამდვილეში კი მხოლოდ ეგზემპლარი იყო, და ყოველი ადამიანივით საკუთარი თავი, თავისი ბედისწერა, მასაც

სამყაროს ცენტრად წარმოედგინა. დაეჭვება არ სჩვეოდა და თუკი ფაქტები მის მსოფლგაგებას ეწინააღმდეგებოდნენ, ის ამაზე უხალისოდ ხუჭავდა თვალს.

თანამედროვე ადამიანი იყო და ამიტომაც, გარდა ფულისა, კიდევ ერთ ძალას სცემდა უსაზღვროდ პატივს: მეცნიერებას. თუმცა, რომ გეკითხათ, ვერც გეტყოდათ, რას წარმოადგენდა ეს მეცნიერება. იგი ამ ცნებაში სტატისტიკისა და ცოტათი კიდევ ბაქტერიოლოგიის მსგავს რაღაცას გულისხმობდა. ის კი კარგად უწყოდა, სახელმწიფოს მეცნიერებისთვის ფული და პატივი რომ არ ენანებოდა. განსაკუთრებული მონინებით იყო გამსჭვალული იმ დარგისადმი, რომელიც კიბოს იკვლევდა — მამამისი ამ სენით გარდაიცვალა და ციგლერი იმედოვნებდა, ამასობაში ასე წინნასული მეცნიერება არ დაუშვებდა, რომ მასაც ასეთი რამ დამართნოდა.

ციგლერს ზედვე ეტყობოდა ერთი სურვილი: ცოტა იმაზე უკეთ ჩაეცვა, ვიდრე მისი შეძლების კაცს შეეფერებოდა. წლის მოდას ფეხდაფეხ მისდევდა, ხოლო კვარტლისა და თვის მოდას, რისი მიყოლაც მის შესაძლებლობებს მეტისმეტად აღემატებოდა, იგი ბუნებრივია, არად აგდებდა და ამგვარი რამ ზედმეტ მაიმუნობად მიაჩნდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხასიათის სიმტკიცეს და თავისიანებს შორის, უხიფათო ვითარებაში, გაბედულად ლანძღავდა უფროსობასა და მთავრობებს. ცოტა კი გამიჭიანურდა მისი დახასიათება, მაგრამ ციგლერი ნამდვილად მომხიბლავი ახალგაზრდა გახლდათ და რაოდენ ბევრი დავკარგეთ იმით, რომ იგი ხელიდან გამოგვეცალა, უდროოდ და უცნაური აღსასრული ეწია, ყველა მისი გეგმისა და საფუძვლიანი იმედების საპირისპიროდ.

ახალი გადმოსული იყო ჩვენს ქალაქში, როცა ერთხელ განიზრახა კვირადღე სასიამოვნოდ გაეტარებინა. ჯერ ხეირიანად არავისთან გაება ახლო ურთიერთობა და ვერც ის გადაეწყვიტა, რომელ გაერთიანებას მიჰკედლებოდა. იქნებ აქ უნდა ვეძიოთ მისი უბედურების სათავე. არ ვარგა, როცა კაცი მარტოხელაა.

ისღა დარჩენოდა, ღირსშესანიშნაობანი დაეთვალიერებინა, ამიტომ კეთილსინდისიერად გამოიკითხა, რისი მონახულება ღირდა ქალაქში. დიდი ანონდანონის შემდეგ არჩევანი საისტორიო მუზეუმსა და ზოოლოგიურ პარკზე შეაჩერა. მუზეუმში შესვლა უფასო იყო, ხოლო ზოოპარკის დათვალიერება ნაშუადღევს უფრო იაფი ღირდა.

გამოეწყო ციგლერი მაუდისლილებიან ახალთახალ კოსტუმში, რომელიც ძალიან უყვარდა, და კვირადღეს საისტორიო მუზეუმისაკენ გაემართა. თან ნაიძღვანა წვრილი კობტა ოთხნახნაგოვანი ნითლადგაპრიალებული ხელჯოხი, რომელიც მას ღირსეულ გამომეტყველებასა და კეთილშობილ იერს ანიჭებდა. მისდა სამწუხაროდ, ეს ხელჯოხი საგამოფენო დარბაზის შესასვლელთან დარაჯმა ჩამოართვა.

რას არ ნახავდა კაცი ამ მაღალჭერიან პალატებში! და ეს ჩვენი თვინიერი დამთვალიერებელი გუნებაში ხოტბა-დიდებას ასხამდა ყოვლისშემძლე მეცნიერებას. იგრძნობოდა, რომ ნდობა, რითაც მეცნიერება ხალხში სარგებლობდა, სავსებით დამსახურებული იყო, რასაც ვიტრინებზე მიმაგრებული გულმოდგინედ შესრულებული წარწერებიც განამტკიცებდა. ძველი ხარახურა, მაგალითად, დაუანგული გასაღები, სპილენძის დამსხვრეული ყელსაბამი და

მისთანანი ამ წარწერების წყალობით არაჩვეულებრივად საინტერესონი ჩანდნენ. საოცარი იყო, რამდენ რამეზე ზრუნავდა მეცნიერება, რამდენ რამეზე მიუწვდებოდა ხელი, რას აღარ პატრონობდა — არა, რა თქმა უნდა, მალე კიბოსაც ბოლოს მოუღებს და, ვინ იცის, იქნებ საერთოდ სიკვდილიც მოსპოს.

მეორე დარბაზში მინის კარადას წააწყდა, რომელიც ისე ჩინებულად ირეკლავდა გამოსახულებას, რომ ერთი წუთის განმავლობაში მან გულმოდგინედ და კმაყოფილებით შეათვალიერა თავისი პიჯაკი, ვარცხნილობა და საყელო, შარვლის ნაოჭები და ჰალსტუხის მდგომარეობა. ხალისიანად განაგრძო გზა და ხეზე ჭრის ძველ ოსტატთა რამდენიმე ნამუშევარს მიაპყრო ყურადღება. გამრჯე ბიჭები ყოფილან, თუმცა საკმაოდ პრიმიტიულნიო, გაიფიქრა მონყალედ. ერთი მაღალი იატაკზე დასადგმელი საათიც დაათვალიერა მოთმინებით და მოიწონა კიდევ ეს ძველებური ნივთი, სპილოს ძვლისაგან დამზადებული პანანინა ადამიანთა ფიგურებით შემკული, მენუეტს რომ ცეკვავდნენ ყოველი საათის შესრულებისას. მერე ეს ყოველივე, ცოტა არ იყოს, მობეზრდა, მთქნარება მოეძალა და ხშირ-ხშირად ამოიღებდა და დახედავდა ხოლმე თავის ჯიბის საათს, რომლის გამორჩენა არსად შეარცხვენდა — ოქროს მძიმე საათი გახლდათ, მამის დანატოვარი.

სამწუხაროდ, სადილობამდე ჯერ შორს იყო, ამიტომ კიდევ ერთ დარბაზში შეიარა და იმან, რაც იქ იხილა, კვლავ გააღვივა მისი ცნობისმოყვარეობა. აქ შუასაუკუნეობრივ ცრურწმენებთან დაკავშირებული საგნები იყო თავმოყრილი, საჯადოქრო წიგნები, ავგაროზები, კუდიანთა სამოსელი, ხოლო ერთ კუთ-

ხეში მთელი ალქიმიური სახელოსნო მოეწყობოთ თავისი ქურით, იქვე მიელაგებინათ როდინები, მუცელგანხიერი ბოთლები, ღორის გამხმარი ფაშვები, საბერველები და მისთანანი. ეს კუთხე შალის ძაფით გამოეყობოთ დარბაზში, აბრაც მიეკრათ, სადაც ეწერა, ნივთებისთვის ხელის ხლება სასტიკად აკრძალულიაო. მაგრამ ასეთ აბრებს ვინ კითხულობს წესიერად და ციგლერი დარბაზში მთლად მარტო იყო.

დაუფიქრებლად გადაყო მკლავი თოქს იქით და ხელით მოსინჯა რამდენიმე კომიკური ნივთი. შუა საუკუნეებსა და მაშინდელ სასაცილო ცრუმორწმუნეობაზე ბევრი გაეგონა და წაეკითხა; მისთვის გაუგებარი იყო, როგორ იცლიდნენ ადამიანები ასეთი ბავშვური რალაცებისთვის, ანდა სულაც რატომ არ იკრძალებოდა ეს ჯადოქრული ცრუპენტელობა და მთელი ეს სიბრიყვე. ეგ კი არა, ალქიმია თავის მართლებასაც ცდილობს, აქაოდა ჩემგან ესოდენ საჭირო ქიმია წარმოიშვაო. ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ოქროს მისაღები მოწყობილობა და მთელი ეს ჯადოქრული სულელური ხარახურა მართლა აუცილებელი იყო იმისათვის, რომ დღეს ასპირინი და გაზის ბომბები გვექონოდა!

უნებურად აიღო ხელში პატარა შავი ბურთულა, აბის მაგვარი, გამხმარი, მსუბუქი საგანი, თითებს შორის შეატრიალა და ის იყო თავის ადგილზევე უნდა დაედო, რომ ფეხის ხმა მოესმა, მოტრიალდა და ახლადშემოსული დამთვალეიერებელი დაინახა. ციგლერს შერცხვა, ბურთულა რომ ხელში ეჭირა (როგორც ჩანს, მაინც წაუკითხავს ამკრძალავი წარწერა!), ამიტომ ხელი მომუჭა, ჯიბეში ჩაიყო და გარეთ გავიდა.

ქუჩაში ისევ მოაგონდა ბურთულა. ამოიღო ჯიბიდან და გადაგდება დააპირა, მაგრამ ჯერ ცხვირთან მიიტანა და დაყნოსა. ფიჭვის წებოს მსგავსი სუსტი სუნი იგრძნო, ესამოვნა და ისევ ჯიბეში ჩაიღო.

ჩვენმა გმირმა რესტორნისაკენ გასწია, სადილი შეუკვეთა, გაზეთები გადაათვალიერა, ჰალსტუხი შეისწორა და კლიენტთა ნაწილს პატივისცემით აღსავესე მზერა მოავლო, ნაწილს კი ქედმაღლურად გადახედა, იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ იყო ჩაცმული. რაკი სადილს ცოტა შეაგვიანდა, ციგლერმა ჯიბიდან ხელს გამოყოლილი ალქიმიკოსთა აბი ამოიღო და დაყნოსა, მერე საჩვენებელი თითის ფრჩხილით მოფხიკა, ბოლოს მიამიტურად აჰყვა ბავშვურ ცდუნებას და ბურთულა პირისკენ გააქანა; პირში ის სწრაფად გადნა, არც უსამოვნო გემო დაუტოვებია. ასე რომ, ციგლერმა სულ ერთი ყლუპი ლუდით ჩაირეცხა ყელი. მალე სადილიც მოართვეს.

ორ საათზე ჩამოხტა ტრამვაის ვაგონიდან, ზოოპარკის შესასვლელს მიადგა და ბილეთი აიღო.

ხალისიანი ღიმილით გაეშურა მაიმუნებისკენ და შიმპანზეს გალიასთან შედგა. ვეება მაიმუნმა თვალი ჩაუკრა, გულლიად მიესალმა და მკერდიდან ნამოსული ლულუნა ხმით წარმოთქვა: „როგორა ხარ, ძმობილო?“

შეზარა ამ ხმის გაგონებამ ციგლერი, დამფრთხალმა იბრუნა იქიდან სასწრაფოდ პირი და ახლა ზურგსუკან მოესმა მაიმუნის ლანძღვა: „ნახეთ, რა ამაყია ყმანვილი! ბრიყვო, გოიმო!“

აჩქარებული ნაბიჯით მიადგა ანთართა გალიას. ისინი თავანყვეტილნი ცეკვავენ და გაჰყვიროდნენ: „მოიტა შაქარი, ძმაკაც!“ და რაკი შაქარი ვერ მიართვეს, დაიბოლმენ, გასცინეს ციგლერს, გაღლეტი-

ლი უნოდეს და კბილები დაულრჭიალეს. ეს ველარ აიტანა; ზარდაცემული და თავგზაარეული გავარდა იქიდანაც და ირმებისა და შვლების ადგილსამყოფელისკენ გადაუხვია. ამათგან ის უფრო ზრდილობიან საქციელს ელოდა.

ზორბა, დიდებული ცხენირემი გისოსებთან მომდგარიყო და სტუმარს მისჩერებოდა. და ციგლერს შიშის ჟრუანტელმა დაუარა, რადგან მიხვდა, რომ მას შემდეგ, რაც ჯადოსნური აბი გადაყლაპა, ცხოველთა ენა ესმოდა. ცხენირემი, მაგალითად, თვალებით ლაპარაკობდა, დიდი, ნაბლისფერი თვალებით. მისი ჩუმი მზერა სიდიადეზე, ერთგულებასა და სევდაზე მეტყველებდა, დამთვალეირებლის მიმართ კი ქედმაღლურ-სერიოზულ ზიზლს გამოხატავდა, თავზარდამცემ ზიზლს. ციგლერმა იგრძნო, რომ ამ მშვიდი, დიადი მზერისთვის იგი, საკვირაოდ გამონწყობილი, თავის შლაპიან-ხელჯოხიან-საათიანად, ნაგავი იყო, სასაცილო და საძაგელი პირუტყვი და სხვა არაფერი.

ცხენირმიდან ციგლერი ჯიხვისაკენ გაქანდა, იქიდან არჩვებისაკენ, მერე ლამას მიაშურა, შემდეგ გნუს, ტახებსა და დათვებს. თუმცა ამათ მისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, მაგრამ ყველა მათგანს რომ სძაგდა, ეს შეამჩნია. ყური მიუგდო მათ საუბარს და შეიტყო, რას ფიქრობდნენ ისინი ადამიანებზე. შემადრწუნებელი იყო, რასაც ისინი მათზე ფიქრობდნენ. ყველაზე უფრო კი ის აოცვებდათ, მაინცდამაინც ამ მახინჯ, აქოთებულ, უღირს, მასხარასავით გამოპრანჭულ ორფეხა არსებებს რომ ჰქონდათ თავისუფლად სიარულის უფლება.

გაიგონა, როგორ ესაუბრებოდა პუმა თავის პატარებს. ეს იყო ღირსეული, საქმიანი სიბრძნით აღსავ-

სე საუბარი, რის მსგავსსაც ადამიანთაგან იშვიათად მოისმენდით. მან გაიგონა, როგორ გამოხატა თავისი აზრი დამთვალეიერებელთა ბრბოზე — მოკლედ და მოზომილად, არისტოკრატიული მანერით — მშვენიერმა ჯიქმა. თვალეებში ჩახედა ქერა ლომს და შეიტყო, რა ვრცელი და საოცარია ველური სამყარო, სადაც არც გალიეებია და არც ადამიანის ჭაჭანება. ნახა შევარდენი, ნალვლიანი და ამაყი, გულდამძიმებული, გაუნძრევლად რომ იჯდა მკვდარ ტოტზე, და ნახა ჩხიკვები, ტყვეობას ღირსების გრძნობით, ირონიითა და იუმორით რომ უმკლავდებოდნენ.

შენუხებული, კალაპოტიდან ამოვარდნილი, სასონარკვეთილი ციგლერი ახლა ისევ ადამიანებისკენ მიბრუნდა. ისეთ გამოხედვას ეძებდა, მის გასაჭირსა და შიშს რომ გაიგებდა, აყურადებდა საუბრებს, რათა რაიმე დამაიმედებელი, გულში ჩამწვდომი, კეთილისმყოფელი გაეგონა, აკვირდებოდა დამთვალეიერებელთა მანერებს, იქნება სადმე ღირსება, ბუნებრიობა, კეთილშობილება, უხმაურო აღმატებულობა აღმოვაჩინოო.

მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ესმოდა ხმები და სიტყვები, ხედავდა მოძრაობებსა და შესტებს, გრძნობდა მზერას, და რაკი ყოველივეს ახლა ცხოველთა თვალთახედვით უცქერდა, მხოლოდ გადაგვარებულ, ფარისევლურ, ცრუპენტელა, მახინჯ, ცხოველურ არსებათა საზოგადოებას ჭვრეტდა, რომელიც ყველა სახეობის ნადირთა მასხრულ ნაზავს ჰგავდა.

სასონარკვეთილი აწყდებოდა ციგლერი აქეთ-იქით და სირცხვილით იწვოდა. ოთხნახნაგოვანი ხელჯობი უკვე ბუჩქებში მოესროლა, ხელთათმანებიც ზედ მიეყოლებინა, ხოლო როცა ახლა შლაპაც გა-

დაადგოდ, ჩექმები გაიძრო, ჰალსტუხი მოიგლიჯა და აქვითინებული აეკრა ცხენირმის გალიის გისოსს, იგი დიდის ამბით შეიპყრეს და საგიჟეთში მიაბრძანეს.

საუბარი ღუმელთან

იგი გამეცნო: სქელ-სქელი იყო, განიერი, დიდი პირი ცეცხლით ჰქონდა გამოვსებული.

„მე ფრანკლინი მქვია“, — მითხრა მან.

„ბენჯამინ ფრანკლინი?“ — ვკითხე მე.

„არა, მარტო ფრანკლინი. ან ფრანკოლინო. მე იტალიური ღუმელი ვარ, დიდებული გამოგონება! თუმცა მაინცდამაინც კარგად ვერ ვათბობ, მაგრამ...“

„ჰო“, — მივუგე, — „ვიცი. ყველა ღუმელი, რომელსაც ლამაზი სახელი ჰქვია, დიდებული გამოგონებაა, მაგრამ გათბობით კარგად ვერ ათბობს. მე ისინი ძალიან მიყვარს, აღტაცებას ვერ ვმაღავ მაგათი შემხედვარე. ოღონდ მითხარი, ფრანკლინ, რატომ უნდა ერქვას იტალიურ ღუმელს ამერიკული სახელი? განა ეს უცნაური არ არის?“

„უცნაური? არა. იცი რა, ეს ერთ-ერთი იდუმალ კანონთაგანია. ბუნება სავსეა ასეთი კანონებით. ლაჩარ ერებს აქვთ სიმღერები, რომლითაც სიმამაცეს განადიდებენ, უსიყვარულო ერებს აქვთ პიესები, რომლითაც სიყვარულს განადიდებენ. ასე ვართ ჩვენც, ღუმელები. იტალიურ ღუმელს მეტწილად ამერიკული სახელი ჰქვია, როგორც გერმანულ ღუმელსა ჰქვია მეტწილად ბერძნული სახელი. გერმანულნი არიან,

მაგრამ, მერნმუნეთ, ჩემზე უკეთესად ვერც ეგენი ათბობენ. სამაგიეროდ „ევრიკა“ ჰქვიათ, ან „ფენიქსი“, ანდა „ჰექტორის გამოთხოვება“. ეს დიდებულ მოგონებებს აცოცხლებს. და მეც ფრანკლინი მქვია. ლუმელი ვარ, მაგრამ ზოგიერთი ნიშნის მიხედვით სახელმწიფო მოღვაწეც შეიძლებოდა ვყოფილიყავი. დიდი პირი მაქვს, ბევრს ვნთქავ, ცოტას ვათბობ, კვამლს ვაფრქვევ მილიდან, ლამაზი სახელი მქვია და დიდებულ მოგონებებს ვალვიძებ. ასეა, ბატონო ჩემო!”

„ჰო“, — ვუთხარი, — „დიდი პატივისმცემელი ვართქვენი. რაკი იტალიური ლუმელი ხართ, ალბათ, თქვენს ლადარში ნაბლის შებრანვაც მოხერხდება“.

„რატომაც არა. ეგ კარგი გასართობია. ბევრს უყვარს. ზოგი ლექსებსაც წერს ანდა ჭადრაკს თამაშობს. რა თქმა უნდა, შეიძლება კაცმა ჩემს ლადარში ნაბლიც შებრანოს, რატომაც არა! მართალია, ნაბლი ჩანახშირდება, მაგრამ გართობით გაერთობი, გულს გადააყოლებ. ადამიანებს უყვართ გართობა და მეც ადამიანის ნახელავი არა ვარ? ჩვენ, ძეგლები, ჩვენს მოვალეობას ვიხდით, არც მეტი, არც ნაკლები“.

„რაო? „ძეგლებიო“? თქვენ თავი ძეგლად მიგაჩნიათ?“

„აბა რა. ჩვენ ყველანი ძეგლები ვართ. ჩვენ, ინდუსტრიის ნაშიერნი, ყველანი ძეგლები ვართ ერთი ადამიანური თვისებისა, გნებავთ, სიქველისა, იმ თვისებისა, რომელიც ბუნებაში იშვიათია და სრულყოფილი სახით მხოლოდ ადამიანებში მოიპოვება“.

„რა თვისებაა ეს?“

„რა და მიზანშეუნონლობის გრძნობა. მე, სხვა რამეებთან ერთად, ამ გრძნობის ძეგლიცა ვარ. მქვია ფრანკლინი, ვარ ლუმელი, მაქვს დიდი პირი, რომე-

ლიც შეშას ნთქავს, და დიდი მილი, რომლითაც სით-
ბო გარეთ მიექანება. მაქვს ორნამენტი და ორი სარ-
ქველი, რომლებიც შეიძლება გაიხსნას და დაიხუროს.
ესეც კარგი გასართობია. ფლეიტასავით რამეა”.

„ფრანკლინ, თქვენ მე გადამრევთ! თქვენ ყველაზე
ჭკვიანი ღუმელი ხართ მათ შორის, რაც მე მინახავს.
მაგრამ მაინც, ბოლო-ბოლო ღუმელი ხართ თუ ძეგლი?”

„რა კითხვებს იძლევით! თქვენ რა, არ იცით, რომ
ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც საგნებს
„აზრს“ ანიჭებს? მთელი ბუნებისათვის მუხა მუხაა, ქა-
რი — ქარი, ცეცხლი კი — ცეცხლი. ადამიანისთვის ასე
როდია, მისთვის ყველაფერი აზრით არის დატვირთუ-
ლი, ყველაფერი რაღაცას უკავშირდება! მისთვის ყო-
ველივე ნმიდათა ნმიდაა, ყოველივე სიმბოლოა.
მკვლელობა გმირობაა, შავი ჭირი ღვთისგან მოვლენი-
ლი გაფრთხილებაა, ომი ევოლუციაა. რალა ღუმელი
უნდა იყოს მარტო ღუმელი და სხვა არაფერი? ღუმე-
ლიც სიმბოლოა, ისიც ძეგლია, ისიც რაღაცას მოასწა-
ვებს. ამიტომ ესიყვარულებიან, ამიტომ სცემენ პა-
ტივს. ამიტომ უკეთებენ ორნამენტსა და სარქველებს.
მასაც ამიტომ არ მიაჩნია თავის ერთადერთ დანიშნუ-
ლებად გათბობა. ამიტომ ჰქვია ფრანკლინი”.

ქალაქი

„საქმე წინ მიდის!” შესძახა ინჟინერმა, როცა წინ-
დლით დაგებულ რკინიგზაზე უკვე მეორე მატარებე-
ლი ჩამოდგა, ადამიანებით, ქვანახშირით, სამუშაო

იარაღებითა და სურსათით სავსე. პრერია წყნარად
ვარვარებდა მზის ყვითელ შუქზე, ჰორიზონტზე
ლურჯ ნისლში გახვეული მაღალი ტყიანი მთიანეთი
აღმართულიყო. ველური ძაღლები და გაკვირვებული
კამეჩები შეჰყურებდნენ, რა მუშაობა და განამანია
გაჩაღდა უდაბურ ადგილას, როგორ დახვავდა მწვა-
ნე მინაზე ალაგ ქვანახშირი, ალაგ ნაცარი, ალაგ ქა-
ღალდი და ალაგ თუნუქი. პირველი გუთანი ახრჭი-
აღდა გულგახეთქილ მინაში, პირველმა თოფმა იჭე-
ქა და მისმა ხმამ მთებზე გადიგრიალა, პირველმა
ურომ გაიღო ჭახანი ჩაქურჩის სწრაფ რაკა-რუკში. ნა-
მოიჭიმა თუნუქის სახლი, მეორე დღეს ხისა, მერე
სხვებიც, ყოველდღე ახალ-ახალი და მალე — ქვისაც.
ძაღლები და კამეჩები იქაურობას გაეცალნენ, მინა
დამყოლი და პოხიერი გახდა, პირველსავე გაზაფ-
ხულს ნორჩი მარცვლეულით სავსე ყანები ბიბინებ-
და, გაჩნდა ეზოები, თავლები და ფარდულები, უდა-
ბური მხარე ქუჩებმა დასერა.

აშენდა და საზეიმოდ გაიხსნა სადგური, მთავრო-
ბის სახლი, ბანკი, სულ რაღაც ერთ თვეში ახლო-მახ-
ლო კიდევ რამდენიმე ქალაქი ამოიზარდა. ქვეყნიერე-
ბის ოთხივ კუთხიდან ჩამოდიოდნენ მუშები, გლეხები
და ქალაქელები, ჩამოდიოდნენ ვაჭრები და ადვოკა-
ტები, მქადაგებლები და მასწავლებლები, დაარსდა
სკოლა, სამი რელიგიური გაერთიანება, ორი გაზეთი.
დასავლეთით ნავთობის საბადო აღმოაჩინეს, ახალ-
გაზრდა ქალაქს დიდი კეთილდღეობა დაუდგა. ერთი
წელიწადი და, გაჩნდნენ ჯიბის ქურდები, საროსკი-
პოების მეპატრონეები, ბანდიტები, უნივერსალი, ალ-
კოჰოლის მონინააღმდეგეთა საზოგადოება, პარიზე-
ლი მკერავი, ბავარიული ლუდხანა. მეზობელ ქალაქ-

თა კონკურენციამ ტემპი ააჩქარა. აღარაფერი აკლდა ქალაქს, საარჩევნო მოხსენებით დაწყებული და გაფიცვით დამთავრებული, კინოთეატრით დაწყებული და სპირიტისტთა გაერთიანებით დამთავრებული. იშოვებოდა ფრანგული ღვინო, ნორვეგიული ზუთხი, იტალიური ძეხვი, ინგლისური ქსოვილი, რუსული ხიზილალა. გასტროლებზე ჩამოდიოდნენ მეორეხარისხოვანი მომღერლები, მოცეკვავეები და მუსიკოსები.

ნელ-ნელა კულტურაც შემოვიდა. ქალაქი, თავდაპირველად მხოლოდ დასახლება რომ იყო, თანდათან სამშობლოდ იქცა. აქ მისალმების თავისებური მანერა ჰქონდათ, შეხვედრისას თავის დაკვრის თავისებური მანერა, რომელიც სხვა ქალაქებში მიღებული მანერებისგან ოდნავ და ნატიფად განსხვავდებოდა. კაცები, რომელთაც ქალაქის დაარსებაში მიეღოთ მონაწილეობა, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ, მათ კეთილშობილური იერი დაჰკრავდათ. იზრდებოდა ახალი თაობა, რომელსაც ეს ქალაქი უკვე ძველ, ლამის უხსოვარდროინდელ სამშობლოდ მიაჩნდა. ის დრო, როდესაც აქ პირველი ჩაქურჩი ახმინდა, პირველი მკვლელობა მოხდა, პირველი ღვთისმსახურება ჩატარდა, პირველი გაზეთი დაისტამბა, შორეულ წარსულში დარჩენილიყო, უკვე ისტორია გახლდათ.

ეს ქალაქი მეზობელ ქალაქთა მბრძანებელი და მოზრდილი ოლქის დედაქალაქი გახდა. ფართო, ხალისიან ქუჩებზე, სადაც ერთ დროს ნაცრის გროვებისა და წუმპეების გვერდით ფიცრული, გოფრირებული თუნუქით გადახურული სახლები იდგა, დიდის ამბით წამოიმართნენ სამმართველოები და ბანკები, თეატრები და ეკლესიები, სტუდენტები უდარდელად

მისეირნობდნენ უნივერსიტეტისა თუ ბიბლიოთეკისკენ, სასწრაფო დახმარების მანქანები წყნარად მისრიალებდნენ კლინიკებისკენ, თუ რომელიმე დეპუტატის მანქანას შეამჩნევდა ხალხი, ესალმებოდა თავის რჩეულს, ოც ვეებერთელა, ქვისა და რკინისგან ნაგებ სკოლის შენობაში ყოველწლიურად სიმღერითა და მოხსენებებით აღინიშნებოდა სახელგანთქმული ქალაქის დაარსების დღე. ყოფილი პრერია ყანებით, ფაბრიკებით, სოფლებით დაიფარა და რკინიგზის ოცი ლიანდაგით დაისერა, მთიანეთი მოიახლოვეს და საბაგირო გზის მეშვეობით ხეობების შუაგულამდე აითვისეს. იქ, ან შორეულ ზღვაზე, მდიდრებს საზაფხულო აგარაკები ჰქონდათ.

დაარსებიდან ასი წლის შემდეგ მიწისძვრამ ქვა ქვაზე აღარ დატოვა ამ ქალაქისგან. იგი ხელახლა წამოიმართა და ყველაფერი, რაც ხისა იყო, ქვისა გახდა, რაც მომცრო იყო, გაიზარდა, რაც ვიწრო იყო, გაფართოვდა. რკინიგზის სადგური უდიდესი იყო ქვეყანაში, ბირჟა — უდიდესი მთელ კონტინენტზე, არქიტექტორები და მოქანდაკეები საზოგადოებრივი ნაგებობებით, სკვერებით, შადრევნებითა და ძეგლებით ამკობდნენ განახლებულ ქალაქს. მან ამ ახალ საუკუნეში ქვეყნის ულამაზესი, უმდიდრესი და ღირსშესანიშნაობებით სავსე ქალაქის სახელი მოიხვეჭა. სხვა ქალაქების პოლიტიკოსები და არქიტექტორები, ტექნიკოსები და ბიურგერმაისტერები ჩამოდიოდნენ, რათა სახელოვანი ქალაქის შენობები, წყალგაყვანილობები, მართვა-გამგეობა და სხვა სისტემები შეესწავლათ. იმ ხანებში ახალი რატუშის, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უმშვენიერესი ნაგებობის, მშენებლობა დაიწყო, და რაკი ეს, სიმდიდრეში ფეხის

შედგმისა და ქალაქური თავმოძნონეობის, ხანა ილ-
ბლიანად დაემთხვა საზოგადოებრივი გემოვნების
აღმავლობას, პირველ ყოვლისა არქიტექტურისა და
ქანდაკების სფეროში, სწრაფად მზარდი ქალაქი ხე-
ლოვნების კოპნია და თვალწარმტაც ნიმუშად იქცა.

შუაგულ დასახლებას, რომლის უკლებლივ ყველა
შენობა კეთილშობილი, ღია მწვანე ფერის ქვით იყო
ნაგები, დიდებული სკვერების ფართო, მწვანე სარ-
ტყელი ეკრა გარს, ამ წრის მიღმა კი ქუჩები და სახ-
ლები დიდ მანძილზე თანდათან იკარგებოდნენ სივ-
რცესა და სოფელ ადგილებში. ხალხი აღფრთოვანე-
ბით ათვალეირებდა უზარმაზარ მუზეუმს, რომლის
ასობით დარბაზსა და ეზოში ქალაქის მთელი ისტო-
რია იყო წარმოდგენილი დაარსებიდან ვიდრე განვი-
თარების უახლეს ეტაპამდე. ამ ნაგებობის პირველი
უშველებელი წინა ეზო ყოფილ პრერიას წარმოად-
გენდა, სადაც კარგად მოვლილი მცენარეები, ცხოვე-
ლები და უადრესი უბადრუკი სახლების, ქუჩაბანდე-
ბისა და დანესებულებების ზუსტი მოდელები ელოდა
მნახველთ. ახალგაზრდობა სეირნობა-სეირნობით
ათვალეირებდა გამოფენებს, რომლებიც ქალაქის
ისტორიას ასახავდნენ კარვებიდან და ქოხმახები-
დან, პირველი უსწორმასწორო ლიანდაგიდან დიდი
ქალაქის ქუჩათა ბრწყინვალეობამდე. ყოველივე ამის
მაგალითზე ისინი, თავიანთ მასწავლებელთა ხელ-
მძღვანელობით, რომელთაც ესმოდათ განვითარები-
სა და პროგრესის დიდებული კანონები, სწავლობ-
დნენ, როგორ წარმოიშობა უხეშისგან ნატიფი, ცხო-
ველისგან ადამიანი, ველურისგან განათლებული, სი-
ღარიბისგან დოვლათი, ბუნებისგან კულტურა.

მომდევნო ასწლეულში ქალაქმა თავისი ბრწყინ-

ვალების მწვერვალს მიაღწია. დღითიდღე ემატებოდა პენი და ელვარება, სანამ ყოველივე ამას დაბალ ფენათა სისხლიანმა რევოლუციამ არ დაუსვა წერტილი. მდაბიოებმა იმით დაიწყეს, რომ ნავთობის ბევრ დიდ სანარმოს, ქალაქიდან რამდენიმე მილით რომ იყვნენ დაშორებულნი, ცეცხლი წაუკიდეს და ქვეყნის დიდი ნაწილი თავისი ფაბრიკებით, ეზოებითა და სოფლებით ნაწილობრივ გადაიბუგა, ნაწილობრივ გაპარტახდა. ქალაქმა სისხლისღვრა და ათასი საშინელება გამოიარა, მაგრამ ყველაფერს გაუძლო და დანყნარებულ საუკუნეებში ნელ-ნელა ისევ მოლონიერდა, ოღონდ უწინდებური მჩქეფარე ცხოვრებისა და შენების თავი უკვე აღარ ჰქონდა. მას რომ დუხჭირი ჟამი ედგა, ამ დროს ზღვის გაღმა ერთი შორეული ქვეყანა ერთბაშად აყვავდა, ჰოდა, ის აწვდიდა ხორბალსა და რკინას, ვერცხლსა და სხვა წიაღისეულს იმ ამოურწყავი მიწის სიუხვით, ჯერ კიდევ დაუნანებლად რომ გასცემს გასაცემს. ახალმა ქვეყანამ მძლავრად მიიზიდა ძველი მსოფლიოს გამოუყენებელი ძალები, მისწრაფებები და სურვილები. იქ ქალაქები ერთ ლამეში ამოიზრდებოდნენ ხოლმე მიწიდან, ტყეები ქრებოდნენ, ჩანჩქერები არტახებში ექცეოდნენ.

ლამაზი ქალაქი თანდათან გაღარიბდა. ის აღარ იყო მსოფლიოს გული და ტვინი, აღარც მრავალი ქვეყნის ბაზარი და ბირჟა. იმასლა უნდა დასჯერებოდა, რომ თავი ერჩინა და ახალი დროების ხმაურში მთლად არ ჩაკარგულიყო. გაზარმაცებულ ადამიანებს, ვინც კი იქ დარჩა და შორეულ ახალ სამყაროში არ გადაიხვეწა, აღარაფერი ჰქონდათ ასაშენებელი და ასათვისებელი, დიდად იკლო ვაჭრობამ და შემო-

სავალმა. სანაცვლოდ ან უკვე დაბერებული კულტურის წიაღში სულიერი ცხოვრების თესლი გაღვივდა, მსოფლიოს ხმაურს გარიდებული ქალაქი მეცნიერთა და ხელოვანთა, მხატვრებისა და პოეტების სამშობლოდ იქცა. მათი შთამომავალნი, ვინაც ოდესღაც ყამირ წიადაგზე პირველი სახლები წამოჭიმა, მლიმარნი ატარებდნენ წუთისოფელს სულიერ განცხრომათა და მისწრაფებათა მშვიდი, ნაგვიანევი გაფურჩქნის ხანაში. ისინი ხატავდნენ ძველი, ხავსმოდებული ბალების სევდიან დიდებულებას, ბალებისას, სადაც ჟამთასვლისგან შელახული ქანდაკებები იდგა და გუბურებში წყალი გამწვანებულიყო; ნატიფი ლექსებით უმღერდნენ გარდასული გმირული დროების შფოთსა და მღელვარებას ანდა დაღალულ ადამიანთა ჩუმ ოცნებებს ძველ სასახლეებში. ყოველივე ამის წყალობით კიდევ ერთხელ მოედო ქვეყნიერებას ამ ქალაქის სახელი და დიდება. დაე, გარეთ ხალხები ომებს შეეძრა და დიდ-დიდ საქმეებს შებმოდნენ, ყველამ იცოდა, რომ აქ, მდუმარე განდგომილებაში, სიმშვიდე სუფევდა და გარდასულ დროთა ბრწყინვალეობა მკრთალად ციმციმებდა: მყუდრო ქუჩები, აყვავებული რტოებით რომ დაბურულიყვნენ, ამინდებისგან ფერშეცვლილი დიდ შენობათა ფასადები, ოცნებაში წასულნი რომ დაჰყურებდნენ უხმაურო მოედნებს, შადრევანთა ხავსმოდებული ბაკნები, წყნარი რაკრაკით რომ დასდიოდათ ცქრიალა წყალი.

რამდენიმე საუკუნე ძველი მეოცნებე ქალაქი ახალი სამყაროსთვის პატივსაცემი და საყვარელი ადგილი გახლდათ, რომელსაც პოეტები უმღერდნენ და შეყვარებულები სტუმრობდნენ. მაგრამ კაცობრიობის ცხოვრება სულ უფრო და უფრო მძლავრად მი-

ილტვოდა დედამინის სხვა კუთხეებისკენ. თვით ამ ქალაქში ძველი, ადგილობრივი ოჯახების შთამომავალნი თანდათან ამოწყდნენ და გადაშენდნენ. ბოლო სულიერი ყვავილობაც დიდი ხნის ჩამთავრებული იყო და უკვე ხრწნა შეჰპარვოდა. პატარ-პატარა მეზობელი ქალაქები კარგა ხანია მთლად გაჩანაგებულიყვნენ, მდუმარე ნანგრევებად ქცეულიყვნენ, სადაც დროდადრო ბოშები და დევნილი ავაზაკები აფარებდნენ თავს.

მინისძვრის შემდეგ, რომელმაც თვითონ ქალაქი დაინდო, მდინარის კალაპოტმა გადაინია და გაუდაბურებული მინის ნაწილი დაჭაობდა, ნაწილი კი გადახმა. ხოლო მთებიდან, სადაც უძველეს ქვისსამტეხლოთა და სააგარაკო სახლთა ნაშთები იფშხალებოდა, ნელ-ნელა ტყე, ულრანი ტყე ნამოვიდა. იგი გაუდაბურებულ ვრცელ არემარეს გადმოჰყურებდა და ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ იქცევდა მინას თავის ზურმუხტისფერ წიაღში. აქ ჭაობს გადაუარა შრიალა სიმწვანემ, იქ ქვათა შვაკი დაფარა ნორჩმა, გამძლე ნაძვნარმა.

ბოლოს ქალაქში მკვიდრი აღარავინ დარჩა, მხოლოდღა ვიგინდარები, უკეთური, ველური ხალხი ბინადრობდა აქ, რომელთაც გარდასული დროის დაფერდებული, ჩამომზღვლეული სასახლეებისთვის შეეფარებინათ თავი და ყოფილ ბალნარებსა და ქუჩებში თავიანთ გაძვალტყავებულ თხებს აძოვებდნენ. ესენიც ბოლოს თანდათან სნეულებებმა და უგუნურებამ გაჟუჟა, მთელი ის მხარე დაჭაობების შემდეგ ციებ-ცხელებამ შემუსრა და უდაბურებამ მოიცვა.

ნაშთები ძველი რატუმისა, რომელიც თავისი დროის სიამაყე გახლდათ, კვლავაც მძლავრად აღმართულიყო — სიმღერებში ყველა ენაზე ხოტბაშეს-

ხმული და უთვალავ თქმულებათა წყარო მეზობელ ხალხთათვის, რომელთა ქალაქები ასევე რა ხანია გაპარტახებული, კულტურა კი გადაგვარებული იყო. საბავშვო ზღაპრებსა და ნაღვლიან მწყემსურ სიმღერებში აჩრდილებივით ამოტივტივდებოდა ხოლმე ქალაქის გარდასულ დიდებაზე მეტყველი შერყვნილი და დამახინჯებული სახელები, ხოლო იმ შორეული ხალხების სწავლულნი, ახლა გაფურჩქნის ჟამი რომ დადგომოდათ, დროდადრო სახიფათო ექსპედიციებს აწყობდნენ ამ ნანგრევებში, რომელთა საიდუმლოებებზე შორეულ ქვეყნებში გატაცებით საუბრობდნენ სკოლის ბიჭები. იქ ბაჯალლო ოქროს კარიბჭეები და ძვირფასი თვლებით მოჭედილი საფლავის ძეგლები ეგულებოდათ, ხოლო იქაური მომთაბარე ველური ტომები ძველი საარაკო დროიდან შემორჩენილი ათასწლოვანი გრძნეულების მცოდნედ მიაჩნდათ.

ტყე მთებიდან ვაკეზე ჩამოდიოდა, ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ ტბები და მდინარეები, ტყე კი წინ მიიწევდა, ნელ-ნელა დაიპყრო და მოიცვა მთელი მხარე, ძველ გალავანთა, სასახლეთა, ტაძართა, მუზეუმთა ნაშთები, და იმ უკაცურ ადგილას მელა და კვერნა, მგელი და დათვი მომრავლდა.

ერთი იავარქმნილი სასახლის ადგილას ახალგაზრდა ფიჭვი ამოზრდილიყო. ერთი წლის წინ იგი მზარდი ტყის ყველაზე მოწინავე შიკრიკი და წინამორბედი გახლდათ. ახლა ის უკვე ახლადწამოზრდილი ხეების ჯარს გადაჰყურებს ზემოდან.

„საქმე წინ მიდის!“ შესძახა კოდალამ, ხის ზროს რომ უკაკუნებდა და მზარდ ტყესა და დედამინაზე სიმწვანის ძლევა მოსილ წინსვლას კმაყოფილებით შესცქეროდა.

მეფე იუ

ძველი ჩინეთის ისტორიაში ბევრი როდია ისეთი მმართველი თუ სახელმწიფო მოღვაწე, რომელთაც საქმე იმიტომ წაუვიდათ ცუდად, რომ საყვარელი ქალის ახირებებს აჰყვნენ. ამ იშვიათ მაგალითთაგან ერთ-ერთი, ფრიად ღირსშესანიშნავი, ჯოუს მეფე იუსა და მისი ცოლის, ბაუ სის, ამბავი გახლავთ.

ჯოუს სახელმწიფო დასავლეთით მონღოლ ბარბაროსთა ქვეყნებს ესაზღვრებოდა, მეფის რეზიდენციის, ფონგის, შემოგარენი კი არასაიმედოდ იყო დაცული, ამიტომ დროდადრო ბარბაროსთა ტომები ესხმოდნენ თავს და ძარცვავდნენ. ჰოდა, საზღვარი შეძლებისდაგვარად განმტკიცებას, ხოლო რეზიდენცია უკეთ დაცვას საჭიროებდა.

მეფე იუ სულაც არ გახლდათ ურიგო მმართველი და კარგი მრჩევლისთვის ყურის დაგდებაც იცოდა. საისტორიო წიგნები გვამცნობენ, რომ მან მოახერხა, მახვილგონივრული გამოგონებით აენაზლაურებინა საზღვრის ნაკლოვანებები, მაგრამ ეს ჩინებული გამოგონება ერთი კოპნია ქალბატონის ჭირვეულობას ემსხვერპლა თურმე.

მეფემ თავისი თავადების ხელშეწყობით დასავლეთ საზღვარზე დამცავი სისტემა გამართა, რასაც, ყველა პოლიტიკური ინსტიტუციის მსგავსად, ორი

მხარე ჰქონდა: მორალური და მექანიკური. ამ შეთანხმების მორალური საფუძველი თავადებისა და მათი მოხელეების ფიცი და საიმედოობა გახლდათ. ყოველ მათგანს ევალებოდა, პირველსავე დაძახებაზე თავისი ჯარისკაცებითურთ მეფისა და რეზიდენციის საშველად დაძრულიყო. მექანიკურ მხარეს კი კოშკების გონივრულად განწყობილი სისტემა წარმოადგენდა, კოშკებისა, რომლებიც მეფემ დასავლეთ საზღვარზე ააგებინა. თითოეულ კოშკზე სადღელამისო ყარაულობა დაწესდა, კოშკები კი მძლავრი დაფდაფებით აღიჭურვა. თუ მტერი სადმე საზღვარს გადმოლახავდა, უახლოეს კოშკზე დაფს შემოჰკრავდნენ, ეს ნიშანი კოშკიდან კოშკს გადაეცემოდა და სწრაფად მოედებოდა მთელ ქვეყანას.

დიდხანს მუშაობდა მეფე იუ ამ ჭკვიანურ და სასარგებლო გამოგონებაზე, თავადებს ეთათბირებოდა, ხუროთმოძღვართა მოსაზრებებს ისმენდა, ყარაულების საწვრთნელად იჭერდა თადარიგს. მაგრამ ერთი საყვარელი ქალი ესვა მეფეს, სახელად ბაუ სი, ლამაზი ქალი, რომელმაც იცოდა, როგორ მოეპოვებინა ხელმწიფის გულსა და გონებაზე იმაზე მეტი ზეგავლენა, ვიდრე ეს ქვეყნის განმგებლისა და მისი სამეფოსთვისაა სასიკეთო. ბაუ სი, თავისი მბრძანებლის დარად, დიდი ცნობისნადილითა და ინტერესით ადევენებდა თვალს სასაზღვრო სამუშაოებს, როგორც მკვირცხლსა და გამჭრიახ გოგონებს სწვევიათ ხოლმე, აღფრთოვანებითა და გაფაცვიცვებით რომ უცქერენ ზოგჯერ ბიჭების თამაშს. ერთმა ხუროთმოძღვარმა თვალსაჩინოებისთვის ქალს თიხისგან საზღვრის დამცავი სისტემის კოხტა მოდელი გამოუძერწა, მოუხატა და ლუმელში გამოუნვა; მოდელი საზ-

ღვარსა და კოშკების წყებას წარმოადგენდა, თითოეულ ციციქნა, კოპნია თიხის კოშკში თიხის ნამცეცა და-რაჯი იდგა, დაფდაფის ნაცვლად კი პანია ზანზალაკი ჩამოეკიდებინათ. ოი, როგორ გაახარა ამ მშვენიერმა სათამაშომ ქალი! და როცა დროდადრო უგუნებობა დარევდა ხელს, მხევლები შესთავაზებდნენ, „ბარბაროსების შემოსევა“ ვითამაშოთო. ჰოდა, გაანყობდნენ კოშკებს, აანკარუნებდნენ პანანკინტელა ზარებს და ჰქონდათ ერთი ლხენა და ლალობა.

დიდებული დღე გათენდა მეფის ცხოვრებაში, როცა ბოლოს და ბოლოს მშენებლობა დასრულდა, დაფდაფები დააყენეს, ყარაულები განვრთნეს და, როგორც წინდანინვე ჰქონდათ დათქმული, ერთ ბედნიერ კალენდარულ დღეს საზღვრის დაცვის ახალი სისტემა გამოსცადეს. მეფეს ეამაყებოდა თავისი ნაღვანი და ერთიანად დაძაბულიყო; სასახლის კარის მოხელეები მისალოცად გამზადებულიყვნენ, ყველაზე მეტად კი მშვენიერი ქალბატონი ბაუ სი აეტანა მოლოდინის მღელვარებას, ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა მთელი ეს წინასწარი ცერემონიები და გადაძახილ-გადმოდახილები.

როგორც იქნა დაადგათ საშველი და, აი, პირველად უნდა გაეთამაშებინათ დიდი და ნამდვილი მასშტაბით ის კოშკ-დაფდაფობანა, რომლითაც მეფის ცოლმა უამრავჯერ ისიამოვნა. იგი ისე აეტაცებინა სიხარულს, თავს ძლივს იმაგრებდა, რომ თვითონაც არ ჩარეულიყო თამაშში და განკარგულებები არ გაეცა. მეფემ მკაცრად ანიშნა, გაჩერდიო, და ქალმა თავი დაიოკა. დადგა ჟამი; უკვე სინამდვილეში — ნამდვილი კოშკებით, ნამდვილი დაფდაფებითა და ადამიანებით „ბარბაროსების შემოსევა“ უნდა გათამაშე-

ბულიყო, რათა ენახათ, როგორ იმუშავებდა ახალი სისტემა. მეფემ ნიშანი მისცა, კარის პირველმა მოხელემ ბრძანება კავალერიის მეთაურს გადასცა, მეთაურმა პირველ კოშკთან მიაჭენა ცხენი და განკარგულება გასცა დაფისთვის შემოეკრათ. მძლავრად დაიგრგვინა დაფის ბოხმა ხმამ, საზეიმო და დამთრგუნველი ბუბუნი გაისმა. ბაუ სი მლელვარებისგან გაფითრდა და აცახცახდა. დიდმა საომარმა დაფდაფმა ძალუმად დააგუგუნა მძაფრი, მინისშემძვრელი სიმღერა; სიმღერა, სავსე მონოდებითა და მუქარით, სავსე მომავალი საშინელებებით, ომითა და სიდუხჭირით, შიშითა და ნგრევით. ყველა მონინებით უგდებდა ყურს. ეს იყო ეს ხმა ლამის მიყუჩდა, რომ მომდევნო კოშკიდან საპასუხო გუგუნი გაისმა, შორეული და სუსტი, სწრაფადვე რომ მიწყდა, მერე აღარაფერი ისმოდა, მცირე ხნის შემდეგ კი საზეიმო დუმილი დასრულდა და ხალხი კვლავ ახმაურდა, ამოძრავდა და ალაპარაკდა.

ამასობაში დაფის ბოხმა, მუქარით აღსავსე გუგუნმა მეორედან მესამე, მეათე, ოცდამეათე კოშკს გადაურბინა და, სადაც კი მას ყურს მოჰკრავდნენ, მკაცრი ბრძანების თანახმად, ყოველ ჯარისკაცს უმაღვე იარაღი უნდა აესხა და საგზლით სავსე ხურჯინით თავშეყრის ადგილზე გამოცხადებულიყო, თითოეულ კაპიტანსა და პოლკოვნიკს დაუყოვნებლივ უნდა აღეკაზმა ლაშქარი და სასწრაფოდ დაეძრა მეფის სასახლისკენ, თანაც წინასწარ შეთანხმებული ბრძანებები დაეგზავნა ქვეყნის შიგნით. ყველგან, სადაც კი დაფის ხმას გაიგონებდნენ, თავს ანებებდნენ შრომას და ჭამას, თამაშს და ძილს, აიბარგებოდნენ, ცხენს შეკაზმავდნენ, ერთად მოგროვდე-

ბოდნენ და გზას დაადგებოდნენ. მალე ყველა მეზობელი ოლქიდან დაიძრნენ ფეხმარდი რაზმები ფონგის სასახლისკენ.

ფონგში, მეფის კარზე, ის მღელვარება და დაძაბულობა, მრისხანე დაფდაფის ხმაზე რომ დაეუფლა ყველას, მალევე განელდა. გამოცოცხლებული ხალხი სასახლის ბალებში დასეირნობდა და მასლაათობდა, მთელი ქალაქი ზეიმობდა, ხოლო როცა სამიოდე საათში ორი მხრიდან მცირე და მოზრდილი ცხენოსანი რაზმები მოახლოვდნენ, მერე კი ყოველ საათში ახალ-ახლები ემატებოდნენ მათ, რაც მთელ იმ დღეს და ორ მომდევნო დღესაც გაგრძელდა, მეფე, მოხელეები და ოფიცრები აღფრთოვანებას ველარ მალავდნენ. მეფისთვის პატივი და მილოცვები არ დაუკლიათ, ხუროთმოძღვრებს ნადიმი გაუმართეს, ხოლო პირველი კოშკის ყარაული, ვინც პირველმა შემოჰკრა დაფდაფს, ხალხმა გვირგვინით შეამკო, ქუჩები შემოატარეს და საჩუქრებით აავსეს.

მაგრამ მეფის ქალს, ბაუ სის, აღტაცებისგან სული შეჰკუბებოდა და რეტდასხმულს ჰგავდა. რას წარმოიდგენდა, მისი კოშკ-ზანზალაკობანა ასე დიდებულ სინამდვილედ თუ გადაიქცეოდა. რა ჯადო ძალა ჰქონია იმ ბრძანებას, დაფის გუგუნის შორეულ ექოში გახვეული რომ ჩაიკარგა სივრცეში და შორეთიდან ცოცხალი, ნამდვილი, უზარმაზარი ჯარი გამოიხმო; დაფის გულისგამყინავი გრგვინვა ლაშქრად გარდაისახა, კარგად აღჭურვილ ასეულთა და ათასეულთა ლაშქრად, უწყვეტ ნაკადად, შეუნელებელი სისწრაფით რომ მოიწვედა ჰორიზონტიდან: მშვილდოსნები, მსუბუქად და მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნები, შუბოსნები ჩოჩქოლით მოადგნენ ქალაქს,

სადაც მათ მიეგებნენ და თავთავიანთი ადგილები მიუჩინეს, სადაც მათ გულითადად უმასპინძლეს, სადაც ისინი დაბანაკდნენ, კარვები დასცეს და კოცონი დაანთეს. დღედაღამ გრძელდებოდა ეს, ისინი ზღაპრული არსებებივით ამოძვრნენ რუხი მინიდან, შორეულნი, პანანკინტელები, მტვრის ბოლქვებში გახვეულები, და ბოლოს, აი აქ, სამეფო კარისა და აღტაცებული ბაუ სის თვალნინ, წარმტაც სინამდვილედ ქცეულნი ჩამწკრივდნენ.

მეფე იუ ფრიად კმაყოფილი ჩანდა, მეტადრე საყვარელი ქალის აღფრთოვანება უხაროდა; ბედნიერებისგან სახე უბრწყინავდა ბაუ სის და მეფეს იგი ასეთი თვალწარმტაცი არასოდეს ენახა. მაგრამ დღესასწაულები ხომ ხანმოკლეა! ამ დიდმა დღესასწაულმაც ჩაიარა და ყოველდღიურობას დაუთმო ადგილი; საოცრებები აღარ ხდებოდა, ზღაპრული ოცნებები აღარ ცხადდებოდა. მოცლილი და ნებიერი ადამიანებისთვის აუტანელია ამგვარი ყოფა. დღესასწაულიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ბაუ სის კვლავ წაუხდა გუნება. თიხის პანია კოშკებითა და ძაფგამობმული ზანზალაკებით თამაშმა სულ დაკარგა ეშხი მას შემდეგ, რაც ქალმა დიდ თამაშს გაუგო გემო. ო, რა თავბრუდამხვევი რამ იყო! მერედა, რა უნდოდა იმ სანეტარო თამაშის განმეორებას; აგერ ჩამწკრივებულიყვნენ დაფდაფიანი კოშკები, თავ-თავიანთი გუშაგებით, უნიფორმებიანი მედაფდაფეებით, ყველაფერი წკიპზე შემართული ელოდა დიად ბრძანებას, მაგრამ რად გინდა, ბრძანების გარეშე ყოველივე ეს მკვდარი და უმაქნისი გახლდათ!

სადღა იყო ბაუ სის კისკისი, სადღა იყო მისი ციმციმა სიხალისე; დაჯავრიანებული მეფე ხედავდა,

როგორ კარგავდა უსაყვარლეს გულისსწორსა და შელამებათა ნუგეშს. საჩუქრები გააასმაგა, ოლონდაც კი ქალის სახეზე ღიმილი დაენახა. მის ცხოვრებაში დადგა ნამი, როცა მართებდა, ვითარება სწორად შეეფასებინა და სიამტკბილობა მოვალეობის სამსხვერპლოზე მიეტანა. მაგრამ იუს ნებისყოფა აკლდა. რას არ გაიღებდა, ოლონდ კი კვლავაც გაღიმებული ენახა ბაუ სი.

ჰოდა, დაჰყვა ცდუნებას, ნელა-ნელა და ძალისძალათი, მაგრამ დაჰყვა. იმდენი ქნა ბაუ სიმ, რომ მეფეს საკუთარი მოვალეობა გადაავინყა. დაჟინებული თხოვნით ძლეულმა ქალს სანუკვარი სურვილი აუსრულა; დაჰყაბულდა, რომ მესაზღვრეთათვის მტრის გამოჩენის ნიშანი მიეცათ. უმაღვე გაისმა საომარი დაფდაფების მოგუდული, ამაღელვებელი ხმა. გულშემზარავად ჩაესმა ეს ხმა ამჯერად მეფეს, და ბაუ სიც შეკრთა ამ გუგუნის გაგონებაზე. მერე კი ის მომხიბლავი თამაში განმეორდა: ქვეყნის დასალიერზე მტრის პატარ-პატარა ბოლქვები ავარდა, სამი დღელამე მოიჩქაროდნენ რაზმები ცხენით თუ ფეხად, მხედართმთავრებმა ქედი მოიდრიკეს, ჯარისკაცებმა კარვები დასცეს. ბაუ სი ცას ენია სიხარულით, სიცილმა გაუცისკროვნა სახე. მეფე იუ კი ჭირის ოფლში იწურებოდა. იძულებული იყო ელიარებინა, არავინაც არ დაგვსხმია თავს, სრული სიმშვიდე სუფევსო. ცრუ განგაშის გამართლებაც კი სცადა, აქაოდა ვარჯიშიც ხომ საჭიროაო. არავინ შეჰპასუხებია, თავი მოუდრიკეს და მომხდარს შეურიგდნენ. მაგრამ ოფიცრებში ხმა დაირხა, მეფემ ვერაგული ოინი გვიყო, იმ თავისი ხასის გულისთვის აანრიალა მთელი საზღვარი და ამდენი ხალხი ტყუილუბრალოდ შეგ-

ვყარაო. ოფიცრების უმეტესობა შეთანხმდა, ამიერი-
დან ასეთ ბრძანებას აღარ დამორჩილებოდნენ. ამა-
სობაში მეფე ცდილობდა, განაწყენებული რაზმები
გულუხვი მასპინძლობით მოეყვანა გუნებაზე. ასე
გაიტანა თავისი ბაუ სიმ.

მაგრამ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ხელახლა წამო-
უვლიდა ხუშტურები და ამ უსინდისო თამაშს ხელმე-
ორედ წამოიწყებდა, მასაც და მეფესაც სასჯელმა
უნია. დასავლეთის ბარბაროსები, შესაძლოა შემ-
თხვევით, შესაძლოა იმიტომ, რომ იმ ამბავმა მათ ყუ-
რამდეც მიაღწია, ერთხელაც უეცრად გუნდ-გუნდად
მოადგნენ საზღვარს. კოშკებმა დაუყოვნებლივ მის-
ცეს ნიშანი ერთიმეორეს, დაფის მოგუდულმა ხმამ
გამაფრთხილებლად გადაურბინა მთელ ქვეყანას და
საზღვრის უშორეს წერტილსაც მისწვდა. მაგრამ ეს
ჩინებული სათამაშო, რომლის მექანიზმიც პირდაპირ
განსაცვიფრებელი გახლდათ, თითქოს მოიშალა —
დაფდაფები კი გუგუნებდნენ, მაგრამ ჯარისკაცებსა
და ოფიცრებს ამჯერად გული არ შესტოკებიათ.
აღარ გაჰყოლიან დაფის ხმას, მეფე და მისი ბაუ სი
ამაოდ აცეცებდნენ თვალებს აქეთ-იქით; აღარსად
ავარდნილა მტვრის ბოლქვები, აღარსაიდან გამოჩე-
ნილან პატარ-პატარა რუხი რაზმები, არავინ მოსუ-
ლა საშველად.

იმ მცირეოდენ რაზმებიანად, რომლებიც იქვე
ჰყავდა, მეფემ ბარბაროსებისკენ გასწია. მაგრამ ისი-
ნი ბევრნი იყვნენ; მეფის რაზმებს ადვილად მოერივ-
ნენ, ფონგის რეზიდენცია დაიპყრეს, სასახლე მოს-
რეს, კოშკები მილენ-მოლენეს. მეფე იუმ დაკარგა თა-
ვისი სამეფო და სიცოცხლესაც გამოესალმა, ეს ბედი
ენია მის ბაუ სისაც, რომლის დამლუპველი კისკისის

შესახებ დღესაც მოგვითხრობენ საისტორიო წიგნები.
ფონგი დაინგრა, ცუდად დამთავრდა თამაში. აღარ
იყო დაფდაფობანა, აღარც მეფე იუ, აღარც კისკისა
ქალბატონი ბაუ სი. იუს მემკვიდრემ, მეფე პინგმა, სხვა
გამოსავალი ვერა ნახა რა, გარდა იმისა, რომ ფონგზე
ხელი აიღო და რეზიდენცია შორს, აღმოსავლეთში გა-
დაიტანა; იძულებული შეიქნა, ძალაუფლების განსამ-
ტკიცებლად მეზობელი ქვეყნების განმგებელთ შეკ-
ვროდა და ვრცელი მიწები დაეთმო მათთვის.



ერის კესტნერი

ზღაპარი ბონიერებაზე

იყო ერთი სანდომიანი მოხუცი ბატონი, რომელსაც ასეთი ახირება სჭირდა — ხანდახან გონივრულ რაღაც-რაღაცებს მოიფიქრებდა ხოლმე. უფრო სწორად, მისი ეს ჩვეულება, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ იმის გამო ქცეულიყო ახირებად, რომ მოფიქრებულს განა თავისთვის შეინახავდა; არა, ადგებოდა და სპეციალისტებს გადმოულაგებდა. რაკილა მდიდარი იყო და იმ თავის ფრიად დამაჯერებელ მოსაზრებათა მიუხედავად ანგარიშს უწევდნენ, სპეციალისტებს მეტი გზა არ ჰქონდათ, თუნდაც ყურებაჭრიალებულს, მოთმინებით უნდა ესმინათ მისთვის. სპეციალისტებისთვის კი ნამდვილად არ არსებობს უფრო მურდალი წამება, ვიდრე ის, რომ მომღიმარი სახით უგდონ ყური გონივრულ წინადადებას. რადგანაც გონება, ყველას მოეხსენება ეს, რთულს ისეთნაირად ამარტივებს, სპეციალისტებს გაგონებაც რომ არ უნდათ და, აქედან გამომდინარე, გაუგონარ საშინელებად ერჩვენათ. ამისთანა რამეს, არცთუ უსაფუძვლოდ, ისე აღიქვამენ, თითქოს ვიღაცა თვითნებურად ყოფდეს ცხვირს მათს წვითა და დაგვით მოპოვებულ და ნალოლიავე უფლებამოსილებებში. მარ-

თლაცდა, იკითხავს კაცი, რაღა ეშველებოდათ ამ სანყლებს, რომ თვითონ კი არ ბატონობდნენ, არამედ მათ ნაცვლად გონიერება განმგებლობდეს!

ერთ მშვენიერ დღეს ამ სანდომიანმა მოხუცმა სიტყვა ითხოვა სხდომაზე, სადაც დედამინის უსაჩინოეს დიდკაცობას მოეყარა თავი და ბჭობდნენ, ამ ქვეყნად შუღლი და გაჭირვება როგორ აღმოვფხვრათო. „ღმერთო, დიდებულო!“ გაიფიქრეს მათ. „ვინ იცის, დღეს რაღას გვიმზადებს თავისი სულელური გონებით!“ და გამოსვლის ნება დართეს. ისიც გამოვიდა, ცოტა ძველმოდურად დაუკრა თავი საზოგადოებას და ჩამოჯდა. ილიმებოდა. ისინიც ილიმებოდნენ. ბოლოს დაიწყო თავისი სათქმელი:

„ბატონო სახელმწიფოს მეთაურნო და დიდმეთაურნო“, თქვა მან, „ერთი, როგორც თავად ვგონებ, სასარგებლო აზრი დამებადა; მისი პრაქტიკული ვარგისიანობა შემონმებულია; მსურს, თქვენს თავყრილობას გავაცნო იგი. ყური მიგდეთ, გეთაყვა. მე კი არა, გონიერება გავალებთ ამას“. მათ გატანჯული ღიმილით დაუქიციინეს სახელმწიფო თავები, მოხუცმა კი განაგრძო: „ვხედავ, განგიზრახავთ თქვენს ხალხებს მშვიდობა და წყნარი ცხოვრება დაუმკვიდროთ; ეს კი, პირველ ყოვლისა და გონიერებისდა კვალად, რაზომ ურთიერთგანსხვავებულნიც არ უნდა იყოს თქვენი ეკონომიკური შეხედულებანი, მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გნადიანთ დედამინის ყველა მცხოვრები კმაყოფილი იყოს. ან, ეგებ, ვცდები ამ პუნქტში?“

„ღმერთო, დაგვიფარე!“ შესძახეს მათ. „არამც და არამც! ეგ რამ გაფიქრებინათ, საყვარელო მოხუცო ბატონო!“ — „რა კარგია!“ თქვა მან. „მაშ, თქვენი

პრობლემა გადაჭრილია. მომილოცავს თქვენთვის და თქვენი ხალხებისთვისაც. წადით ახლა შინ, თქვენ-თქვენი სახელმწიფოების ფინანსებიდან, კონსტიტუციის ფარგლებში და შეძლების კვალობაზე, ერთობლივად გამოყავით თანხა, რომელიც მე გულდასმით დავიანგარიშე და, სათქმელს რომ გავასრულებ, დაგისახელებთ! ამ თანხას კი, აი, რა უნდა უყოთ: თითოეული ოჯახი თითოეულ თქვენს ქვეყანაში საჩუქრად მიიღებს პატარა, კოხტა, ექვსოთახიან ვილას, ბალითა და გარაჟითურთ, აგრეთვე ავტომობილს. ვინაიდან ნაგულისხმევი თანხა ამით არ ამოიწურება, შეგიძლიათ, — ესეც ნაანგარიშევია, — დედამიწის ყველა კუთხეში, სადაც კი ხუთი ათას სულზე მეტი მოსახლე ცხოვრობს, ახალი სკოლა და თანამედროვე საავადმყოფო ააშენოთ. მშურს თქვენი, ვინაიდან, თუმცაღა არ მგონია, მატერიალური კეთილდღეობა უმაღლეს ამქვეყნიურ ფასეულობას წარმოადგენდეს, მაგრამ იმდენი გონიერება კი მაქვს, ვხვდებოდე, რომ ხალხთა შორის მშვიდობა პირველ ყოვლისა ადამიანთა ნივთიერ კმაყოფილებაზედ კიდია. ნელან რომ გითხარით, მშურს-მეთქი თქვენი, ვიცრუე. მე ბედნიერი ვარ“. სანდომიანმა მოხუცმა გულისჯიბზე გაიკრა ხელი და მომცრო სიგარას მოუკიდა.

დამსწრეთ მოძალებული ღიმილისგან სახეები დაებრიცათ. ბოლოს სახელმწიფოს უდიდესმა დიდმეთაურმა თავს სძლია და ჩახლეჩილი ხმით იკითხა: „რა თანხა გაქვთ გათვალისწინებული თქვენი მიზნებისთვის?“ — „ჩემი მიზნებისთვის?“ კითხვითვე მიუგო სანდომიანმა მოხუცმა ბატონმა, ხმაზე მსუბუქი შეცბუნება დაეცყო. „ჰა, ბრძანეთ ახლა!“ დაიძახა

მეორე დიდმეთაურმა. „რამდენი დასჭირდება მაგ პანია თავშესაქცევს?“

„ერთი ბილიონი დოლარი“, მშვიდად უპასუხა სანდომიანმა მოხუცმა. „ერთ მილიარდში ათასი მილიონია, ერთ ბილიონში კი — ათასი მილიარდი. ეს არის ერთიანი თორმეტი ნულით“. და კვლავ მოქაჩა თავისი მომცრო სიგარა.

„მთლად გამოტვინებულხართ!“ დაიყვირა რომელიღაც სახელმწიფოს დიდმეთაურმა.

სანდომიანი მოხუცი მხრებში გასწორდა და გაკვირვებით შეხედა მყვირალს. „ეგ როგორ მოგივიდათ აზრად?“ იკითხა მან. „რა თქმა უნდა, ეს დიდი ფულია, მაგრამ ბოლო ომზე, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ზუსტად ამდენივე დაიხარჯა!“

აქ კი სახელმწიფოს მეთაურებსა და დიდმეთაურებს გამაყრუებელი ხარხარი წასკდათ. სწორედ რომ ბრდღვინავდნენ. ბარძაყებზე ხელებს იტყაპუნებდნენ, განგმირულებივით ხაოდნენ და სიცილისგან წამოცვენილ ცრემლებს იწმენდდნენ.

სანდომიანი მოხუცი უმწეოდ შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს. „ვერ გამიგია, რა გამხიარულებთ“, თქვა მან. „იქნებ კეთილი ინებოთ და განმიმარტოთ, აგრე რამ გაგახალისათ? თუკი ხანგრძლივი ომი ერთი ბილიონი დოლარი დაჯდა, ხანგრძლივი მშვიდობა რატომ არ უნდა ღირდეს ამდენივე? ღვთის გულისათვის, რა არის აქ სასაცილო?“

უფრო ხმამაღლა ახარხარდა ყველა. ნამდვილი ჯოჯოხეთური ხარხარი იდგა. ერთმა სკამზე ველარ გაძლო, წამოვარდა, ატკიებულ ფერდებზე იტაცა ხელები და, რაც ძალი და ღონე შერჩენოდა, იყვირა: „ბებერო რეგვენო, ომი — ომი ხომ სულ სხვა რამეა!“

(სახელმწიფოს დიდმეთაურნი, სანდომიანი მოხუცი და მათი თავშესაქცევი საუბარი პირნმინდად გამოგონილია. სამაგიეროდ, ომი რომ ერთი ბილიონი დოლარი დაჯდა და ეს თანხა ყველაფერს გასწვდებოდა, რაც ზემოთ მოგახსენეთ, სინამდვილეაო, ირწმუნება „ფრანკფურტერ ნოიე პრესეში“ გამოქვეყნებული ამერიკული სტატისტიკა).

ზღაპარი ბედნიერებაზე

სამოცდაათისა თავისუფლად იქნებოდა ის მოხუცი კაცი, გაბოლილ ტრაქტირში ჩემ პირისპირ რომ იჯდა. ისეთი ქოჩორი ჰქონდა, დათოვლილი გეგონებოდა, თვალები კი მოლიპული ყინულივით ულაპლაპებდა. „ოი, რა უგუნურები არიან ადამიანები“, თქვა მან და თავი გადააქნია, მეგონა, საცაა მისი თმებიდან ფიფქები ჩამობარდნის-მეთქი. „ბოლოს და ბოლოს, ბედნიერება შებოლილი ძეხვი ხომ არაა, დღეცისმარე შენი წილი ნაჭერი რომ ჩამოათალო!“

„მართალია“, მივუგე მე, „ბედნიერებას ბოლში გამოყვანილისა არაფერი სცხია. თუმცა...“

„თუმცა?“

„თუმცა თავად თქვენ ისე გამოიყურებით, თითქოს ბედნიერების ლორი გეგულეობოდეთ შინ“.

„მე გამონაკლისი ვარ“, თქვა მან და ერთი ყლუპი მოსვა. „გამონაკლისი ვარ. მე ის კაცი ვარ, ვისაც ერთი სურვილის უფლება აქვს“.

გამომცდელად შემომაცქერდა, მერე კი თავის ამბავს მომიყვა.

„დიდი ხანი გავიდა მას აქეთ“, დაიწყო და თავი ხელებს ჩამოაყრდნო, „ძალიან დიდი ხანი. ორმოცი წელიწადი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი და ცხოვრება ისე მიმწარებდა სულს, როგორც დასიებული ლოყა. ერთხელ, შუადღისას, გუნებამომშხამული რომ ვიჯექი პარკში, მწვანე სკამზე, ერთი მოხუცი კაცი მომისკუპდა გვერდით და სასხვათაშორისოდ ჩამილაპარაკა: „მაშ, კარგი. ვიფიქრეთ ჩვენ ამაზე. სამი სურვილის უფლება გაქვს“. მე გაზეთს ჩავჩერებოდი და ყურიც არ შემიბერტყავს. „ისურვე, რაც გინდოდეს“, განაგრძო მან, „მშვენიერზე მშვენიერ ქალს ისურვე, ბევრზე ბევრ ფულს თუ დიდზე დიდ უღვაშს — ეგ შენი საქმეა, ოლონდ, ბოლო-ბოლო, შენს ბედნიერებას საშველი დაადგეს! ნერვები დაგვანყვიტა შენმა წუნუნმა“. პირნავარდნილი თოვლის პაპა იყო, სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყობილი. თეთრი ბუთქუნა წვერი, დატკრუცული, კოკროჭინა ლოყები, ბამბასავით წარბები. შეშლილობისა არაფერი ეცხო. ეგ იყო, ცოტა ზედმეტად გულკეთილი ჩანდა. გულდასმით შევათვალე და ისევ გაზეთს ჩავაჩერდი. „თუმცა არაა ჩვენი საქმე, მაგ შენს სამ სურვილს რასაც უზამ“, თქვა მან, „მაგრამ, რა თქმა უნდა, აჯობებს, თუ ყველაფერს კარგად აწონ-დანონი ხოლმე, სანამ რამეს ისურვებდე. რადგანაც, სამი სურვილი ოთხი სურვილი როდია ანდა ხუთი, არამედ სამად სამი. ჰოდა, თუკი მერე მაინც უბედური და შურიანი დარჩები, ველარაფერს გიშველით“. არ ვიცი, შეძლებთ კი, თავი ჩემს ადგილას წარმოიდგინოთ. ვიჯექი სკამზე ღვთისა და ქვეყნის მომდურავი. შორიდან

ტრამვაის წკარუნი ისმოდა, სადღაც გუშაგთა რაზმი ბუკ-ნალარით მიემართებოდა ციხე-სიმაგრისკენ. გვერდით კი ეს ბებერი ენაჭარტალა მეჯდა!"

„გაცეცხლდით?“

„გავცეცხლდი რომელია! ისეთ გუნებაზე დავდექი, რაღა მე და რაღა გადმოთუხთუხებაზე მისული ქვაბი. ჰოდა, ის იყო ხელახლა უნდა გაეღო თავისი პანია, თეთრად მობამბული, ბებრული პირი, რომ ბრაზით აკანკალებულმა ვიფეთქე: „ეგ თქვენი შენობით ლაპარაკი რომ აღარ გავიგონო, ბებერო ვირო, ვსარგებლობ უფლებით, გამოვთქვა ჩემი პირველი და უგულწრფელესი სურვილი — ეშმაკმა წაგილოთ!“

ვერაფერი ზრდილობა იყო, მაგრამ სხვანაირად უბრალოდ არ შემიძლო. ასე რომ არ მექნა, გასკდებოდა გული“.

„მერე?“

„რა „მერე“?“

„გაქრა?“

„აა, ჰო! — გაქრა, მაშ! თითქოს მინამ ჩაყლაპაო. თვალის დახამხამებაში, ფაფუ, უკვალოდ გაუჩინარდა. სკამის ქვეშაც კი შევიხედე, მაგრამ შენც არ მომიკვდე! გული გადამიცივდა. სურვილების ამბავი სიმართლეს ჰგავდა! ჰოდა, პირველი სურვილი კიდევაც ასრულდა! ღმერთო ჩემო! თუკი ასრულდა, მაშ, ეს კეთილი, საყვარელი, ჩასაყლაპი ბაბუა, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, მხოლოდ გამქრალა კი არა, მხოლოდ ჩემი სკამიდან გაუჩინარებულა კი არა, ეშმაკს დაუთრევია, ეშმაკს! მაშ, ჯოჯოხეთში ამოუყვია თავი! „ნუ სულელობ“, ვუთხარი საკუთარ თავს, „ჯოჯოხეთი არ არსებობს, ეშმაკიც მონაჩმახია“. მაგრამ ამ სამი სურვილის ამბავი როგორღა იყო? რაც გინდა თქვი, მოხუ-

ცი კი გაუჩინარდა, რაწამს ვისურვე... გამაცია და გამაცხელა. მუხლები ამიძაგძაგდა. რა უნდა მექნა? ჯოჯოხეთი არსებობდა თუ არ არსებობდა, ჩემი ვალი იყო, მოხუცი უკანვე გამომეხმო. მეორე სურვილი უნდა გამემეტებინა, სამიდან მეორე, ოი, მე ყეყეჩს! ანდა სადაც იყო, იქვე დამეტოვებინა. იქ დამეტოვებინა იმ კოკროჭინა, დატკრუცული ლოყების პატრონი? „დაბრანული ლოყები“, ვფიქრობდი შეძრწუნებული. სხვა გზა არ მექონდა. დავხუჭე თვალები და შიშით ნა-ვიჩურჩულე: „მინდა, მოხუცი კვლავ ჩემ გვერდით იჯდეს!“ რომ იცოდეთ, წლების მანძილზე, სიზმარშიც კი, რა მწარედ ვამუნათებდი ჩემს თავს, მეორე სურვილი ასე ფუჭად რომ გავხარჯე, მაგრამ მაშინ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი, არც იყო სხვა გზა...“

„მერე?“

„რა „მერე“?“

„ისევ იქ გაჩნდა?“

„აა, ჰო! — ისევ იქ გაჩნდა, მაშ! იმავ წამს. კვლავ გვერდით მეჯდა, ვითომც არასოდეს მენატროს მისი თავიდან მოცილება. ოღონდ, კი ეტყობოდა, რომ... ისეთ ადგილას იყო ნამყოფი, სადაც ჯოჯოხეთურად, მინდოდა მეთქვა, სადაც მეტისმეტად უნდა ცხელოდეს. ო, დიახ. ბამბურა თეთრი წარბები ოღნავ შეტრუსვოდა. საუცხოო, ფუმფულა წვერიც ცოტათი შელახულიყო, მეტადრე კიდევბში. თანაც მოტრუსული ბატის სუნი ასდიოდა. საყვედურით შემომხედა. მერე გულისჯიბიდან პატარა ჯაგრისი ამოაძვრინა, წვერი და წარბები მოიწესრიგა და ნაწყენმა მითხრა: „მისმინეთ, ყმანვილო — ვერაფერი თავაზიანობა იყო თქვენის მხრივ!“ რაღაც ამოვლერღე საბოდიშოდ. რარიგ ვწუხვარ-მეთქი. მე ხომ არ მჯეროდა სამი

სურვილის ამბავი. თუმცა მაინც ვცადე შეცდომის გამოსწორება-მეთქი. „სწორადაც მოიქეციო“, თქვა მან. „სწორედ სულზე მომისწარით“. და გაიღიმა. ისე გულიანად გაიღიმა, ლამის ცრემლი მომადგა. „ახლა ერთი სურვილის უფლებაა დაგრჩათ“, თქვა მან, „მესამე სურვილის. იმედია, ამას მაინც მოუფრთხილდებით. მპირდებით?“ თავი დაუფუქნიე და ნერწყვი ჩავყლაპე. „დიახ“, მივუგე, „ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ კვლავ შენობით მომმართავთ“. გაეცინა. „კარგი, ჩემო ბიჭუნი“, მითხრა და ხელი გამომინოდა. „კარგად იყავი. მეტისმეტად უბედური ნუ იქნები. და გაუფრთხილდი შენს ბოლო სურვილს“. — „გპირდებით“, მივუგე დიდის ამბით. ის კი გაქრა, თითქოს ცამ ჩაყლაპაო.“

„მერე?“

„რა „მერე“?“

„მას აქეთ ბედნიერი ხართ?“

„აა, ჰო, — ბედნიერი?“ ჩემი მეზობელი წამოდგა, ქუდი და პალტო წამოკრიფა, ლაპლაპა თვალები მომაპყრო და მითხრა: „ბოლო სურვილისთვის ორმოცი წლის მანძილზე ხელი არ მიხლია. ხანდახან წვიპზე მივსულვარ. მაგრამ არა. სურვილი მანამ არის კარგი, სანამ წინ გაქვს. კარგად ბრძანდებოდეთ“.

ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ გადაიარა ქუჩა. თოვლის ფანტელები რიალებდნენ მის ირგვლივ. სულ გადაავინყდა, ეთქვა ჩემთვის, იყო თუ არა ბედნიერი, ან ეგებ განზრახ არ მიპასუხა? ესეც შესაძლებელია, რა თქმა უნდა.



ზიგფრიდ ლენცი

კითხვის ჭინკა

ბაბუაჩემი, ჰამილკარ შასი, კაი სამოცდათერთმეტ წელს იქნებოდა მიტანებული, წიგნის კითხვა რომ ისწავლა. სწორედ მაშინ დაიწყო ეს ამბავიც. რომელი ამბავი და, აი, გენერალი ვავრილა რომ დაგვესხა თავს, ცეცხლითა და მახვილით, ძარცვა-გლეჯითა და მსგავსი ტუტუცობებით რომ დაიძრა როკიტნოს ჭაობებიდან და მაზურენს, უფრო სწორად, ზულაიკენს წაეპოტინა. უკვე საკმაოდ მოახლოებულიყო, ეშმაკსაც წაუღია მისი თავი და ტანი, ასე გასინჯეთ, ჰაერში რახის სუნიც კი ტრიალებდა, მას და მის ჯარისკაცებს რომ ჩაეცეცხლათ. ზულაიკენის ქათმები კრიახით აწყდებოდნენ აქეთ-იქით, დაბმული ხარები თავის აწყვეტას ლამობდნენ, განთქმული ზულაიკური ცხვრები ხან სად შექუჩდებოდნენ, ხან — სად. მოკლედ, ჩვენს სოფელში საითაც გაიხედავდი, ყველგან მოუსვენრობა და შფოთიანი ფუთფუთი გეცემოდა თვალში — ისტორიისთვის უცხო ხილი როდია ამგვარი რამ.

სწორედ იმ ხანებში, როგორც ვთქვით, ბაბუაჩემმა, ჰამილკარ შასმა, თითქმის სხვის დაუხმარებლად აითვისა წიგნის კითხვის ხელოვნება. უკვე თავისუფლად კითხულობდა რალაც-რულაცებს. რალაცა-მეთ-

ქი რომ ვამბობ, მაზურენის ძველ კალენდარს ვგულისხმობ, საშობაო სუფრის რეცეპტებით რომ იყო სავსე; რულაცა კი ერთი საქონლით მოვაჭრის უბის ნიგნაკი გახლდათ, მის პატრონს წლების წინ რომ დაკარგვოდა ზულაიკენში. ჰამილკარ შასი კითხულობდა და კითხულობდა, რომ ჩაათავებდა, ხელახლა იწყებდა, დროდადრო ტაშსაც შემოკრავდა, ხოლო როცა რაიმე ახალს აღმოაჩენდა, განცხრომის ნიშნად სულ გმინავდა ხოლმე.

ერთი სიტყვით, ბაბუაჩემი სულის სიღრმემდე კითხვის ჟინით გახლდათ შეპყრობილი. დიახ, ჰამილკარ შასი უჩვეულო თავდავინყებით დანთქმულიყო კითხვაში, ერთადერთ მბრძანებელს ემორჩილებოდა, რომელსაც „ცატანგე ციტაის“ ეძახდა მაზურულ ენაზე. ეს კი კითხვის ჭინკას, უფრო სწორად, კითხვის ტარტაროზს ნიშნავს.

ზულაიკენში ყოველი კაცი, ყოველი სულდგმული შიშსა და ძრწოლას აეტანა, ჰამილკარ შასი კი, ვითომც აქ არაფერიაო, იჯდა და კითხულობდა; თვალები უბრწყინავდა, მისი ბაგენი მონდომებით მარცვლავდნენ წაკითხულს, ბოხვერა საჩვენებელი თითი კი მაზურული კალენდრის სტრიქონებს მიუყვებოდა. გეგონებოდათ, გირლანდებს ხაზავსო, თითი ისე უთრთოდა ნეტარებისგან.

ჰოდა, ამ ყოფაში შემოესწრო ერთი გაჩხინკული, დამფრთხალი კაცი, სახელად ადოლფ აბრომაიტი, რომელსაც ცხოვრებაში თავი არაფრით გამოეჩინა, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ მის დიდ, ვარდისფერ ყურებს. თავისი უშველებელი თოფის ქნევა-ქნევით თავს წამოადგა ჰამილკარ შასს და ასე მოახსენა: „ჰამილკარ შას, კარგს იზამ, მაგ შენს საკითხავებს გვერ-

დზე თუ გადადებ, თორემ საქმეს ისეთი პირი უჩანს, მალე ალბათ ვავრილა მოვა და კაი საკითხავსაც დაგაჭერინებს ხელში. ჩემმა მზემ, მაგ წიგნზე უფრო დაფლეთილ-დაფხავებულს დაგტოვებს”.

ბაბუაჩემმა, ჰამილკარ შასმა, ჯერ გაკვირვებით, მერე კი მწყრალად ახედ-დახედა სტუმარს; კაი ხანს ვერაფერი უპასუხა, მას ხომ წიგნის კითხვა ერთთავად გონებას უფანტავდა, მაგრამ როგორც კი აზრი მოიკრიბა, წამოინია, ფეხის თითები დაისრისა და თქვა: „ვგონებ, შენც დაგვიწყებია ზრდილობა, ადოლფ აბრომაიტი, აბა რას ჰგავს ეს, გენაცვა, კითხვისას ხელს რომ მიშლი“. „ომი როა იმიტომ, გეფიცები“, — უთხრა აბრომაიტმა, „ამ ვავრილას, განთქმულ არამზადას, ჭაობებში გდება მოჰყირჭებია და ჩვეული გააფთრებით მოიწევს ჩვენი სოფლისკენ. ჰოდა, სანამ ეგ მყრალი ლოთბაზარა თავს წამოგვდგომია, გვინდა, ჩვენი შაშხანებით ჭკუაზე მოვიყვანოთ. ამიტომ ჩვენთვის ყოველი თოფი ძვირფასია, მეტადრე — შენი“.

„თუნდაც ეგრე იყოს, მერე რა“, მიუგო ჰამილკარ შასმა, „უზრდელობას, ჩემო ადოლფ აბრომაიტი, ომიც კი ვერ გაამართლებს. მაგრამ თუკი, როგორც შენ ამბობ, საქმე ფინთად არი, შეგიძლიათ ჩემი თოფის იმედი იქონიოთ. მოვდივარ“.

ჰამილკარ შასი თავის საკითხავს ეამბორა, ცეცხლგამძლე თიხის ქოთანში ჩაჩურთა, შაშხანას ხელი დაავლო, ლორის ბარაქიანი ნაჭერი ზურგზე მოიგდო და სტუმართან ერთად გაუდგა გზას. ქუჩაში უმხედრებოდ დაჯირითობდნენ გონიერი ზულაიკური ბედაურები, შიშისგან თვალები გადმოცვენაზე ჰქონდათ, ძაღლები წკავნკავებდნენ, დაფეთებულ მტრე-

დებს ფრთების გამაღებელი ფართხუნით ჩრდილოეთისკენ აელოთ გეზი — ისტორიისთვის უცხო ხილი არაა ამგვარი ვაი-ვიში და ბედუკულმართობა.

ორივე ეს იარაღასხმული ბატონი ქუჩის დაცარიელებას უცდიდა, როცა ადოლფ აბრომაიტმა თქვა: „ჰამილკარ შას, საომარი ადგილი უკვე შეგულებული გვაქვს. ჩვენ, ნათლიმამ, მონადირის სახლში დავიკავებთ პოსტებს, ბატონის მემკვიდრეს, გონშ ფონ გონშორს რომ ეკუთვნოდა, აი, იმაში. აქედან, ასე თოთხმეტი მილითაა დაშორებული და სწორედ იმ გზის პირას დგას, რომელიც ვავრილამ უნდა გამოიაროს“. „ბატონი ბრძანდები, ეგრე იყოს“, — მიუგო ბაბუაჩემმა.

ასე და ამრიგად, თითქმის ხმაამოუღებლივ გაემართნენ მონადირის მკვიდრად ნაგები სახლისკენ, იქ საფარი მოიწყვეს, ბურნუთი დაყნოსეს და სათოფურებს მიაშურეს. მსხვილ ძელებს ამოფარებულები ჭუჭრუტანიდან გასცქეროდნენ ატალახებულ გზას, რომელიც ვავრილას უნდა გამოეველო.

ასე ისხდნენ კაი რვა საათს, სანამ ჰამილკარ შასს, ფიქრით თავის საკითხავს რომ დასტრიალებდა, ფეხის თითები ისე არ წაეყინა, რომ დასრესაც კი ველარ შველოდა. ჰოდა, წამოდგა, მიმოიხედა, იქნებ რამე ისეთი ვიპოვო, ცეცხლის დასანთებად რომ გამოდგებოდესო; მიდგა-მოდგა, რალაც-რალაცები გამოქექა, შეათვალა იერა, ერთ ადგილას შეაქუჩა და ამ საქმიანობისას, ერთი ცუნახოთ და, დალახვროს ეშმაკმა, ნიგნი არ შერჩა ხელთ?! მომცრო, კობტა, მსუბუქი. ბაბუაჩემი ცახცახმა აიტანა, გული უსაშველო სიხარულით აევსო, ყინმორეულმა თოფი საჩქაროდ სკამს მიაყუდა, სადაც იდგა, იქვე წამოწვა და კით-

ხვას შეუდგა. ვილას ახსოვდა სიცვიისგან ატკივებული ფეხის თითები, ვილას ახსოვდა ჭუჭრუტანიდან მოთვალთვალე ადოლფ აბრომაიტი, ანდა ჭაობთა ბინადარი ვაფრილა: ჰამილკარ შასის საგუშაგო აღარ არსებობდა.

ამასობაში, უკვე თქვენც მიხვდებოდით, საფრთხე დიდად უამურ საქმეს სჩადიოდა. რას სჩადიოდა და, თანდათან ახლოვდებოდა. ახლოვდებოდა გენერალ ვაფრილასა და მისი დამქაშების სახით, არხეინად რომ მოუყვებოდნენ გზას. ეს ვაფრილა კი, ჰოი, ღმერთო, სწორედ რომ ჭაობიდან ამოსულს ჰგავდა — ნვერგაუპარსავი, ხმაჩახლეჩილი. ამ კაცს აშკარად არ ებადა ის, რაც ყოველ მეტ-ნაკლებად რიგიან ადამიანს მოეპოვება — რა და, შიშის გრძნობა. მოუყვებოდა გზას თავის გაღეშებულ ჯარისკაცებთან ერთად. ახლა თავი როგორ ეჭირა, არ იკითხავთ? თითქოს თვით სცილიპინის ვოევოდა მყოლოდეს. ამ დროს, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩექმაც კი არ ეცვა, ფეხშიშველა მოაბოტებდა ეს ჩვენი ვაფრილა.

ადოლფ აბრომაიტი ჭუჭრუტანიდან ადევნებდა თვალს მოახლოებულ ჭაობის ურდოს. ჰოდა, თოფი ფეხზე შეაყენა და შეჰყვირა: „ჰამილკარ შას, ეს ტარტაროზი მიზანში მყავს ამოღებული“. ჰამილკარ შასს, რა თქმა უნდა, ძახილი არც კი გაუგონია. ვაფრილას კი ერთ ადგილას აბა რა დააკავებდა და ცოტა ხნის შემდეგ ადოლფ აბრომაიტმა კვლავ შესძახა: „ჰამილკარ შას, ჭაობის ტარტაროზი საცაა თავს წამოგვადგება“. — „ახლავე“, თქვა ჰამილკარ შასმა, ბაბუაჩემმა, „ახლავე, ადოლფ აბრომაიტ, მოვალ სათოფურთან და ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც წესი და რიგია. ერთი ამ პატარა თავსაც ჩავიკითხავ“.

ადოლფ აბრომაიტიშა შაშხანა იატაკზე დადო და თვითონაც იქვე განვა, მტერს უმიზნებდა და მოუთმენლად ელოდა მის მოახლოებას. ეს მოუთმენლობა, რომ არ ვთქვათ — მღელვარება, მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო ახლოვდებოდა გენერალი ვავრილა. ბოლოს, ასე ვთქვათ, მოთმინების ფიალა რომ აევსო, ადოლფ აბრომაიტი წამოხტა, ბაბუაჩემთან მიირბინა, ერთი ლაზათიანი ჭიტლაყი უთავაზა — რომელი ჭკუათმყოფელი გაამტყუნებდა — და დასწყვილა: „ჰამილკარ შას, ტარტაროზი ვავრილა კარს მოგვდგომია“. „ყველაფერი“, თქვა ბაბუაჩემმა, „ყველაფერი დროულად მოგვარდება. ოღონდ, ძალიან გთხოვ, ბოლო ხუთ გვერდსაც ჩავიკითხავ“. რაკი ბაბუაჩემს ფეხისმომცველის არაფერი ეტყობოდა, ადოლფ აბრომაიტი კვლავ თავის საგუშაგოს მიაშურა, შაშხანასთან განერთხო და ისეთი სროლა ატეხა, ყურთასმენა აღარ იყო. ასეთ ბათქაბუთქს მაზურენში კაციშვილი არ შესწრებია. მართალია, ჭაობის ვერც ერთი ბინადარი ვერ მიასიკვდილა, მაგრამ სამაგიეროდ საფარში შერეკა ისინი. ადოლფ აბრომაიტი ეს ფრიად გაბედულად და თავზეხელაღებით მოიმოქმედა: ყველას დასანახად გამოიჭიმა თავისი უშველებელი შაშხანით ხელში და მტერს დაუზოგავად დაუშინა ცეცხლი; მანამ უშენდა, სანამ უეცრად მწვავე ტკივილი არ იგრძნო და როცა გონს მოეგო, დაადგინა, რომ ტყვიას მის დიდ, ვარდისფერ ყურში გაეველო. რაღას იზამდა?! შაშხანას ხელი უშვა, ბაბუაჩემისკენ ისკუპა და ამჯერად ასე ამეტყველდა: „დამჭრეს, ჰამილკარ შას, დამჭრეს. სისხლი მომთქრიალებს. თუ ახლა სათოფურთან არ მოხვალ, დამიჯერე, ტარტაროზი ვავრილა წუთი წუთზე აქ გაჩი-

ნდება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ვშიშობ, შენს ადგილას სტამბის საღებავსლა დატოვებს“.

ბაბუაჩემს, ჰამილკარ შასს, თავიც არ აუღია; ეს კი თქვა: „ყველაფერი, ადოლფ აბრომაიტი, ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც წესი და რიგია. ოლონდ, გემუდარები, ორ გვერდსაც წავიკითხავ და მორჩა“.

ადოლფ აბრომაიტმა ცალი ხელი დაშავებულ ყურზე აიფარა, ელვის სისწრაფით მოავლო თვალი იქაურობას, ფანჯარას ეცა, გამოალო, იშვირა ფეხი და მახლობელი ტყის სიღრმეში გაუჩინარდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჰამილკარ შასმა რამდენიმე სტრიქონის წაკითხვა ძლივს მოასწრო, რომ კარი შემომტვრიეს და, როგორ გგონიათ, ვინ შემოალაჯა? ვინ და, გენერალმა ცოხ ვავრილამ. რალა თქმა უნდა, მაშინვე ბაბუაჩემს მიაშურა, ერთი ხრინწიანად ჩაიღმუვლა და გადაიხარხარა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, მერე კი თქვა: „ხელზე დამისკუპდი, გომბეშოვ, უნდა გაგბერო“. ეს სიტყვები ნათლად მეტყველებდნენ ვავრილას წარმომავლობასა და ზნე-ჩვეულებებზე. ჰამილკარ შასმა კი მიუგო: „ახლავე. გვერდნახევარიღა დამრჩა“.

ვავრილა გაცოფდა, ბაბუაჩემს ერთი სთხლიშა, შემდეგ კი თავი მოვალედ შერაცხა, ასეთი რამ ეთქვა: „შუაზე გაგგლეჯ, ბებერო ხელიკო, ოლონდ უცბად კი არა — ნელ-ნელა“. „ერთი გვერდიც“, მიუგო ჰამილკარ შასმა, „ღმერთმანი, სულ რაღაც ოცდათხუთმეტი სტრიქონი და ამ თავსაც მოვრჩები“.

ვავრილა ისე გაოგნდა, რომ კინალამ გამოფხიზლდა, ერთ კოჭლ მხლებელს თოფი გამოგლიჯა, ლულა კისერზე მიაბჯინა ბაბუაჩემს და დაიბლავლა: „იცი რას გიზამ, შე მყრალო, შენა, ერთი გასროლით გაგაცამ-

ტვერებ. აი, ნახე, ჩახმახი მოზიდული მაქვს“. „ახლავე“, მიუგო ჰამილკარ შასმა, „ათი სტრიქონიც და ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც წესი და რიგია“.

მაშინ კი, ალბათ არ გაგიკვირდებათ, ვავრილა და მისი დამქაშები ისე დაფრთხნენ, თოფები დაუშვეს და უკანმოუხედავად მოძუძგეს იქითკენ, საიდანაც მოთრეულიყვნენ; საითკენ და, როკიტნოს ყველაზე უღიმღამო ჭაობებისკენ.

ადოლფ აბრომაიტი, მტრის გაქცევას სახტად დარჩენილი რომ ადევნებდა თვალს, თოფით ხელში შემოიძურნა და კითხვაში გართული თანამებრძოლის გვერდით მდუმარედ დადგა. და, აი, ბოლო სტრიქონიც რომ წაიკითხა, ჰამილკარ შასმა თავი აწია, პირზე ნეტარი ღიმილი გადაეფინა და წარმოთქვა: „ადოლფ აბრომაიტი, მგონი წელან რალაცას მეუბნებოდი“.



ჰაინრიხ ბიოლი

რალაც მოხდება

ჩემი ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავ პერიოდებს განეკუთვნება ის დრო, ალფრედ ვუნზიდელის ფაბრიკაში რომ გავატარე. ბუნებით უფრო ფიქრისა და უსაქმურობისკენ ვარ მიდრეკილი, ვიდრე მუშაობისკენ, მაგრამ გაჭიანურებული ფინანსური სიძნელეები დროდადრო მაიძულებს — რაკილა ფიქრიც ისეთივე ნაკლებშემოსავლიანია, როგორც უსაქმურობა — ეგრეთ წოდებული ადგილი ვიშოვო. ერთხელაც, ამგვარ უკიდურესობამდე მისულმა, რაკი სხვა გზა აღარა მქონდა, შრომითი მონყობის ბიუროს მივანდე თავი და შვიდ ჩემნაირ გაჭირვებულთან ერთად ვუნზიდელის ფაბრიკაში გამაგზავნეს, სადაც გამოცდა უნდა გაგვევლო.

შევხედე თუ არა ფაბრიკას, გუნება წამიხდა: მთლიანად მინის აგურით იყო ნაგები, ხოლო ნათელი შენობები და ნათელი ოთახები ისეთსავე უსიამოვნო განცდას მგვრის, როგორსაც მუშაობა. კიდევ უფრო ცუდ გუნებაზე დავდექი, მაშინვე რომ საუზმე გაგვიშალეს ნათელ, ლამაზად მოხატულ ბუფეტში: კოხტა ოფიციალტმა გოგოებმა კვერცხები, ყავა და გახუხუხი პური მოგვართვეს, მაგიდებს ფორთოხლის წვენით სავსე გრაფინები ამშვენებდა; ოქროს თევზებს გაბლენძილი პირსახე მომწვანო აკვარიუმების კედ-

ლებზე მოებჯინათ. ოფიციალტი გოგოები ისეთი გახარებულნი ჩანდნენ, იფიქრებდი, სადაცაა, გასკდებიან სიხარულისგანო. ასე მეგონა, ძლივს იკავებდნენ თავს, რომ მხიარული ღიღინი არ წამოეწყით. ისე იყვნენ სიმღერებით გატენილნი, როგორც ქათმები დასადები კვერცხებით. მე მაშინვე ვიაზრე, რასაც ჩემს ბედქვეშ მყოფნი ვერ ხვდებოდნენ: ეს საუზმეც გამოცდა იყო; და ბეჯითად შევუდექი ლეჭვას, იმ ადამიანის სრული თვითშეგნებით, რომელსაც კარგად მოეხსენება, რომ ჭამისას თავის სხეულს ძვირფას ნივთიერებებს აწვდის. ისეთი რამ მოვიმოქმედე, რის ჩადენასაც სხვა დროს ვერანაირი ამქვეყნიური ძალა ვერ მაიძულებდა: უზმოზე ფორთოხლის წვენი დავლიე, ყავასა და კვერცხს ხელი არ ვახლე, გახუხული პურის დიდი ნაწილიც დავტოვე, წამოვდექი და სამოქმედოდ დამუხტული ბუფეტში ბოლთის ცემას მოვყევი.

ასე რომ, პირველი შემთხვევანეს საგამოცდო ოთახში, სადაც თვალწარმტაც მაგიდებზე გამზადებული ანკეტები ელაგა. კედლებისთვის ისეთი მწვანე ფერი შეერჩიათ, მის დანახვაზე ბინათა კეთილმოწყობის ფანატიკოსებს სიტყვა „დიდებულია“ მოადგებოდათ პირზე. არავინ ჩანდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, მითვალთვალდნენ და ისე მოვიქეცი, როგორც მოქმედებას მოწყურებული კაცი იქცევა, როცა ჰგონია, არავინ მიყურებსო: მოუთმენლად დავაძრე ჯიბიდან ავტოკალამი, თავი მოვხსენი, უახლოეს მაგიდას მივუჯექი და ანკეტა ისე მოვიწინე ახლოს, როგორც ქოლერიკები რესტორნის ანგარიშს დაითრევენ ხოლმე.

პირველი კითხვა: მართებულად მიგაჩნიათ თუ არა, ადამიანს მხოლოდ ორი ხელი, ორი ფეხი, ორი თვალი და ორი ყური რომ აქვს?

აქ გამომადგა პირველად ფიქრისადმი ჩემი მიდრეკილება და უყოყმანოდ ჩავწერე: „ოთხი ხელი, ოთხი ფეხი და ოთხი ყურიც კი არ ეყოფოდა ჩემს მონადინებულობას. ადამიანს უბადრუკი აგებულება აქვს“.

მეორე კითხვა: ერთდროულად რამდენ ტელეფონს შეგიძლიათ მოემსახუროთ?

ეს შეკითხვაც ერთუცნობიან განტოლებასავით ადვილი იყო. „როცა მხოლოდ შვიდი ტელეფონი მაბარია, — დავწერე მე, — თავს მოუსვენრად ვგრძნობ. ცხრა ტელეფონია ჩემი ნორმა“.

მესამე კითხვა: რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

ჩემი პასუხი: „ჩემთვის აღარ არსებობს ცნება „თავისუფალი დრო“ — თხუთმეტი წლისა რომ გავხდი, იმ დღეს ამოვშალე ეს გამოთქმა ჩემი ლექსიკონიდან, რამეთუ „დასაბამიდან იყო საქმე“.

მიმიღეს. სიმართლე გითხრათ, ცხრა ტელეფონიც მეცოტავებოდა. რიხიანად ჩავძახოდი ყურმილს: „დაუყოვნებლივ იმოქმედეთ!“ ანდა: „რაიმე მოიმოქმედეთ!“ — „რალაც უნდა მოხდეს — რალაც მოხდება — რალაც მოხდა — რალაც მოხდებოდა“. უმეტესად ბრძანებით კილოს ვიყენებდი, ვითარებას ის უფრო შეეფერებოდა.

ერთ რამედ ღირდა შუადღის შესვენებები, როცა ბუფეტში, უხმაურო მხიარულებით გარემოცულნი, ვიტამინებით მდიდარ კერძებს შევექცეოდით. ვუნზიდელის ფაბრიკაში ბევრს შეხვდებოდით ისეთს, გაგიჟებით რომ უნდოდა თავისი ბიოგრაფიის მოყოლა, როგორც ეს ენერგიულ ადამიანებს სჩვევიათ. მათთვის საკუთარი ცხოვრების აღწერა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთრივ ცხოვრება; ერთი ბიძ-

გიც საკმარისია და მაშინვე დიდის ამბით გადმოგიშლიან თავიანთ ბიოგრაფიას.

ვუნზიდელის მოადგილე, გვარად ბროშეკი, იმითი გახლდათ ცნობილი, რომ სტუდენტობისას ღამღამობით მუშაობდა და ასე არჩენდა შვიდ შვილსა და ხეიბარ მეუღლეს, ამას გარდა წარმატებით ემსახურებოდა ოთხ სავაჭრო წარმომადგენლობას და თანაც ორ წელიწადში ფრიადზე ჩაებარებინა ორი სახელმწიფო გამოცდა. როცა რეპორტიორებმა ჰკითხეს: „როდისღა გძინავთ, ბროშეკ?“ მან მიუგო: „ძილი ცოდვია!“

ვუნზიდელის მდივანი ქსოვით ინახავდა ხეიბარ ქმარსა და ოთხ ბავშვს, იმავდროულად ფსიქოლოგიასა და მხარეთმცოდნეობაში დისერტაციები დაიცვა, მეცხვარე ძაღლები მოაშენა და თან სახელი გაითქვა როგორც ბარის მომღერალმა.

თვითონ ვუნზიდელი იმ ადამიანთაგანი გახლდათ, დილაადრიან, გაიღვიძებენ თუ არა, მაშინვე რომ მზად არიან სამოქმედოდ. „უნდა ვიმოქმედო“, ფიქრობენ ისინი, როცა ენერგიულად ისკვნიან სააბაზანო ხალათის ქამარს. „უნდა ვიმოქმედო“, ფიქრობენ ისინი პირის პარსვისას და ტრიუმფით დაჰყურებენ წვერს, რომელსაც საპნის ქაფთან ერთად ატანენ წყალს: წვერის ეს ნარჩენები გახლავთ მათი დაუოკებელი ენერგიის პირველი მსხვერპლი. უფრო ინტიმური ქმედებანიც დიდად ესალბუნება მათ გულს: წყალი ჩხრიალებს, ქალაღი იხარჯება. რაღაც მოხდა. პური იჭმება, კვერცხი ტყდება.

ვუნზიდელის ყველაზე უნიშვნელო საქმიანობაც კი მოქმედებად გამოიყურებოდა: ქუდს რომ იხურავდა, ენერგიით აძაგძაგებულ პალტოს ღილებს რომ იკრავდა, ცოლს რომ კოცნიდა, ეს ყველაფერი საქმე იყო.

თავის ბიუროში რომ შევიდოდა, მდივან გოგონას სალმის მაგიერ ასე მიაძახებდა: „რალაც უნდა მოხდეს!“ გოგონაც ხალისით შეაგებებდა პასუხს: „რალაც მოხდება!“ შემდეგ ვუნზიდელი განყოფილებებს ჩამოივლიდა თავისი რიხიანი „რალაც უნდა მოხდეს“ ძახილით. „რალაც მოხდება!“ — ისმოდა პასუხად. მეც გაბადრული შევძახებდი ხოლმე, როცა ჩემს ოთახში შემოდოდა: „რალაც მოხდება!“

ერთ კვირაში ტელეფონების რაოდენობა თერთმეტამდე ავიყვანე, მეორე კვირის ბოლოს — ცამეტამდე. მეხალისებოდა დილდილობით ტრამვაიში ბრძანებითი კილოს ახალ-ახალი ფორმების მოფიქრება, ანდა იმით ვირთობდი თავს, რომ ზმნა „მოხდომა“ სხვადასხვა დროში, სხვადასხვა გვარში, კავშირებითი თუ თხრობითი კილოს სხვადასხვა ფორმებში გადამყავდა. ორი დღე მარტო ერთ წინადადებას გავიძახოდი, რადგან ძალიან მომწონდა: „რალაცა უნდა მოხდენილიყო“, მომდევნო ორ დღეს კი სხვა ფრაზა ამოვიჩემე: „ეს არ უნდა მომხდარიყო“.

როცა ვიგრძენი, რომ მაქსიმალურად ვიყავი დატვირთული, მართლა რალაც მოხდა. ერთ სამშაბათ დილას — ჯერ ხეირიანად არც კი შევდგომოდი შრომას — ვუნზიდელი ჩემს ოთახში შემოვარდა და თავისი „რალაც უნდა მოხდეს!“ დასჭეჭა. მაგრამ იმან, რაც მის სახეზე შევნიშნე, შემაფერხა და დროულად ველარ შევაგებე მხნე და ხალისიანი „რალაც მოხდება!“. ეტყობა დიდხანს დავეყოვნიდი, რაკი ვუნზიდელმა, საერთოდ იშვიათად რომ ყვიროდა ხოლმე, დამიღრიალა: „მიპასუხეთ, მიპასუხეთ, როგორც წესი და რიგია!“ და მეც ვუპასუხე, ხმადაბლა და ურჩად, იმ ბალღივით, რომელსაც აიძულებენ თქვას, მე ცუ-

დი ბავშვი ვარო. დიდი გაჭირვებით ამოვლერღე: „რალაც მოხდება“, და, ვთქვი თუ არა ეს, მართლაც რალაცა მოხდა: ვუნზიდელმა ზღართანი მოილო და კარებთან გარდიგარდმო გაიშოტა. მაშინვე გულმა მიგრძნო, ხოლო როცა მაგიდას შემოვუარე და მწოლიარეს თავზე დავადექი, დავრწმუნდი, ამ ქვეყანას აღარ იყო.

სინანულით გადავაქანე თავი, გადავაბიჯე ვუნზიდელს, დინჯად გავუყევი დერეფანს, ბროშეკის კაბინეტთან მივედი და დაუკაკუნებლად შევალე კარი. ბროშეკი სანერ მაგიდას უჯდა, ორივე ხელში ტელეფონის ყურმილები ეჭირა, პირში ავტოკალამი გაეჩარა, რითაც ბლოკნოტში რალაცას იწერდა, ხოლო იმავდროულად შიშველი ფეხებით მაგიდის ქვეშ მდგარ საქსოვ მანქანას ამუშავებდა. ამგვარად შეაქვს მას წვლილი ოჯახის გარდერობის შევსებაში. „რალაც მოხდა“, წარმოვთქვი წყნარად.

ბროშეკმა ავტოკალამი პირიდან გადმოაგდო, ორივე ყურმილი დადო და ნელ-ნელა მოაშორა ფეხი საქსოვ მანქანას.

„რა მოხდა?“ — მკითხა.

„ბატონი ვუნზიდელი გარდაიცვალა“, — ვთქვი მე.

„არა“, — თქვა ბროშეკმა.

„სამწუხაროდ“, — ვთქვი მე, — „წამობრძანდით!“

„არა, — თქვა ბროშეკმა, — ეს შეუძლებელია“, მაგრამ ქოშებში ფეხები წაყო და გამომყვა.

„არა, — თქვა მან, როცა ვუნზიდელის ცხედართან ვიდექით, — არა, არა!“

აღარაფერი მითქვამს. ფრთხილად გადმოვაბრუნე ზურგზე ვუნზიდელი, თვალები დავუხუჭე და ჩაფიქრებული დავაშტერდი.

შემებრაღა და პირველად ვიგრძენი, რომ არასოდეს მძულეღია. მისი სახე რაღაცით იმ ბავშვების სახეებს მოგაგონებღათ, რომლებიც ჯიუტად არ თმობენ თოვლის ბაბუის არსებობის რწმენას, თუმცა მათი ამხანაგების კონტრარგუმენტები დამაჯერებღად უღერს.

„არა, — თქვა ბროშეკმა, — არა“.

„რაღაც უნდა მოხდეს“, — წყნარად ვუთხარი ბროშეკს.

„ჰო, — თქვა ბროშეკმა, — რაღაც უნდა მოხდეს“.

მოხდა კიდეც: ვუნზიდელი დაკრძალეს და მე დამევაღა ხელოვნური ვარდების გვირგვინით ხელში გავყოღოღი მის კუბოს, ვინაიდან მარტო ფიქრისა და უსაქმურობისაკენ მიდრეკილებით კი არ გამოვირჩევი, არამედ ისეთი აღნაგობა და იერი მაქვს, ზედგამოჭრიღი რომაა შავი კოსტუმისთვის. ეტყოღა, ხელოვნური ვარდების გვირგვინით ხელში ვუნზიდელის კუბოსთან დიდებულად გამოვიყურებოღი და ერთი ელეგანტური დამკრძალავი ბიუროდან შემომთავაზეს, მათთან პროფესიონალ ჭირისუფღად დამენყო მუშაობა.

„თქვენ ჭირისუფღად ხართ დაბადებულღ“, მითხრა ბიუროს უფროსმა, „ტანსაცმელს ჩვენ მოგცემთ. თქვენ არაჩვეულებრივი იერი გაქვთ!“

დავეთხოვე ბროშეკს სამსახურიდან, იმ საბაბით, რომ მანდ თავს ბოღომდე დატვირთულად ვერ ვგრძნობ, ჩემი შესაძლებღობების ნანიღი, თუმცა ცამეტ ტელეფონს ვემსახურები, გამოუყენებელი მრჩება-მეთქი. პირვეღივე საჭირისუფღო გამოსვღის შემდეგ ჩემს თავს ვუთხარი: აი, შენი ნამდვიღი საქმე, აი, ადგიღი, რომელიც შენ ყვეღაზე მეტად

შეგფერის-მეთქი. ჩაფიქრებული ვდგავარ კუბოს-
თან, ორკესტრანტებს შორის, მოკრძალებული გვირ-
გვინით ხელში; უკრავენ ჰენდელის ლარგოს, ნანარ-
მობებს, რომელიც რატომღაც ღირსეულად არ არის
დაფასებული. სასაფლაოსთან მდებარე კაფეს მუდ-
მივი მუშტარი გავხდი, თავისუფალ დროს იქ ვატა-
რებ ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ისეთ მიცვალებულბ-
საც მივაცილებ უკანასკნელ გზაზე, რომელთა ჭირი-
სუფლობა მე არ მევალება, ჩემი ფულით ვყიდულობ
გვირგვინს და უპატრონო მიცვალებულთა საქველ-
მოქმედო პროცესიას ვუერთდები. დროდადრო ვუნ-
ზიდელის საფლავსაც ვენვევი ხოლმე, მას ვუმადლი,
მთლად საჩემო საქმე რომ ვიპოვე, საქმე, რომლის
აღსრულებისას ფიქრისკენ მიდრეკილება დიდად სა-
სურველი თვისება გახლავთ, ხოლო უსაქმურობა
პირდაპირი მოვალეობაა.

მერე, მოგვიანებით, გამახსენდა, რომ არასოდეს
დავინტერესებულვარ, რა ნანარმს უშვებდა ვუნზი-
დელის ფაბრიკა. მგონი, საპონი უნდა ყოფილიყო.

ანაკლოტი შრომითი ენთუზიაზმის დასაცხრობად

ევროპის დასავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ ნავსად-
გურში ერთი ღარიბულად ჩაცმული კაცი თავის სა-
თევზაო ნავში ჩანოლილა და თვლემს. კობტად გა-
მონკეპილი ტურისტის კი ფოტოაპარატში ფერად
ფირს დებს, რათა მასზე იდილიური სურათი აღბეჭ-

დოს: ლაჟვარდოვანი ზეცა, ზურმუხტისფერი ზღვა, მშვიდი ქათქათაქოჩრიანი ტალღები, შავი ნავი, მეთევზის ნითელი ქუდი. ჩხაკ. კიდევ ერთხელ: ჩხაკ, და რაკი ყოველივე კარგი სამობით არის, თანაც სიფრთხილეს თავი არა სტკივა, მესამედაც: ჩხაკ. ამ ჩხაკუნმა, ლამის მტრულად რომ გაისმა, მთვლემარე მეთევზე გამოაფხიზლა. ნამძინარევი ზანტად ნამოინია, ზანტადვე მოაფათურა ხელი სიგარეტის კოლოფის ასაღებად, მაგრამ სანამ მიაგნებდა, დაუზარელმა ტურისტმა ცხვირწინ შეაგება თავისი კოლოფი, შიგ პირში გასჩარაო სიგარეტი, ვერ ვიტყვით, მაგრამ ხელში კი შეაჩერა და ეს ნაუცბადევი თავაზიანობა მეოთხე, ამჯერად სანთებელას, დაჩხაკუნებამ დაავირგვინა. ამ, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულმა თავაზიანობამ გამაღიზიანებელი უხერხულობა გამოიწვია, რისი გაქარწყლებაც იქაური ენის მცოდნე ტურისტმა მეთევზესთან გასაუბრებით სცადა.

„დღეს კარგად ითევზავებთ“.

მეთევზემ თავი გადააქნია.

„მე მითხრეს, დღეს კარგი სათევზაო ამინდიაო“.

მეთევზე თავს უქნევს.

„მაშ, არ აპირებთ წყალში შესვლას?“

მეთევზემ თავი გადააქნია. ტურისტის მღელვარება მატულობს. აშკარად გულთან მიუტანია ღარიბულად ჩაცმული კაცის ბედი, ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობაზე დარდი მოსვენებას არ აძლევს.

„ოჰ, მგონი, შეუძლოდ ხართ“.

როგორც იქნა მეთევზე უესტებით საუბრიდან სიტყვებით საუბარზე გადავიდა. „თავს დიდებულად ვგრძნობ“, თქვა მან, „ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ“. ნამოდგა, გაიმართა, თითქოს თავისი ათ-

ლეთური აღნაგობის წარმოჩენა უნდაო. „გადასარე-
ვად ვგრძნობ თავს“.

ტურისტის სახეზე სულ უფრო და უფრო შეჭირვებუ-
ლი გამომეტყველება იხატება; გული გაუსკდება, ეს რომ
არ იკითხოს: „მერედა, რატომ არ შედიხართ წყალში?“

„დღეს ერთხელ უკვე გახლდით და იმიტომ“, მოკ-
ლედ მოუჭრა მეთევზემ.

„კარგად ითევზავეთ?“

„ისე კარგად, რომ მეორედ შესვლა აღარ მჭირდე-
ბა, ოთხი ასთაკვი მიწყვია კალათაში, თითქმის ორი
დუჟინი სკუმბრია დავიჭირე...“

ნამძინარევი მეთევზე როგორც იქნა მოცოცხლდა
და ტურისტს დასამშვიდებლად მხარზე მოუთათუნა
ხელი. მისი შენუხებული სახე მეთევზემ თუმცა უად-
გილო, მაგრამ გულისამაჩუყებელი მზრუნველობის
გამოხატულებად მიიჩნია.

„ხვალისთვისაც მეყოფა, ზეგისთვისაც“, ამბობს
იგი, რათა ამ უცხო კაცს გულს მოეფონოს. „გინდათ
ჩემი სიგარეტი მოგანევინოთ?“

„დიახ, გმადლობთ“.

სიგარეტები პირში გაიჩარეს, გაისმის მეხუთე
დაჩხაკუნება. უცნობი თავის კანტურით ჯდება ნავის
კიდებზე, კამერას გვერდზე დებს, მას ხომ ახლა ორი-
ვე ხელი სჭირდება, რათა სათქმელს მეტი დამაჯე-
რებლობა მიანიჭოს.

„სულაც არ მინდა თქვენს პირად საქმეში ჩავე-
რიო“, ამბობს იგი, „მაგრამ, აბა ერთი წარმოიდგინეთ,
დღეს მეორედ, მესამედ, შესაძლოა, მეოთხედაც რომ
გახვიდეთ სათევზაოდ, სამ, ოთხ, ხუთ, იქნებ ათ დუ-
ჟინ სკუმბრიასაც კი დაიჭერთ... წარმოიდგინეთ, რა!“

მეთევზე თავს უქნევს.

„მარტო დღეს კი არა“, განაგრძობს ტურისტი, „ზეგაც, მაზეგაც, როცა კი ამინდი ხელს შეგინყობთ, ორჯერ, სამჯერ, შესაძლოა ოთხჯერაც გახვიდეთ — ჰოდა, იცით, რა მოხდება?“

მეთევზემ თავი გადააქნია.

„ერთ წელიწადში, ან უფრო ადრეც, მოტორიანი ნავის ყიდვას შეძლებთ, ორ წელიწადში — მეორე ნავს, სამ-ოთხ წელიწადში კი ალბათ პატარა კატერსაც გამოჰკრავთ ხელს, ორი ნავით ან კატერიტ, რასაკვირველია, ბევრად მეტს დაიჭერთ — ერთ მშვენიერ დღეს კი ორი კატერის მფლობელი გახდებით, მერე კი...“, აღფრთოვანებისგან რამდენიმე წამით ხმა ჩაუწყდა, „მერე კი პატარა მაცივარს მოაწყობთ ანდა საბოლველს, მოგვიანებით — სამარინადო ფაბრიკას, საკუთარი შვეულმფრენით იფრენთ წყლის ზემოთ, იქიდან უკეთ შეამჩნევთ თევზების ქარავანს და თქვენს კატერებს რადიოგადამცემით მიაწვდით მითითებებს. ლოქოზე ლიცენზიას მოიპოვებთ, თევზის რესტორანს გახსნით, ასთაკვს პირდაპირ პარიზში გაგზავნით საექსპორტოდ, გადამყიდველების გარეშე, მერე კი...“, უცნობს ისევ წაერთვა ხმა აღფრთოვანებისგან. გუნებანამხდარი, ლამის შვებულების სიხარულჩამწარებული, თავის კანტურით მისჩერებია მშვიდად მონანავე ტალღებს, რომლებშიც დაუჭერელი თევზები ხალისიანად ქყუმპალაობენ.

„ჰოდა, მერე“, ამბობს ტურისტი და აღელვებისგან კვლავ უწყდება ხმა. მეთევზე ზურგზე უტყაპუნებს ხელს, როგორც ბავშვს, რომელსაც ჭამისას ლუკმა გადასცდა. „რა მერე?“ ეკითხება წყნარად.

„მერე“, ამბობს უცნობი ჩუმი აღტაცებით, „მერე შეგიძლიათ აქ, ამ ნავსადგურში მშვიდად ჩამოჯდეთ,

მზეს მიეფიცხოთ და ზღვის დიდებული ხედის ცქერით დატკბეთ“.

„ახლაც ამას არ ვაკეთებ?“ ეუბნება მეთევზე, „ვზივარ ჩემთვის მშვიდად ნავსადგურში და ვთვლემ; ეგ არის, თქვენმა ჩხაკუნმა დამირღვია მყუდროება“.

ამგვარად დამოძღვრილი ტურისტისტი შეფიქრიანებული გაშორდა მეთევზეს: მას ხომ აქამდე ასე სწამდა — იმისთვის ვმუშაობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მუშაობა აღარ დამჭირდესო. ღარიბულად ჩაცმული კაცის მიმართ სიბრალული უკვალოდ გაუქრა და ცოტათი კიდევ შეშურდა მისი.



პეტერ ბიქსელი

ამერიკა არ არსებობს

ეს ამბავი იმ კაცისგან გამიგონია, ვინც სულ რაღაც-რაღაცებს ჰყვება და ჰყვება. არაერთხელ მითქვამს მისთვის, შენი მონაყოლისა არა მჯერამეთქი.

„მატყუებთ“, ვუთხარი მე, „თვალთმაქცობთ, ფანტაზიორობთ, ცრუობთ“.

მას აინუნშიც არ ჩაუგდია ეს. მშვიდად განაგრძო თხრობა, ხოლო როცა ვუყვირე: „მატყუარა ხართ, თვალთმაქცი, ფანტასტი, ცრუპენტელა!“ იგი შემომაცქერდა, თავი გადააქნია, ნალვლიანად გაიღიმა და ისე წყნარად მითხრა, ლამის შემრცხვა: „ამერიკა არ არსებობს“.

გული რომ გამეკეთებინა მისთვის, შევპირდი, შენს მონაყოლს ჩავინერ-მეთქი:

ეს ამბავი ხუთასი წლის წინ დაიწყო, ერთი ხელმწიფის — ესპანეთის ხელმწიფის — სამეფო კარზე. სასახლე, აბრეშუმის და ხავერდის, ოქრო, ვერცხლის, წვერ-ულვაში, გვირგვინები, სანთლები, მსახურები და პირისფარეშები; კარისკაცები, გარიჟრაჟზე ერთურთს დაშნებით რომ უფატრავდნენ მუცელს, რაკილა წინა საღამოს შუღლის ხელთათმანი ეტყორ-

ცნათ ერთმანეთისთვის. კოშკზე ბუკისმკვრელი დარაჯები; შიკრიკები, ცხენიდან რომ ჩამოფრინდებოდნენ, და შიკრიკები, უნაგირს რომ მოეველებოდნენ ხოლმე; ხელმწიფის მეგობრები და ცრუმეგობრები; ქალები — კალმით ნახატნი და სახიფათონი, და ღვინო და ხალხი სასახლის ირგვლივ, ყოველივე ამაში ფულის ფლანგვის მეტი რომ არა გაეგებოდა რა.

თუმცა ხელმწიფესაც არა გაეგებოდა რა, გარდა ამგვარი ცხოვრებისა, და როგორც არ უნდა ცხოვრობდე, განცხრომით თუ ხელმოკლედ, მადრიდში, ბარსელონაში თუ სადმე სხვაგან, მაინც ყოველდღე ერთი და იგივე მეორდება და ბოლოს და ბოლოს მოიწყენ. კაცს, რომელიც სადმე სხვაგან ცხოვრობს, ბარსელონისკენ მიუწევს გული, ბარსელონაში მცხოვრებს კი სადმე სხვაგან სურს გამგზავრება.

ლატაკნი ხელმწიფის ცხოვრებას შენატრიან და იტანჯებიან, რადგან ხელმწიფეს სწამს, რომ ლატაკებს სილატაკე შეშვენით.

დილით ხელმწიფე საწოლიდან დგება, საღამოს ხელმწიფე დასაძინებლად წვება და დღითიდღე ბეზრდება თავისი საზრუნავები, თავისი მსახურები, თავისი ოქრო, ვერცხლი, ხავერდი, თავისი აბრეშუმი, ბეზრდება თავისი სანთლები. მისი ლოგინი, დიახაც, ფუმფულაა, მაგრამ ძილის მეტი რა უნდა აკეთო შიგ?!

მსახურები დილაობით მიწამდე უკრავენ თავს, ყოველ დილით ერთნაირად; ხელმწიფე ამას მიჩვეულია და ზედაც არ უყურებს მათ. ვილაცა ჩანგალს მიანვდის, ვილაცა — დანას, ვილაცა სკამს დაუდგამს, მასთან მოსაუბრენი „თქვენო უდიდებულესობაო“ — წარმოთქვამენ და ბევრ ლამაზ სიტყვასაც მოაყოლებენ ამას, მაგრამ — ეს არის და ეს.

მისთვის არასოდეს უთქვამთ: „შე ბენტერა, ბატისტინა!“ და ყველაფერი, რასაც დღეს ეუბნებიან, უკვე ნათქვამი აქვთ გუშინ.

ასეა ეს.

სწორედ ამიტომ ჰყავთ ხელმწიფეებს მასხარები.

მათ უფლება აქვთ, რაც უნდათ, ის ქნან, რაც უნდათ, ის თქვან ხელმწიფის გასაცინებლად და როცა ხელმწიფის გაცინებას ველარ შეძლებენ, იგი მათ სიცოცხლეს გამოასალმებს ან რაღაც ამგვარს იზამს.

ოდესღაც ხელმწიფეს ერთი მასხარა ჰყოლია, რომელიც სიტყვებს უკუღმა ატრიალებდა. ხელმწიფეს ეს ართობდა. მასხარა „თქვენო უდიდებულესობის“ ნაცვლად „თქვენო ებულუდიდესობას“ ამბობდა, „სამეფო კარის“ ნაცვლად — „კამეფო სარს“ და „მშვიდა დილობისას“ — „დილა მშვიდობისას“ მაგივრად.

მე ეს სისულელედ მიმაჩნია, მეფეს კი — ართობდა. კაი ნახევარ წელიწადს ართობდა, 7 ივლისამდე, რვაში კი — როცა ადგა და მასხარამ უთხრა: „მშვიდა დილობისა, თქვენო ებულუდიდესობავ!“ მეფემ ბრძანა: „მომამორეთ ეს სულელი!“

მეორე მასხარა — პატარა, მსუქანი, სახელად პეპე — მეფეს მხოლოდ ოთხ დღეს მოსწონდა. მეფის გასაცინებლად პეპე ქალბატონებისა და ბატონების, თავადების, ჰერცოგების, ბარონებისა და რაინდების სკამებს თაფლით თხვრიდა. მეოთხე დღეს მან მეფის სკამი მოთხუპნა თაფლით. მეფეს აღარ გასცინებია, ხოლო პეპე მასხარა აღარ იყო.

შემდეგ მეფემ უსაზარლესი მასხარა შეიძინა, მახინჯი — თხელიც და სქელიც ერთდროულად, გრძელიც და მოკლეც ერთდროულად, მარცხენა ფეხი მშვილდით და მარჯვენა გულუნული. არავინ იცოდა, შე-

ედლო ლაპარაკი და განგებ არ იღებდა ხმას თუ მუნჯი იყო. მზერა ბოროტი ჰქონდა, სახე — ქუში. ერთადერთი, რაც მომხიბლავი ებადა, სახელი იყო — ჰენსხენი ერქვა.

ყველაზე ამაზრზენი კი მისი სიცილი გახლდათ. ეს სიცილი საოცრად ნაზად და მთრთოლვარედ იწყებოდა მუცლის სიღრმეში, ბუყბუყით მოინევდა ზემოთ, ნელ-ნელა ბოყინში გადადიოდა, ჰენსხენი ამ დროს ჭარხალივით ნითლდებოდა, სული ეხუთებოდა, მერე კი უცბად, თითქოს გასკდაო, იფეთქებდა, აგრუხუნდებოდა, აღმუვლდებოდა, ფეხების ბრაგუნს მოჰყვებოდა, აცეკვდებოდა და ხარხარებდა. მხოლოდ მეფეს მოსწონდა ეს, სხვებს კი ფერფური მისდიოდათ, აცახცახებდათ და ელეთმელეთი ემართებოდათ. და როცა სასახლის ახლო-მახლო მცხოვრებნი ამ ხარხარს გაიგონებდნენ, კარ-ფანჯარას კეტავდნენ, ფარდულებს ხურავდნენ, ბავშვებს ლოგინში აწვენდნენ და ყურებს ცვილით იცობდნენ.

ჰენსხენის სიცილი ყველაზე შემზარავი რამ გახლდათ დედამიწის ზურგზე.

მეფეს შეეძლო, რაც სურდა, ის ეთქვა, ჰენსხენი იცინოდა.

მეფე ისეთ რამეებს ამბობდა, რაზეც ვერავინ გაიცინებდა, ჰენსხენი კი იცინოდა. ერთ დღეს კი მეფემ თქვა: „ჰენსხენ, უნდა ჩამოგახრჩო“.

ჰენსხენი კი იცინოდა, ბრდღვინავდა, ხარხარებდა, როგორც არასდროს.

მეფემ გადანყვიტა ჰენსხენი მეორე დღეს ჩამოეხრჩო. მან სახრჩობელა აღამართვინა, კი არ ხუმრობდა — სურდა, მოესმინა, როგორ გაიცინებდა ჰენსხენი სახრჩობელას წინაშე. მთელ ხალხს უბრძანა, ამ

ბოროტი სანახაობის საყურებლად მოსულიყვნენ. მაგრამ ყველანი დაიმაღნენ, კარი გადარაზეს და დილით მეფე ჯალათის, ყმებისა და ხარხარა ჰენსხენის ამარა დარჩა.

„ხალხი მომგვარეთ!“ დაუღრიალა მან თავის ყმებს. ყმებმა მთელი ქალაქი გადააქოთეს, მაგრამ ვერავინ იპოვეს. მეფე ცოფებს ყრიდა, ჰენსხენი კი ხარხარებდა.

ბოლოს ყმები ერთ ბიჭს ნაანყდნენ და მეფესთან მიათრიეს. ბიჭი პატარა იყო, ფერმკრთალი და მორცხვი. მეფემ მას სახრჩობელაზე მიუთითა და უბრძანა, უყურეო.

ბიჭმა გახედა სახრჩობელას, გაიღიმა, ტაში შემოკრა და განცვიფრებულმა წამოიძახა: „თქვენ კეთილი ხელმწიფე ჩანხართ, რაკი მტრედებისთვის ქანდარა მოგინყვიათ; შეხეთ, ორი უკვე დასკუპებულა ზედ“.

„ბენტერა ყოფილხარ“, უთხრა მეფემ, „რა გქვია?“

„მე ბენტერა ვარ, ბატონო ხელმწიფევ, კოლომბო მქვია, დედაჩემი კოლომბინს მეძახის“.

„შე ბენტერა“, უთხრა მეფემ, „აქ კაცი უნდა ჩამოახრჩონ“.

„რა ჰქვია?“ იკითხა კოლომბინმა და როცა სახელი შეიტყო, თქვა: „რა კარგი სახელია, ჰენსხენი რქმევია. ასეთი მშვენიერი სახელი ჰქვია და მაგის ჩამოხრჩობა როგორ იქნება?“

„იგი ისე ამაზრზენად იცინის, რომ...“, თქვა მეფემ და გაიცინეო, უბრძანა ჰენსხენს. ჰენსხენი ორგზის უფრო ამაზრზენად ახარხარდა, ვიდრე წინა დღით.

კოლომბინი განცვიფრდა და თქვა: „ბატონო ხელმწიფევ, თქვენ ეს ამაზრზენად მიგაჩნიათ?“ მეფე

სახტად დარჩა, ვერაფერი უპასუხა, კოლომბინმა კი განაგრძო: „მე მაინცდამაინც არ მომწონს მისი სიცილი, მაგრამ მტრედები კვლავ სახრჩობელაზე სხედან, არ დამფრთხალან: ეს სიცილი მათ ამაზრზენად არ ეჩვენებათ. მტრედებს ნატიფი სმენა აქვთ. ჰენსხენი უნდა გაუშვათ“.

მეფე დაფიქრდა და თქვა: „ჰენსხენ, ჯანდაბამდის გზა გქონია“.

და, აი, ჰენსხენმა პირველად წარმოთქვა სიტყვა — მან კოლომბინს უთხრა: „გმადლობ!“ გაიღიმა მშვენიერი, ადამიანური ღიმილით და წავიდა.

მეფეს მასხარა აღარ ჰყავდა.

„წამომყევი“, უთხრა მან კოლომბინს.

მეფის მსახურებსა და პირისფარეშებს, გრაფებსა და ყველა დანარჩენთ ეგონათ, კოლომბინი ახალი მასხარა არისო.

მაგრამ კოლომბინი სრულებითაც არ გახლდათ მხიარული. ყველაფერი აკვირვებდა, იშვიათად თუ იტყოდა რამეს, არ იცინოდა, მხოლოდ იღიმებოდა და ვერც ვერავის აცინებდა.

„ეგ მასხარა არ არის, ეგ ბენტერაა“, იძახდა ხალხი და კოლომბინი ამბობდა: „მე მასხარა არა ვარ, მე ბენტერა ვარ“.

და ხალხი დასცინოდა მას.

ეს რომ მეფეს გაეგო, განყრებოდა, მაგრამ კოლომბინი ამაზე კრინტსაც არ ძრავდა — დაცინვას არაფრად აგდებდა.

სამეფო კარზე იყვნენ ძლიერნი და იყვნენ ჭკვიანნი, მეფე მეფე იყო, ქალები — ტურფანი და კაცები — გულადნი, მღვდელი — ღვთისმოსავი და მზარეულის

თანაშემწე — გამრჯე, მხოლოდ კოლომბინი, კოლომბინი არა გახლდათ რა.

როცა ვინმე ეტყოდა: „კოლომბინ, მოდი ერთი, დამეჭიდე“, კოლომბინი მიუგებდა: „მე შენზე სუსტი ვარ“.

როცა ვინმე ეტყოდა: „ორჯერ შვიდი რამდენია?“ კოლომბინი მიუგებდა: „მე შენზე ბრიყვი ვარ“.

როცა ვინმე ეტყოდა: „გაბედავ ნაკადულზე გადახტომას?“ კოლომბინი მიუგებდა: „ვერა, ვერ გავბედავ“.

ხოლო როცა მეფე ჰკითხავდა: „კოლომბინ, რა გინდა გამოხვიდე?“ კოლომბინი მიუგებდა: „მე არ მინდა რამე გამოვიდე, მე უკვე ვარ, მე კოლომბინი ვარ“.

მეფემ უთხრა: „კი მაგრამ, რაღაცა ხომ უნდა გამოხვიდე?“ კოლომბინმა ჰკითხა: „მაინც, რა შეიძლება გამოვიდე?“

მეფემ უთხრა: „აგე, ის ნვერებიანი კაცი, მზით გარუჯული უხეში პირისკანი რომ აქვს, მეზღვაურია. უნდოდა მეზღვაური გამოსულიყო და გამოვიდა კიდეც. მას ზღვების გადაცურვა და თავისი ხელმწიფისთვის ქვეყნების აღმოჩენა ევალემა“.

„თუ გსურს, ჩემო ხელმწიფევ“, შესძახა კოლომბინმა, „მეზღვაური გამოვალ“.

მთელი სამეფო კარი სიცილით ჩაბუირდა.

კოლომბინი დარბაზიდან გავარდა და დასჭეჯა: „მე აღმოვაჩენ ქვეყანას, მე აღმოვაჩენ ქვეყანას!“

კარისკაცებმა და სეფექალებმა ერთიმეორეს გადახედეს და თავები გადააქნიეს, კოლომბინი კი სასახლიდან გავარდა, უკან მოიტოვა ქალაქი და მინდორი, და მინდვრად გასულ გლეხებს, მას რომ მიშ-

ტერებოდნენ, „მე აღმოვაჩინე ქვეყანას, მე აღმოვაჩინე ქვეყანასო!“ მიაძახა.

ტყეში შევარდა და რამდენიმე კვირას ბუჩქებში იმალებოდა, რამდენიმე კვირა კოლომბინისგან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მეფე დალონდა და თავს საყვედურობდა; კარისკაცებსა და სეფექალებს სინდისი ჰქენჯნიდათ, კოლომბინს აბუჩად რომ იგდებდნენ.

მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა რამდენიმე კვირის შემდეგ კოშკზე დარაჯმა ბუქს ჩაჰბერა და კოლომბინმა გამოიარა მინდვრები, გამოიარა ქალაქი, გამოიარა კარიბჭე, ეახლა მეფეს და მოახსენა: „ჩემო ხელმწიფევ, კოლომბინმა ქვეყანა აღმოაჩინა“.

რაკი კარისკაცებსა და სეფექალებს კოლომბინის აბუჩად აგდება აღარ სურდათ, სერიოზული სახეები მიიღეს და ჰკითხეს: „რა ჰქვია იმ ქვეყანას და სად მდებარეობს?“

„მას ჯერჯერობით სახელი არა აქვს, რადგან ახალი აღმოჩენილია, შორს, ზღვაში მდებარეობს“, თქვა კოლომბინმა.

ამ დროს წვერებიანი მეზღვაური წამოდგა და განაცხადა: „კარგი, კოლომბინ, მე, ამერიგო ვესპუჩი, წავალ მაგ ქვეყნის საძებნელად. მითხარი, სად მდებარეობს“.

„შეხვალთ ზღვაში და სულ პირდაპირ გასწევთ, იმედი არ უნდა გადაინუროთ“, უთხრა კოლომბინმა, თან შიშისგან სული ელეოდა, რადგან ტყუილს ამბობდა – ასეთი ქვეყანა ხომ არ არსებობდა. მას აქეთ ძილი და მოსვენება დაკარგა.

ხოლო ამერიგო ვესპუჩი ძებნას შეუდგა.

არავინ იცის, საით გაემგზავრა იგი.

იქნებ ისიც ტყეში დაიმალა.

ერთ მშვენიერ დღეს კი ბუქსა კრეს და ამერიგო დაბრუნდა.

კოლომბინი განითლდა და დიდ მეზღვაურს თვალს ვერ უსწორებდა.

ვესპუჩი წარდგა მეფის წინაშე, კოლომბინს თვალი ჩაუკრა, სული მოითქვა, ერთხელ კიდევ ჩაუკრა თვალი კოლომბინს და ხმამაღლა, მკაფიოდ წარმოთქვა, ისე, ყველას რომ გაეგონა: „ჩემო ხელმწიფევ“, ასე თქვა მან, „ჩემო ხელმწიფევ, ის ქვეყანა არსებობს“.

კოლომბინი ცას ეწია სიხარულით, მეზღვაურმა რომ არ გასცა, მიიღბინა მასთან, მოეხვია და შესძახა: „ამერიგო, ჩემო ძვირფასო ამერიგო!“

ხალხს კი ეგონა, ეს იმ ქვეყნის სახელიაო, და ქვეყანას, რომელიც არ არსებობს, „ამერიკა“ უწოდეს.

„შენ ახლა კაცი ხარ“, უთხრა მეფემ კოლომბინს, „ამიერიდან კოლუმბი გერქმევა“.

კოლუმბს სახელი გაუვარდა, ყველა განცვიფრებული იყო ამ ყმანვილით და ერთიმეორეს ერურჩულებოდნენ: „ამან ამერიკა აღმოაჩინა“.

ყველას სჯეროდა, რომ ამერიკა არსებობს, მხოლოდ კოლუმბი არ იყო დარწმუნებული, მთელი ცხოვრება ეჭვი აწვალებდა, ვერა და ვერ გაებედა მეზღვაურისთვის სიმართლე გამოეკითხა.

მალე სხვებიც გაუდგნენ გზას ამერიკისკენ — ძალიან ბევრი გაემგზავრა; უკანდაბრუნებულნი ამტიციებდნენ: „ამერიკა არსებობს!“

„მე“, თქვა კაცმა, ვისგანაც ეს ამბავი მოვისმინე, „მე არასოდეს ვყოფილვარ ამერიკაში. არ ვიცი, ამერიკა არსებობს თუ არა. იქნებ ხალხი ასე იმიტომ იქცევა,

რომ კოლომბინს გული არ დასწყვიტონ. როდესაც ორნი ერთურთს ამერიკის შესახებ მოუთხრობენ, დღესაც კი თვალს უკრავენ ერთმანეთს, თითქმის არასოდეს ახსენებენ ამერიკას, მეტწილად „შტატებიო“, „ოკეანის გადაღმაო“ ან რაღაც ამგვარს ამბობენ.

იქნებ მათ, ვისაც ამერიკაში წასვლა სურთ, თვითმფრინავში ან გემზე კოლომბინის ამბავს მოუთხრობენ, შემდეგ ისინი სადმე იმალებიან, მერე უკან ბრუნდებიან და ჰყვებიან კოვბოებისა და ცათამბჯენების, ნიაგარის ჩანჩქერისა და მისისიპის, ნიუ-იორკისა და სან-ფრანცისკოს შესახებ.

ასე თუ ისე, ყველა ერთსა და იმავეს კი ჰყვება და ყველა იმას ჰყვება, რაც გამგზავრებამდეც იცოდნენ; და ეს ხომ ფრიად საეჭვოა.

თუმცა ჯერ კიდევ კამათობენ, ვინ იყო კოლუმბი სინამდვილეში.

მე კი ვიცი.

მოდოკი

სალამს გითვლით

ბიძია მოდოკზე სრულიად არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ იგი ბაბუაჩემის ბიძა ყოფილა. არ ვიცი, როგორი იყო გარეგნულად, არ ვიცი, სად ცხოვრობდა და რას საქმიანობდა.

მე მხოლოდ მისი სახელი ვიცი: მოდოკი.

და სხვას არავის ვიცნობ, ეს სახელი რომ ერქვას.

ბაბუა თავისი ამბების მოყოლას ასე იწყებდა ხოლმე: „როცა ბიძია ფოდოკი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო“, ან „როცა ბიძია ფოდოკს ვენვიე“, ან „როცა ბიძია ფოდოკმა ტუჩის გარმონი მაჩუქა“.

მაგრამ ბიძია ფოდოკზე არასოდეს მოუყოლია რამე, ჰყვებოდა მხოლოდ იმ დროებაზე, როცა ფოდოკი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ჰყვებოდა ფოდოკთან გამგზავრებასა და ფოდოკის ნაჩუქარ ტუჩის გარმონზე. და როცა ჰკითხავდი: „ვინ იყო ბიძია ფოდოკი?“ გეტყოდა: „ერთი ჭკუიანი კაცი“.

ყოველ შემთხვევაში ბებია ასეთ ბიძიას არ იცნობდა, მამაჩემს კი ეცინებოდა ამ სახელის გაგონებაზე და ბაბუა ბრაზობდა, როცა მამა იცინოდა, და მერე ბებიას ეტყოდა: „დიახაც, ფოდოკი, დიახაც“ და სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა.

კარგა ხანს მეგონა, რომ ბიძია ფოდოკი მეტყევე იყო, რადგან ერთხელ, ბაბუას რომ ვუთხარი, მეტყევე მინდა გამოვიდე-მეთქი, მან თქვა: „როგორ გაუხარდებოდა ბიძია ფოდოკს!“

მაგრამ როცა ორთქლმავლის მემანქანეობა მოვისურვე, მაშინაც ეს მითხრა, და მაშინაც, როცა გავუმხილე, არაფერი არ მინდა გამოვიდე-მეთქი. სულ ასე მეუბნებოდა: „როგორ გაუხარდებოდა ბიძია ფოდოკს!“

მაგრამ ბაბუა ტყუილების გუდა გახლდათ.

მე ის მიყვარდა, თუმცა ამ ტიალ ნუთისოფელს ტყუილების გუდად ექცია.

მივიდოდა ტელეფონთან, ყურმილს აიღებდა, ნომერს აკრეფდა და გააბამდა: „სალამი, ბიძია ფოდოკ, როგორ გიკითხო, ბიძია ფოდოკ, არა, ბიძია ფოდოკ, კი, როგორ არა, აბა რა, ბიძია ფოდოკ“, და

ჩვენ ვიცოდით, რომ ლაპარაკისას ტელეფონის ბერკეტს აწვებოდა და თვალს გვიხვევდა, ვითომ მართლა ემასლაათებოდა ვინმეს.

ბებიამაც ხომ იცოდა ეს, მაგრამ მაინც გასძახებდა: „მოათავე ახლა ლაპარაკი, ძვირი დაგვიჯდება!“ და ბაბუა ამბობდა: „აბა, გვეყოფა, ბიძია ფოდოკ“, და მოგვიბრუნდებოდა და გვეტყოდა: „ფოდოკი სალამს გითვლით“.

არა და, ადრე სულ ამბობდა: „როცა ბიძია ფოდოკი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო“, ახლა კი გვეუბნებოდა: „ერთი უნდა მოვინახულოთ ჩვენი ბიძია ფოდოკი“.

ანდა იტყოდა: „ბიძია ფოდოკი უსათუოდ გვესტუმრება“, და თან მუხლზე დაიკრავდა ხელს, მაგრამ დამაჯერებლად ვერ გამოსდიოდა, გრძნობდა ამას და გაილურსებოდა, ცოტა ხნით შეეშვებოდა თავის ფოდოკს.

და ჩვენც შვებით ამოვისუნთქავდით.

მერე კვლავ დაიწყებოდა:

ფოდოკმა დარეკა.

ფოდოკი ყოველთვის ამბობდა.

ფოდოკიც ამავე აზრისაა.

ამას ქუდი ბიძია ფოდოკივით ახურავს.

ბიძია ფოდოკს სეირნობა უყვარს.

ბიძია ფოდოკი ყოველგვარ სიცივეს გაუძლებს.

ბიძია ფოდოკს უყვარს ცხოველები უყვარს ბიძია ფოდოკი მათთან ერთად სეირნობს გინდაც ყინავდეს ბიძია ფოდოკი ცხოველებს დაასეირნებს ბიძია ფოდოკი აიტანს ყოველგვარ სიცივეს აიტანს ბიძია ფოდოკი ბ-ი-ძ-ი-ა ფ-ო-დ-ო-კ-ი.

და როცა ჩვენ, შვილიშვილები, მივუცუცქედებოდით, განა იმას გვეკითხავდა — „ორჯერ შვიდი რამდენია?“ ან:

„რა ჰქვია ისლანდიის დედაქალაქს?“, არამედ: „როგორ იწერება მოდოკი?“

მოდოკი იოტათი იწერება, ეს ორი ო კი პირდაპირ საშინელება იყო. ბაბუას ოთახში დილიდან სალამომდე გული გვექონდა განვრილებული ამ მოდოკის ო-ებით.

ბაბუას კი უყვარდა მოდოკის ო-ები და ამბობდა:

ბიძია მოდოკი ოქროს ბოქლომს ფლობს.

ბიძია მოდოკს მხოლოდ ორი ოფოფი მოჰყავს.

ბიძია მოდოკი ბობოქრობს.

მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ ყველაფერს ო-ებით ამბობდა:

ბოძო მოდოკო ჩვონთონ მოვო, ოს ორთო ჭკვოონო კოცო, ხვოლ მოდოკთონ მოვდოვოროთ.

ანდა ასე:

ბოძო მოდოკო მოვო

ჩვონთონ ოს ოროს

ორთო ჭკვოონო კოცო

ჩვონ ხვოლ მოდოკთონ

მოვდოვოროთ.

და ხალხს სულ უფრო და უფრო ეშინოდა ბაბუასი, და მან იმის მტკიცებაც კი დაიწყო, არავითარ მოდოკს არ ვიცნობ, არც ოდესმე ვიცნობდიო. თქვენ წამოიწყეთ ეს ამბავიო, თქვენ მკითხეთ, ვინ იყო ბიძია მოდოკიო.

მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა.

მისთვის მოდოკის გარდა აღარაფერი არსებობდა.

უკვე ასე ესალმებოდა ფოსტალიონს: „გამარჯობა, ბატონო მოდოკ“, მერე მეც მოდოკს მეძახდა და მალე — სუყველას.

მოდოკი იყო მისი სააღერსო სახელი: „ჩემო საყვა-

რელო ფოდოკ“, მისი სალანძლავი სიტყვა: „წყეულო ფოდოკ“ და მისი წყევლა: „ფოდოკსაც წაუღიხარ“.

„მე მშიაო“, კი აღარ იტყოდა, „მე ფოდოკიო“ ამბობდა. მოგვიანებით „მე“-საც აღარ ამბობდა, და ასე გამოდიოდა: „ფოდოკ ფოდოკიო“.

აიღებდა გაზეთს, მოძებნიდა გვერდს „ფოდოკი და ფოდოკი“ — სინამდვილეში „უბედური შემთხვევა და დანაშაული“ — და ხმამაღლა გვიკითხავდა:

„ფოდოკთან ფოდოკზე ფოდოკის გამო მოხდა ფოდოკი, რამაც ორი ფოდოკი მოითხოვა. ერთი ფოდოკი გაემართა ფოდოკზე ფოდოკიდან ფოდოკისაკენ. ცოტა ფოდოკის შემდეგ მოხდა ფოდოკი ფოდოკზე ფოდოკიდან ფოდოკთან ერთად. ფოდოკის ფოდოკი, ფოდოკ ფოდოკი, და მისი ფოდოკი, ფოდოკ ფოდოკი, ფოდოკზე იპოვეს დახოცილები“.

ბებია ყურებს თითებით იცობდა და კიოდა: „აღარ შემიძლია ამის მოსმენა, გავგიჟდები“. მაგრამ ბაბუა არ ცხრებოდა. ცხოვრების ბოლომდე არ მოუშლია ეს „ფოდოკ ფოდოკი“ და ძალზე მოხუცდა ჩემი ბაბუა და მე ძალიან მიყვარდა იგი. და თუმცა ბოლოს ფოდოკის მეტს ვერაფერს გაიგონებდი მისგან, ჩვენ ორს მაინც ყოველთვის მშვენივრად გვესმოდა ერთმანეთისა. მე ძალიან პატარა ვიყავი და ბაბუა ძალიან მოხუცი, დამისვამდა მუხლებზე და მიფოდოკებდა ფოდოკ ფოდოკის ფოდოკს — ესე იგი: „მიყვებოდა ბიძია ფოდოკის ამბავს“, და სიხარულით ვისმენდი მის მონაყოლს, და იმათ, ვინც ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ბაბუაჩემზე უმცროსი, არაფერი ესმოდათ და არ უნდოდათ, ბაბუას რომ მუხლებზე დავესვი და, როცა ბაბუა მოკვდა, გულამოსკენილი ვტიროდი.

ყველას ვეხვეწებოდი, მისი საფლავის ქვას ფრიდრიხ გლაუზერი კი არა, ფოდოკ ფოდოკი

დაანერეთ, ბაბუაჩემს გულით უნდოდა-მეთქი ეს. ტირილით გავსკდი, მაგრამ არ გამიგონეს.

ოღონდ, სამნუხაროდ, სამნუხაროდ, ეს ამბავი ნამდვილი არ არის, და, სამნუხაროდ, ბაბუაჩემი ტყუილების გუდა არ ყოფილა, და, სამნუხაროდ, ვერც სიბერემდე მიატანა მან.

ჯერ კიდევ ძალიან პატარა ვიყავი, როცა ბაბუა მოკვდა და მხოლოდ ის მახსოვს, ერთხელ რომ თქვა: „როცა ბიძია ფოდოკი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო“, და ბებიაჩემმა, რომელიც არ მიყვარდა, მკვახედ დაუცაცხანა: „აღარ გამაგონო ეგ შენი ფოდოკი“, და ბაბუა მთლად გაიღურსა და დაღონდა და მოიბოდიშა მერე.

მაშინ კი გავცოფდი — ეს ჩემი პირველი გაცოფება იყო, რაც კი ჩემს მეხსიერებას შემოუნახავს — და ვიყვირე: „მე რომ ბიძია ფოდოკი მყოლოდა, სულ მის ხსენებაში ვიქნებოდი“.

ასე რომ მოქცეულიყო ბაბუაჩემი, ეგებ მეტ ხანს ეცოცხლა და დღეს კიდევ მყოლოდა ბაბუა, ჩვენ კარგად გავუგებდით ერთმანეთს.

კაცი, რომელსაც აღარაფრის ცოდნა აღარ სურდა

„აღარაფრის ცოდნა აღარ მინდა“, თქვა კაცმა, რომელსაც აღარაფრის ცოდნა აღარ სურდა.

კაცმა, რომელსაც აღარაფრის ცოდნა აღარ სურდა, თქვა: „აღარაფრის ცოდნა აღარ მინდა“.

სათქმელად ადვილია.

სათქმელად ადვილია.

და ტელეფონმაც დაინკრიალა.

და რაკი აღარაფრის ცოდნა აღარ სურდა, წესით, უნდა ამდგარიყო და კაბელი გამოეძრო, მაგრამ ნაცვლად ამისა ყურმილი აიღო და „გისმენთო“ თქვა.

„გამარჯობა“, შეეხმიანა ნაცნობი.

და კაცმაც მიუგო: „გაგიმარჯოს“.

„მშვენიერი ამინდია დღეს“, უთხრა იმან.

კაცს არ უთქვამს: „არ მინდა, ეგ ვიცოდე“. ის კი არა და, მიუგო: „მართლაც, მეტად მშვენიერი ამინდია დღეს“.

და იმან კიდევ რაღაც უთხრა.

და კაცმა კიდევ რაღაც უპასუხა.

და მერე ყურმილი დადო და ბრაზი მოერია, რადგან ახლა იცოდა, კარგი ამინდი რომ იყო.

მაშინ კი გამოგლიჯა კაბელი კედლიდან და იყვირა: „არც ეს მინდა ვიცოდე, მინდა დავივიწყო ეს“.

სათქმელად ადვილია.

სათქმელად ადვილია.

აგერ ფანჯარას მზე მოსდგომოდა, ხოლო როცა ფანჯარას მზე ადგას, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ კარგი ამინდია. კაცმა დარაბები შემოხურა, მაგრამ ახლა მზე ნაპრალებში იჭყიტებოდა.

კაცმა აიღო ქალაღდი, ფანჯრის მინებს ააკრა და სიბნელეში დაჯდა.

და ასე იჯდა კარგა ხანს, და შემოვიდა მისი ცოლი და დაინახა ქალაღდაკრული ფანჯრები და შეკრთა. მან იკითხა: „რა არის ეს?“

„ამან მზე არ უნდა შემოუშვას“, მიუგო კაცმა.

„მაშინ შუქი აღარ გექნება“.

„ეგ ერთი ნაკლი აქვს“, თქვა კაცმა, „მაგრამ ასე ჯობს, რადგან, მზე თუ არ შემოვა, უშუქოდ კი დავრჩები, მაგრამ ის მაინც არ მეცოდინება, რომ კარგი ამინდია“.

„რას ერჩი კარგ ამინდს?“ ჰკითხა ცოლმა, „კარგი ამინდი გულს ახარებს“.

„კარგ ამინდს“, თქვა კაცმა, „არაფერსაც არ ვერჩი, საერთოდ არაფერს არ ვერჩი ამინდს. უბრალოდ, არ მინდა ვიცოდე, როგორი ამინდია“.

„შუქი მაინც აგენტო“, თქვა ქალმა და შუქის ანთება დააპირა, მაგრამ კაცმა ნათურა ჩამოგლიჯა ჭერიდან და თქვა: „ალარც ეგ მინდა ვიცოდე, ეგეც ალარ მინდა ვიცოდე, რომ შუქის ანთება შეიძლება“.

ცოლი ატირდა.

და კაცმა თქვა: „აი, ასე, აღარაფრის ცოდნა ალარ მინდა“.

და რაკი ცოლმა ვერაფერი გაიგო, ტირილს თავი ანება და ქმარი სიბნელეში დატოვა.

და დიდხანს, დიდხანს იჯდა კაცი იქ.

და სტუმრად მოსული ხალხი ქალს ქმრის ამბავს ეკითხებოდა და ქალი უხსნიდა: „აი, ასეა, ზის, აი, ასე, სიბნელეში და აი, ასე, აღარაფრის ცოდნა ალარ უნდა“.

„რისი ცოდნა ალარ უნდა?“ ეკითხებოდა ხალხი და ქალი ამბობდა:

„არაფრის, სრულებით არაფრის ცოდნა ალარ უნდა“.

ალარ უნდა იცოდეს, რასაც ხედავს, მაგალითად, როგორი ამინდია.

ალარ უნდა იცოდეს, რაც ესმის, მაგალითად, რას ამბობს ხალხი.

და აღარ უნდა იცოდეს, რაც იცის, მაგალითად, როგორ უნდა აანთო შუქი.

აი, ასეა", ამბობდა ქალი.

„აჰ, მაშ ასეა“, ამბობდნენ ისინი და აღარ მოდიოდნენ სტუმრად.

და იჯდა კაცი სიბნელეში.

და ცოლი საჭმელს შეუტანდა ხოლმე.

და ჰკითხავდა: „რა აღარ იცი?“

და კაცი მიუგებდა: „ჯერ კიდევ ყველაფერი ვიცი“, და უზომოდ დაღონებული იყო, რადგან ჯერ კიდევ ყველაფერი იცოდა.

ცოლი ცდილობდა ენუგეშებინა და ეუბნებოდა: „კი მაგრამ, შენ ხომ არ იცი, როგორი ამინდია“.

„როგორი ამინდია, არ ვიცი“, ამბობდა კაცი, „მაგრამ ჯერ კიდევ ვიცი, როგორი შეიძლება იყოს. მახსოვს ნვიმიანი დღეები და მახსოვს მზიანი დღეები“.

„მაგასაც დაივიწყებ“, ეუბნებოდა ცოლი.

და კაცი ამბობდა:

„სათქმელად ადვილია.

სათქმელად ადვილია“.

და იჯდა და იჯდა კაცი სიბნელეში, და შეჰქონდა ცოლს ყოველდღე საჭმელი, და დახედავდა კაცი თეფშს და იტყოდა:

„ვიცი, რომ ეს კარტოფილია, ვიცი, რომ ეს ხორცია, აი, ყვავილოვანი კომბოსტოც; არ არის საშველი, მაინც ყველაფერი მეცოდინება. ვიცი ყოველი სიტყვა, რომელსაც წარმოვთქვამ“.

და შემდეგ შესვლაზე ცოლმა ჰკითხა: „რა იცი კიდევ?“ მან მიუგო: „ბევრად მეტი ვიცი, ვიდრე უნინ ვიცოდი, ის ხომ ვიცი და ვიცი, კარგი ამინდი როგორია და

ცუდი ამინდი როგორია, ახლა ისიც ვიცი, როგორია, როცა არავითარი ამინდი არ არის. და ისიც ვიცი, რომ როცა მთლად ბნელა, მაინც არ ბნელა საკმარისად”.

„ხომ არის რალაც-რალაცები, რაც არ იცი“, უთხრა ცოლმა და გასვლა დააპირა, ხოლო როცა კაცმა შეაჩერა, თქვა: „მაგალითად, შენ არ იცი, როგორაა „კარგი ამინდი“ ჩინურად“, და გავიდა ქალი და კარი გაიხურა.

მაშინ კი კაცი, რომელსაც აღარაფრის ცოდნა აღარ სურდა, დაფიქრდა. ჩინურისა ინჩიბინჩი არ გაეგებოდა ნამდვილად, ჰოდა, იძახე: „ჩინურიც აღარ მინდა ვიცოდე“, რა აზრი აქვს, თუკი ისედაც არ იცი.

„ჯერ უნდა ვიცოდე ის, რისი ცოდნაც აღარ მენდომება“, ნამოიყვირა კაცმა და სასწრაფოდ გამოალო ფანჯარა, და გახსნა დარაბები, და წვიმდა გარეთ, და კაცი უმზერდა წვიმას.

მერე ქალაქში გავიდა ჩინურის სახელმძღვანელოების შესაძენად, და დაბრუნდა შინ და ჩაუჯდა ნიგნებს, და გამოჰყავდა ქალაქდზე ჩინური იეროგლიფები.

და როცა სტუმრად მოსული ხალხი ქალს ქმრის ამბავს ეკითხებოდა, ის ამბობდა: „აი, ასეა, ახლა ჩინურს სწავლობს, ასეა“.

და ხალხი აღარ მოდიოდა სტუმრად.

მაგრამ ჩინურის სწავლას თვეები და წლები უნდა, ჰოდა, როცა ბოლოსდაბოლოს ისწავლა, კაცმა თქვა:

„ჯერ კიდევ არა მაქვს საკმარისი ცოდნა.“

ყველაფერი უნდა ვიცოდე. მხოლოდ მაშინ შემეძლება ვთქვა, ეს ყველაფერი აღარ მინდა ვიცოდემეთქი.

უნდა ვიცოდე, რა გემოსია ღვინო, რა გემოსია ცუდი ღვინო და რა გემოსია კარგი.

და რაკილა კარტოფილს ვჭამ, უნდა ვიცოდე, როგორ მოჰყავთ ის.

უნდა ვიცოდე, როგორია მთვარე; მთვარეს რომ ვხედავ, ეს როდი ნიშნავს, თითქოს ვიცოდე, როგორია ის, და ისიც უნდა ვიცოდე, როგორ აღწევენ მთვარეს.

და ცხოველთა სახელებიც უნდა ვიცოდე, და მათი იერსახე, და რას აკეთებენ და სად ცხოვრობენ“.

და შეიძინა წიგნი ბოცვრებზე და წიგნი ქათმებზე და წიგნი ტყის ცხოველებზე და წიგნი მწერებზე.

და მერე იყიდა წიგნი ჯავშნოსან მარტორქაზე.

და მარტორქა ძალიან მოეწონა.

წავიდა ზოოპარკში და ნახა მარტორქა, იდგა ის იქ ვეებერთელა გალიაში და არ იძვროდა.

და კაცმა ცხადად დაინახა, როგორ ცდილობდა მარტორქა ეაზროვნა და რაღაც გაეხსენებინა და იგრძნო, როგორ იტანჯებოდა მარტორქა ამით.

და ყოველთვის, როცა კი მარტორქას რაღაცა მოაფიქრდებოდა, გახარებული მოსწყდებოდა ადგილს, ორჯერ-სამჯერ დატრიალდებოდა გალიაში და ამა-სობაში ავიწყდებოდა, რაც მოესაზრებინა და ადგილზე ქვავდებოდა — ერთი საათით, ორი საათით — და მერე კვლავ შეიკუნტრუშებდა, როცა რაღაცას მოესაზრებდა.

და რაკილა ყოველთვის ცოტა ნაადრევად შეიკუნტრუშებდა ხოლმე, კაცმა რომ თქვას, ვერაფერიც ვერ მოესაზრებინა.

„მარტორქა მინდა ვიყო“, თქვა კაცმა, „მაგრამ ახლა რაღა დროსია“.

მერე შინისაკენ გაემართა და თავის მარტორქაზე ფიქრობდა.

და სულ მარტორქაზე ლაპარაკობდა, მეტი აღარაფერი ახსოვდა.

„ჩემი მარტორქა“, ამბობდა იგი, „ძალიან ზანტად აზროვნებს და ნაადრევად შეიკუნტრუშებს ხოლმე, და ეს ასეც უნდა იყოს“, ამასობაში კი გადაავეინყდა, ყველაფრის ცოდნა რომ სურდა, რათა მერე ესურვა, აღარ მინდა იმის ცოდნა, რაც ვიცო.

და უნინდებურად განაგრძო ცხოვრება.

ოღონდ ეგ იყო, ახლა ჩინურიც იცოდა.

კაცნი, რომელიც მეხსიერებას არ უჩიოდა

ერთ კაცს ვიცნობდი, რომელმაც მატარებლების მთელი განრიგი თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა, რადგან ერთადერთი რამ, რაც სიხარულს ანიჭებდა, რკინიგზა იყო; სადგურზე ათენებდა და აღამებდა, უყურებდა, როგორ მოგრიალებდნენ და მიგრიალებდნენ მატარებლები. აოცებდა ვაგონები, ორთქლმავლების ძალა, ბორბლების სიდიდე, აოცებდა კონდუქტორების ახტომ-ჩამოხტომა და აოცებდა სადგურის უფროსი.

იცნობდა თითოეულ მატარებელს, იცოდა, საიდან მოდიოდა, საით მიდიოდა, როდის და სად უნევდა ბოლო გაჩერება და იქიდან რომელი მატარებლები გა-

უდგებოდნენ გზას და როდის ჩამოდგებოდნენ სადგურზე.

იცოდა მატარებელთა ნომრები, იცოდა, რომელ დღეებში დადიოდნენ, ჰქონდათ თუ არა ვაგონრესტორანი, მოუწევდათ თუ არა გადასხდომა მის მგზავრებს. იცოდა, რომელ მატარებლებს ება საფოსტო ვაგონი და რა ღირდა ბილეთი ფრაუნენფელდამდე, ოლტენამდე, ნიდერბიჰამდე ან სხვა დასახლებულ პუნქტებამდე.

არც რესტორანში დადიოდა, არც კინოში, არც სეირნობდა, არც ველოსიპედი ჰქონდა, არც რადიო, არც ტელევიზორი, არც გაზეთებს კითხულობდა, არც ნიგნებს, და წერილები კიდევაც რომ მიეღო, არც იმათ ნაიკითხავდა. საამისოდ არ ეცალა, რადგან სადგურზე ათენებდა და აღამებდა, და მხოლოდ მაშინ, როცა განრიგი იცვლებოდა, მაისსა და ოქტომბერში, რამდენიმე კვირით გადაიკარგებოდა ხოლმე.

ამ დროს შინ იჯდა, თავის მაგიდასთან და იზეპირებდა, თავიდან ბოლომდე კითხულობდა ახალ განრიგს, რაიმე ცვლილებას რომ ნახავდა, ხარობდა და იმახსოვრებდა.

ხანდახან ვინმე მატარებლის გასვლის დროს ჰკითხავდა. მაშინ კი გაიბადრებოდა და ჩაეძიებოდა, საით მიემგზავრებიო, და შემკითხველი უთუოდ დაავიანებდა მატარებელზე, რადგან ეს კაცი არა და არ მოეშვებოდა, მხოლოდ გასვლის დროს როდი მოახსენებდა, მაშინათვე ჩამოურაკრაკებდა მატარებლის ნომერს, ვაგონთა რაოდენობას, მგზავრობის ხანგრძლივობას; უხსნიდა, რომ ამ მატარებლით პარიზს გამგზავრება შეიძლებოდა, მერე მოაყოლებდა, სად უნდა გადამჯდარიყავი და როდის ჩახვიდოდი,

და ვერ ხვდებოდა, რომ ხალხს ეს არ აინტერესებდა. თუ ვინმე ზურგს შეაქცევდა და თავისი გზით წავიდოდა, ვიდრე იგი მთელ ცოდნას გამოამზეურებდა, კაცი ბრაზობდა, ილანძლებოდა და გაიძახოდა: „რა გაგეგებათ თქვენ რკინიგზებისა!“

თვითონ თავის დღეში მატარებელში არ მჯდარა.

რა აზრი აქვსო, ამბობდა, მე ხომ წინასწარ ვიცი, მატარებელი სად და როდის მივაო.

„მხოლოდ გულმავინყები მგზავრობენ მატარებლით“, ამბობდა იგი, „მაგათ რომ კარგი მეხსიერება ჰქონოდათ, ჩემსავით დაიხსომებდნენ მატარებლების გასვლისა და ჩასვლის დროს და მგზავრობა აღარ დასჭირდებოდათ იმისათვის, რომ დრო განეცადათ“.

ვცდილობდი განმემარტა ეს მისთვის, ვეუბნებოდი: „ხომ არის ხალხი, მგზავრობა რომ ეხალისება. რკინიგზით მგზავრობა მათთვის სიამოვნებაა, ფანჯრიდან იცქირებიან, აბა, რა ადგილებს გავივლით“.

კაცს გული მოსდიოდა, რადგან ეგონა, მისი დაცინვა მედო გუნებაში და მეუბნებოდა: „ეგეც აღნიშნულია განრიგში, გაივლიან ლუთერბახსა და დაიტინგენს, ობერბუხზიტენს, ეგერკინგენსა და ჰეგენდორფს“.

„იქნებ სულაც იმიტომ მგზავრობენ მატარებლით, რომ სადმე მიეშურებიან“, ვუთხარი მე.

„ვერც მაგას დავიჯერებ“, მიპასუხა, „იმიტომ, რომ თითქმის ყველა ოდესმე მაინც ბრუნდება უკან, ისეთი ადამიანებიც კი არსებობენ, აქ ყოველ დღით რომ სხდებიან მატარებელში და ყოველ საღამოს უკანვე ბრუნდებიან – აი, რა გულმავინყები არიან“.

და მან სადგურზე ხალხს ლანძღვა დაუნყო. იგი მისძახოდა მათ: „თქვე უტვინოებო, სულ არა გაქვთ

მახსოვრობა". იგი მისძახოდა მათ: „ჰეგენდორფს გაივლით“. და ეგონა, ამით მგზავრობის ხალისს წაუხდენდა ვინმეს.

ყვიროდა: „თქვე გამოშტერებულეხო, გუშინ არ იმგზავრეთ?!“ და რაკი ხალხს ეს სიცილადა არა ჰყოფნიდა, ვაგონის კიბიდან მგზავრების ჩამოთრევას მიჰყო ხელი, თან ემუდარებოდა მათ, მატარებელში ნუ ჩასხდებიო.

„ყველაფერს აგიხსნითო“, გაიძახოდა, „14 საათსა და 27 წუთზე ჰაგენდორფს გაივლით, დანამდვილებით ვიცი, აი, ნახავთ, თუ არა, ტყუილუბრალოდ ფლანგავთ ფულს, განრიგში ყველაფერი წერია“.

უკვე ხალხის საცემადაც კი იწევდა.

„ვისაც სიტყვით ვერ შეასმენ, ჯოხით უნდა შეაგნებინო“, ბობოქრობდა.

სადგურის უფროსს სხვა რა გზა ჰქონდა და გააფრთხილა, თუ წესიერად არ მოიქცევი, აქ აღარ მოგიშვებო. ამან შეაშინა, რადგან უსადგუროდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა, და მთელი დღე გასუსული იჯდა ძელსკამზე, უმზერდა მატარებლების მოსვლას და მატარებლების გასვლას, მხოლოდ ხანდახან თუ ჩაიბურტყუნებდა თავისთვის რაღაც რიცხვებს, თვალს აყოლებდა ხალხს და ვერაფერი გაეგო მათი.

ეს ამბავი, წესით, აქ უნდა დამთავრებულიყო.

მაგრამ მრავალი წლის შემდეგ სადგურზე ცნობათა ბიურო გახსნეს. იქ, სარკმელს მიღმა უნიფორმიანი მოხელე იჯდა და რკინიგზის შესახებ რაც არ უნდა გეკითხათ, ყველაფერზე გაგცემდათ პასუხს. ეს ვერ დაეჯერებინა კაცს, რომელიც მეხსიერებას არ უჩიო-

და, ყოველდღე მიადგებოდა ახლადგახსნილ ცნობათა ბიუროს და მოხელეს გამოსაცდელად უსაშველოდ ძნელ შეკითხვებს უსვამდა.

ერთხელ ჰკითხა: „რა ნომერია ის მატარებელი, ზაფხულში, კვირადღეობით, 16 საათსა და 24 წუთზე ლიუბეკში რომ ჩამოდგება ხოლმეო“.

მოხელემ წიგნი გადაფურცლა და ნომერი მოახსენა.

მერე ჰკითხა: „როდის ვიქნები მოსკოვში, თუ აქედან 6 საათსა და 59 წუთზე გავყვები მატარებელს?“ მოხელემ ესეც უთხრა.

მაშინ კაცი, რომელიც მეხსიერებას არ უჩიოდა, შინ დაბრუნდა, ცეცხლს მისცა თავისი განრიგები და ყველაფერი დაივიწყა, რაც იცოდა.

მეორე დღეს მოხელეს ჰკითხა: „სადგურის წინ რომ კიბეა, რამდენსაფეხურიანია?“ არ ვიციო, მიუგო მოხელემ.

გახარებულმა კაცმა ხტუნვა-ხტუნვით შემოირბინა მთელი სადგური, თან გაჰყვიროდა: „არ იცის, არ იცის!“

მერე მივიდა და დაითვალა სადგურის კიბის საფეხურები და ჩაიბეჭდა რიცხვი მეხსიერებაში, საიდანაც განრიგის მონაცემები უკვე გამოეფერთხა.

მას მერე იგი სადგურზე აღარ გამოჩენილა.

ახლა ქალაქში კარდაკარ დაიარებოდა, კიბის საფეხურებს ითვლიდა და იმახსოვრებდა. მან ახლა ისეთი რაღაცები იცოდა, არც ერთ წიგნში რომ არ ეწერა.

ხოლო როცა მთელ ქალაქში ყველა კიბის საფეხურები დათვალა, სადგურისკენ გასწია, სალაროს მიაშურა, ბილეთი შეიძინა და ცხოვრებაში პირველად

ჩაჯდა მატარებელში, რათა სხვა ქალაქში წასულიყო და იქაც დაეთვალა კიბის საფეხურები, და მერე კიდევ სხვაგან გამგზავრებულიყო, რომ მთელ მსოფლიოში ეთვალა და ეთვალა კიბის საფეხურები, რათა ისეთი რამ სცოდნოდა, რაც არავინ იცის და რასაც ვერცერთი მოხელე წიგნში ვერ ამოიკითხავს.

მაგიდა მაგიდაა

მინდა ერთ მოხუც კაცზე გიამბოთ, კაცზე, რომელიც კრინტსაც აღარ ძრავს, მის დაღლილ სახეს აღარც გაღიმების თავი აქვს და აღარც გაჯავრების. იგი ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობს, ქუჩის ბოლოში ანუ გზაჯვარედინის მახლობლად. ლამის არც კი ღირს, აღგიწეროთ იგი, თითქმის არაფრით განირჩევა სხვებისგან. რუხი ქუდი ახურავს ხოლმე, რუხი შარვალი, რუხი პერანგი აცვია, ზამთარში კი — გრძელი რუხი პალტო; კისერი წვრილი აქვს, კისრის კანი მიმჭკნარი და დაღარული, პერანგის თეთრი საყელო მოფლაშვია.

სახლის ბოლო სართულზე უჭირავს ოთახი, ეგებ ოდესმე ცოლ-შვილიც ჰყოლია, ეგებ სხვა ქალაქში უცხოვრია ადრე. ოდესღაც ბავშვი იქნებოდა უთუოდ, მაგრამ ეს მაშინ, როცა ბავშვებს დიდებივით ეცვათ. ასე ჩაცმული ბავშვების ფოტოებს ბებიას ალბომში ნახავს კაცი. მის ოთახში ორი სკამია, ერთი მაგიდა, ერთი ნოხი, სანოლი და კარადა. პატარა მაგიდაზე მალვიძარა დგას, იქვე ძველი გაზეთები

და ფოტოალბომი ანყვია, კედელზე სარკე და სურათი კიდია.

მოხუცი კაცი სეირნობდა დილდილობით და სეირნობდა ნაშუადღევს, აქეთ ერთ მეზობელს გამოელაპარაკებოდა, იქით მეორეს, და სალამოობით თავის მაგიდას მიუჯდებოდა.

სულ ასე იყო, კვირადღეობითაც კი არაფერი იცვლებოდა. და როცა კაცი მაგიდას უჯდა, საათის ნიკნიკი ესმოდა, ნიკნიკებდა და ნიკნიკებდა მალვიძარა.

ერთხელაც უჩვეულო დღე დადგა, მზიანი დღე, არც ძალიან ცხელი, არც ძალიან ცივი, ჩიტები ჟღერტულეებდნენ, ადამიანები თავაზიანად უღიმოდნენ ერთმანეთს, ბავშვები თამაშობდნენ — უჩვეულო კი ის გახლდათ, რომ უეცრად კაცს ეს ყოველივე მოენონა.

მან გაიღიმა.

„აი, ახლა ყველაფერი შეიცვლება“, გაიფიქრა მან.

შეიხსნა პერანგის ზედა ლილი, ქუდი მოიხადა, ნაბიჯს აუჩქარა, სიარულისას მიირნეოდა კიდეც და უხაროდა. შეუყვა თავის ქუჩას, გზად ბავშვებს თავი დაუკრა, თავის სახლს მიუახლოვდა, კიბე აათავა, ჯიბიდან გასაღები ამოაძვრინა და კარი გააღო.

მაგრამ ოთახში ყველაფერი ძველებურად დახვდა, მაგიდა, ორი სკამი, სანოლი. ხოლო როცა ჩამოჯდა, ისევ ნიკნიკი მოესმა და მთელი სიხარული გაუქარწყლდა; არა, არაფერი შეცვლილიყო.

კაცი გაშმაგდა.

სარკეში დაინახა, როგორ წამოუჭარხლდა სახე, დაინახა, როგორ მოენკურა თვალები; მერე ხელები სიმწრით მომუჭა, ანია და მაგიდას დასცხო, ჯერ ერთხელ დაარტყა, მერე — კიდეც, მერე ბრახა-ბრუხი აუტეხა მაგიდას და აყვირდა:

„რალაც უნდა შეიცვალოს, რალაც უნდა შეიცვალოს!“
საათის ხმა აღარ ესმოდა. მერე ხელები ასტკივდა,
ხმა ჩაუნყდა, და ისევ მოესმა საათის ნიკნიკი; არა,
არაფერი შეცვლილა.

„ისევ ის მაგიდა“, თქვა კაცმა, „ისევ ის სკამები,
სანოლი, სურათი. მაგიდას მაგიდას ვეძახი, სურათს
— სურათს, სანოლს სანოლი ჰქვია და სკამს — სკამი.
მერედა რატომ?“ ფრანგები სანოლს „ლი“-ს ეძახიან,
მაგიდას „ტაბლ“-ს, სურათს „ტაბლო“ უქვიათ და
სკამს — „შეზ“, ერთმანეთისა მშვენივრად ესმით. ჩი-
ნელებსაც ესმით ერთმანეთისა.

„რატომ არ ჰქვია სანოლს სურათი?“ გაიფიქრა
კაცმა და გაიღიმა, მერე გაეცინა, ახარხარდა, ხარხა-
რებდა, სანამ მეზობლებმა კედელზე არ მიუბრახუ-
ნეს და „ჩუმადო“, არ გამოსძახეს.

„ახლა კი რალაც შეიცვლება“, იყვირა კაცმა და
მას მერე სანოლს სურათს ეძახდა.

„დავიღალე, სურათში მინდა“, იტყოდა იგი და
დილდილობით ხშირად კარგა ხანს ნებივრობდა სუ-
რათში, და ფიქრობდა, სკამს რა დავარქვაო. დაარქვა
სკამს „მალვიძარა“.

ჰოდა, ადგა, ჩაიცვა, დაჯდა მალვიძარაზე და ხე-
ლებით მაგიდას დაეყრდნო. მაგრამ მაგიდას მაგიდა
აღარ ერქვა, მაგიდას ახლა ნოხი ერქვა.

ამრიგად, წამოდგა კაცი დილით სურათიდან, ჩა-
იცვა, ნოხთან მდგარ მალვიძარაზე ჩამოჯდა და და-
ფიქრდა, რას რა დავარქვაო.

სანოლს სურათი დაარქვა.

მაგიდას ნოხი დაარქვა.

სკამს მალვიძარა დაარქვა.

გაზეთს სანოლი დაარქვა.

სარკეს სკამი დაარქვა.
მალვიძარას ალბომი დაარქვა.
კარადას გაზეთი დაარქვა.
ნოხს კარადა დაარქვა.
სურათს მაგიდა დაარქვა.
და ალბომს სარკე დაარქვა.
მაშ, ასე:

დილით კარგა ხანს ნებივრობდა მოხუცი კაცი სურათში, ცხრა საათზე ალბომმა დაინკრიალა, წამოდგა კაცი და კარადაზე დადგა, ტერფებზე რომ არ შესცივნოდა; გაზეთიდან ტანსაცმელი გამოიღო, ჩაიცვა, კედელზე დაკიდებულ სკამში ჩაიხედა, მერე მალვიძარა მიიჩოჩა, მიუჯდა ნოხს და მანამდე ფურცლა სარკე, სანამ დედამისის მაგიდა არ იპოვა.

კაცი გახალისდა, და მთელ დღეს ვარჯიშობდა და ახალ სიტყვებს იმახსოვრებდა. ყველაფერს გადაერქვა სახელი: ახლა თვითონ კაცი კი აღარ იყო, არამედ ტერფი, ტერფი დილა გახდა, ხოლო დილა – კაცი.

ახლა თქვენც შეგიძლიათ განაგრძოთ ეს მოთხრობა. და მერე შეძლებთ, იმ კაცივით თქვენც გამოუცვალოთ სიტყვებს მნიშვნელობები:

წკარუნს ერქვას დადგმა.
შეცივებას ერქვას ცქერა.
წოლას ერქვას წკარუნი.
დგომას ერქვას შეცივება.
დადგმას ერქვას ფურცვლა.
მაშინ ასე გამოვა:

კაცით მოხუცი ტერფი კარგა ხანს წკარუნობდა სურათში, ცხრა საათზე დადგა ალბომმა, ტერფს შესცივდა და კარადა გადაფურცლა, რათა დილებზე არ ეცქირა.

მოხუცმა კაცმა ლურჯი სასკოლო რვეულები შეიძინა და ახალი სიტყვებით გაავსო; ამან დიდი დრო წაართვა და ქუჩაში იშვიათად თუ გამოჩნდებოდა.

მერე სწავლობდა ნივთების ახალ სახელწოდებებს და სულ უფრო და უფრო ავიწყდებოდა ნამდვილი სახელები. უკვე ახალი ენა ჰქონდა, რომელიც მხოლოდ მისი საკუთრება იყო.

ხანდახან სიზმარსაც კი ხედავდა ახალ ენაზე, და მერე ბავშვობაში გაგონილ სიმღერებს თავის ენაზე თარგმნიდა და წყნარად ლილინებდა.

მაგრამ მალე თარგმნაც გაუჭირდა, ძველი ენა თითქმის დავიწყებოდა და საჭირო სიტყვები იმ ლურჯ რვეულებში უნდა ეძებნა. ეშინოდა ხალხთან დალაპარაკებისა. კარგა ხანს უნდა ეფიქრა, ამა თუ იმ ნივთს რას ეძახიანო.

მის სურათს ხალხი სანოლს ეძახდა.

მის ნოხს ხალხი მაგიდას ეძახდა.

მის მალვიძარას ხალხი სკამს ეძახდა.

მის სანოლს ხალხი გაზეთს ეძახდა.

მის სკამს ხალხი სარკეს ეძახდა.

მის ალბომს ხალხი მალვიძარას ეძახდა.

მის გაზეთს ხალხი კარადას ეძახდა.

მის კარადას ხალხი ნოხს ეძახდა.

მის მაგიდას ხალხი სურათს ეძახდა.

მის სარკეს ხალხი ალბომს ეძახდა.

და საქმე იქამდე მივიდა, რომ კაცი სიცილით კვდებოდა, ხალხის ლაპარაკს რომ უსმენდა.

სიცილით კვდებოდა, როცა ვინმე იტყოდა:

„თქვენც მიბრძანდებით ხვალ ფეხბურთზე?“ ან როცა ვინმე იტყოდა: „უკვე ორი თვეა წვიმს და წვიმს“. ან როცა ვინმე იტყოდა: „მე ბიძა მყავს ამერიკაში“.

სიცილით კვდებოდა, რადგან არ ესმოდა, რას ამბობდნენ.

მაგრამ ეს მხიარული მოთხრობა როდია.

ეს მოთხრობა ნაღვლიანად დაინყო და ნაღვლიანადვე მთავრდება.

რუხპალტოიან მოხუც კაცს ხალხისა რომ აღარ ესმოდა, ამას კიდევ რა უშავს.

ბევრად უარესი ის იყო, რომ ხალხს აღარ ესმოდა მისი.

და ამიტომ აღარაფერს ამბობდა.

დუმდა,

მხოლოდ თავის თავს თუ დაელაპარაკებოდა,

არც აღარავის ესალმებოდა.



ვალტერ ქაუერი

მეთევზე

იყო ერთი მეთევზე. იჯდა ხოლმე ტბის პირას და ანკესით თევზაობდა. დროდადრო ნემსკავს ამოწევდა და სატყუარას დახედავდა. ამასობაში ჩიბუხის დასატენადაც გამონახავდა დროს ანდა ტბის ზედაპირს მოაველებდა თვალს და დედა-იხვს მიაჩერდებოდა, შორიახლოს თავის სამ ქუჩულთან ერთად რომ დაცურავდა.

ხანდახან თევზსაც იჭერდა — კამკამა ტბა თევზით იყო სავსე. სამ-ოთხ ცალ მოვერცხლისფრო თევზს რომ იგდებდა ხელთ, თქვენ გგონიათ, ადგებოდა და შინისაკენ გასწევდა? ნურას უკაცრავად, ანკესს გვერდზე გადადებდა, ჩიბუხს გააბოლებდა და ჩაფიქრდებოდა. სამი-ოთხი თევზი მისთვის საკმარისი იყო. მეტი რად უნდოდა?! ვახშმად შეუბრანავდა ცოლი. საამისოდ კი სამი-ოთხი ცალი სავსებით კმაროდა.

მეთევზე იხსენებდა, როგორ იმუშავა მთელ კვირას ფაბრიკაში, ფიქრობდა თავის ოჯახზე, იმ ქუჩის ცხოვრებაზე, სადაც თვითონ სახლობდა. იჯდა და იჯდა მეთევზე, კალათში სამი თევზი ეგულეებოდა და ცას აჰყურებდა.

ერთხელაც ნაპირთან ახლოს დიდი ავტომობილი გაჩერდა. იქიდან პირში მსხვილსიგარაგაჩრილი კაცი გადმოვიდა და მეთევზეს მიაშურა.

„სალამო მშვიდობისა!“ თქვა კაცმა. მეთევზემ თავზიანად დაუბრუნა სალამი.

„სამი თევზი. სულ ეს არის?!“ იკითხა კაცმა, ცოტა არ იყოს, აგდებულად. მეთევზემ თავი დაუქნია.

„არ არის ამ ტბაში თევზი თუ ანკესს არ მოჰყვება?“ დაინტერესდა კაცი.

„როგორ არა“, მიუგო მეთევზემ, „თევზი ბლომად არის, ანკესსაც მოჰყვება“.

„მაშ, რატომ არ იჭერთ?“ განცვიფრდა კაცი.

„სამიჯ საკმარისია ჩემთვის!“ მიუგო მეთევზემ, „შემინვავს ჩემი ცოლი, სამი თევზი ვახშმად გვეყოფა...“

კაცმა თავი გადააქნია.

„მეტი უნდა დაიჭიროთ, თუკი მართლა ბევრი თევზია ამ ტბაში!“

„რატომ?“ იკითხა მეთევზემ, „მერე რა ვუყო ბევრ თევზს?“

„გაყიდეთ!“ მიუგო კაცმა.

„რისთვის?“ იკითხა მეთევზემ.

„რისთვის და, მერე ნავს შეიძენთ“, მიუგო კაცმა.

„ნავს რალა ვუყო?“ დაინტერესდა მეთევზე. „აი, ვზივარ აქ ჩემი ანკესით და იმდენს ვიჭერ, რამდენიც მჭირდება“.

„ნავით შეგიძლიათ ტბაში შეცუროთ“, უთხრა კაცმა. „იქ ხომ ბევრად მეტი თევზია!“

„სწორია“, დაეთანხმა მეთევზე. „მართალი ბრძანდებით, მაგრამ რა ვუყო ამდენ თევზს?“

„დაიჭერთ და გაყიდით, რალა თქმა უნდა! ნელში გაიმართებით, მერე მეორე ნავსაც იყიდით!“

„კარგი, ვთქვათ, ისე მოვიქეცი, როგორც თქვენ მირჩევთ; ორი ნავი მექნება, ხომ? ჰოდა, ორივეთი ერთად ხომ ვერ შევცურავ ტბაში სათევზაოდ?“

კაცი მოუთმენლობისგან აძაგდაგდა. აღელვებული ისე გამალებით ლეჭავდა სიგარას, რომ ლამის შემოეჭამა.

„სხვა მეთევზეს მონახავთ, აიყვანთ. ის მეორე ნავით შევა ტბაში და თქვენთვის დაიჭერს თევზს. თქვენ მას ჯამაგირს გადაუხდით, სამაგიეროდ მის დაჭერილ თევზს გაყიდით. ბევრი ფული შემოგივათ!“

„კი“, თქვა მეთევზემ. „ეგრე იქნება. მაგრამ რა ვუყო იმ ფულს?“

„კიდევ შეიძენთ ნავებს“, უთხრა კაცმა. „იქნება მოტორიან ნავსაც გამოჰკრათ ხელი. მაშინ უფრო სწრაფად იმუშავენ, ნიჩბის მოსმაზე დრო აღარ დაგეკარგებათ. მეტ ხალხს დაასაქმებთ და ფული ჩიჩქივით გექნებათ. ჰოდა, რას გეტყვით, იცით?“ აფორიაქებულმა კაცმა მხარზე ხელი დაჰკრა მეთევზეს. „მაშინ თქვენ მუშაობა აღარც კი დაგჭირდებათ. აღარასოდეს!“

მეთევზემ ნიკაპი მოიქექა. „კი მაგრამ, რაღა ვაკეთო?“ იკითხა ბოლოს.

„სათევზაოდ ნახვალთ. ითევზავებთ და ითევზავებთ!“

კაცი სახეგაბადრული შესცქეროდა მეთევზეს.

„რილასთვის?“ იკითხა მეთევზემ. „რილასთვის უნდა ვითევზაო, თუკი ის ხალხი იმდენ თევზს დაიჭერს ჩემთვის, რომ თავზე საყრელად მექნება?! თანაც მალე ამ ტბაში თევზის ჭაჭანებაც აღარ იქნება“.

„გასართობად, რაღა თქმა უნდა!“ შესძახა კაცმა. „ამხელა ბიზნესის პატრონს ცოტაოდენი თავის შექცევა არ განყენდათ“.

კაცი მცირე ხნით ჩაფიქრდა.

„თუ ამ ტბაში თევზი გადაშენდება, მაშინ ადგებით და იჯარით აიღებთ ან სულაც შეისყიდით სხვა

ტბას. ის მხოლოდ თქვენი საკუთრება იქნება! ითევზავებთ, გულს გადააყოლებთ”.

„ერიჰა!“ წამოიძახა მეთევზემ. „აბა, ახლა რას ვაკეთებ? მართალია, ეს ტბა ჩემი საკუთრება არ არის, მაგრამ ამ არემარეზე კაციშვილი არ თევზაობს ჩემს მეტი. მაშ, რა ძალა მადგას, თქვენს რჩევას მივსდიო?! მითუმეტეს, რომ სულაც არ მეხალისება ეგეთი რამეები”.

მეთევზეს ძალიან გაუკვირდა, კაცმა რომ ბოლომდე აღარ მოუსმინა, გულმოსულმა რომ შეაქცია ზურგი და თავისი ავტომობილისკენ გასწია.

ავტომობილი გზას გაუდგა.

მეთევზე კიდევ კარგა ხანს იჯდა ტბის პირას და იხვებს გაჰყურებდა.

არავითარი ნავი არ ურღვევდა მყუდროებას.

ლექსიკონიანი კაცი

სოფელი დიდი მაგისტრალებიდან დაშორებით მდებარეობდა და ამიტომ არც სახელგანთქმული სასტუმრო იყო იქ სადმე – კიდევ უფრო სახელოვანი ადამიანები რომ ბინავდებიან ხოლმე. ერთი პატარა სადგური ჰქონდა სოფელს, ძალიან პატარა სადგური, და მეზობელი სოფლის მცხოვრებნი, თავი რომ დიდად მოჰქონდათ, ირწმუნებოდნენ, მაგათ სადგურზე მატარებლები მხოლოდ ღამლამობით ჩერდებიანო.

სახლები ამ სოფელში ისეთივე იყო, როგორც ყველა ნორმალურ სოფელშია: სუფთა, მზისგან გამოხუნებული. ყვავილებით იყო მოჩითული ბაღები და სახლის ფანჯრები. ყოველ სახლს მაღალი ღობე ერტყა, ბალის ჭიშკრებზე აბრები იყო მიკრული, ეზოში ავი ძაღლის არსებობას რომ იტყობინებოდნენ ანდა იუნწყებოდნენ, მათხოვრებსა და მეწვრილმანეებს კარს არ ვუღებთო.

ამ სოფელში თავისი ოჯახიანად ცხოვრობდა კაცი, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს გაუგონარი რამ ჩაიდინა. ჭორიკანა დედაკაცები აჩურჩულდნენ, ხოლო ქუჩის ბიჭებმა კაცს სადგურამდე მისდიეს: კაცმა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მატარებლის ბილეთი შეიძინა. სადგურის უფროსმა ვითომ სხვათა შორის აცნობა ეს ამბავი კარტის თამაშისას თავის მუდმივ პარტნიორებს – სოფლის მწერალს, ბუხრების მწმენდელს და შიკრიკს.

მასწავლებელი არ ჰყავდა სოფელს, თორემ შიკრიკს ვინ წამოასკუპებდა ამ პატივცემული ბატონების გვერდით. სკოლა მეზობელ სოფელში იყო და ზამთრობით, როცა გზაზე თოვლი იდო, სასწავლებელში აღარავინ დადიოდა.

ასე, ვითომ სხვათა შორის, მოუთხრო პარტნიორებს სადგურის უფროსმა გაუგონარი ამბავი: ბილეთი აიღოო, თანაც არა სადმე აქვე მახლობელ სოფელში ან ოლქის ცენტრში წასასვლელად, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, პირდაპირ დედაქალაქში გასამგზავრებლადო.

პატივცემულმა ბატონებმა დანანებით გააქან-გამოაქანეს თავები, მერე ისიც სცადეს ჩაეგონებინათ კაცისთვის, რომ მისი განზრახვა სავსებით ზედმეტი

და ამასთან საეჭვოც იყო. აქამდე არავის მოსვლია აზრად შორს გამგზავრება, ასე იცხოვრეს ამდენი ხანი, ასე ზრდიდნენ შვილებს მშობლები უხსოვარი დროიდან.

კაცმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: რაკი ბილეთი ავიღე, ხვალ დილაადრიან გავემგზავრები კიდეც, მორჩა და გათავდაო! აბა რა, — დაასკვნეს პატივცემულებმა, — ვისაც წერა აიტანს, იმისი საშველი აღარ არის, ხოლო რა ხიფათი ელის ადამიანს დიდ ქალაქში, აგერ, ნაიკითხეთ, ბატონო, საოლქო გაზეთი და იქიდან გაიგებთო.

მაინც, რა გინდა ქალაქში, რისთვის მიდიხარო?

ამ შეკითხვას კაცმა დუმილი შეაგება, სამაგიეროდ უფრო მეტად აჩურჩულდნენ ჭორიკანა ქალები.

და გაემგზავრა კაცი მეორე დილით, ქუჩის ბიჭებმა ღრიანცელით მიაცილეს სადგურამდე.

ჩაჯდა კაცი ვინროლიანდაგიან მატარებელში, საოლქო ცენტრში ჩქარ მატარებელში გადაჯდა და დიდ ქალაქში ამოყო თავი.

მართლაცდა, რა უნდოდა ქალაქში, ამისი თქმა ზუსტად არ შეეძლო. ამიტომ ვერ გასცა პასუხი ამ კითხვაზე თანასოფლელებს. კი გრძნობდა რალაცას, მაგრამ ამ გრძნობის სიტყვებით გამოხატვა არ შეეძლო.

დაეხეტებოდა ქუჩაბანდებში, იჭყიტებოდა სავაჭროებში, ათვალეირებდა ვიტრინებს, მაგრამ ის გრძნობა, ენით გამოუთქმელი გრძნობა, ეუბნებოდა: დაიცა — ეს ის არ არის, რაც შენ გჭირდებაო!

უცებ ეს ჩვენი სოფლელი წიგნების მაღაზიასთან აღმოჩნდა. ვიტრინა წიგნებით იყო სავსე — ფერადყდიანი, სქელი, თხელი, ოქროსვარაყიანი თუ სადად

გაფორმებული წიგნებით. და იგი ერთბაშად მიხვდა: ეს იყო, რასაც ეძებდა. აი ამან ჩამომიყვანა ქალაქშიო. ერთი სქელი წიგნი იდო ვიტრინაში, მეტისმეტად სქელი და თანაც ძალიან ძვირი, წიგნის გვერდით აბრა იყო გაკრული და ამ აბრაზე კაცმა ასეთი რამ ამოიკითხა: არც ერთი მისი კითხვა უპასუხოდ არ დარჩებოდა, თუკი ამ ძვირფას ლექსიკონს შეიძენდა.

რაო? ყველა შეკითხვაზე გაგცემს ეს წიგნი პასუხსო?!

კაცი მიხვდა, რომ ყოვლისმცოდნეობა ყოფილა თურმე ის, რასაც ამდენ ხანს ეძებდა და მალაზიაში შეაბიჯა. თანაც თავის თანასოფლელებზე ფიქრობდა, აგონდებოდა ბუხრის მწმენდელი, რომელიც ძალიან იბლინძებოდა, რადგან მეზობელი სოფლის ბუხრის მწმენდელისგან საოლქო გაზეთს ნათხოვრობდა ხოლმე; ფიქრობდა სადგურის უფროსზე, რომელსაც ზოგჯერ შემთხვევით გაზეთის ნაგლეჯი მაშინ ჩაუვარდებოდა ხოლმე ხელთ, როცა ყასაბი იმით ძებვს შეუხვევდა.

გამყიდველი ძალიან თავაზიანად შეხვდა კაცს, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ეს ძალიან ძვირი წიგნი იყო. სამაგიეროდ ყველაფერი გეცოდინებაო, დაუდასტურა და ჰკითხა, ტყავისყდიანი გირჩევნია თუ ტილოსყდიანიო. კაცმა არ იცოდა, რომელი ერჩია, სამაგიეროდ გამყიდველმა იცოდა და ტყავისყდიანი შეურჩია.

უკან დაბრუნებისას მატარებელშივე ვერ დაიოკა კაცმა ცნობისმოყვარეობა. ქურდულად გახსნა წიგნი და მალულად გადაშალა, თითქოს უწმანურსურათებიან ჟურნალს ათვალთქვებო (შიკრიკს ჰქონდა ასეთი ჟურნალი, ტიტველი ქალების სურათებიანი, შე-

ბინდებისას, სახანძრო რაზმი რომ ვარჯიშს დაამთავრებდა, ხელიდან ხელში გადადიოდა ხოლმე და მთლად დაძინდილიყო). გადაშალა და პირველი სიტყვა, რომელიც თვალში მოხვდა, „გორილა“ გახლდათ, და წაიკითხა, რაც გორილაზე ეწერა წიგნში; სწორედ გორილას ქვემოთ კი ერთ გენერალზე იყო ლაპარაკი, გვარად „გორილმანზე“ და ეს კაცს ძალიან ბუნებრივი და გასაგები ეჩვენა.

სანამ ვინროლიანდაგიან მატარებელში გადაბარგდებოდა, წიგნი გვერდზე გადადო, იჯდა სახენამონთეებული და წინასწარ ტკბებოდა იმის წარმოდგენისას, დუქანში სასხვათაშორისოდ — ვითომცდა აქ არაფერიაო — თავის ცოდნას რომ გადმოაფენდა. გონებაში უკვე ხედავდა, როგორ უცახცახებდა უღვაშები ბუხრის მწმენდელს — ასეთი რამ მხოლოდ მაშინ ემართებოდა, როცა ძალიან კარგი კარტი მოსდიოდა და ამ ამბავს მისი უღვაშები პარტნიორებს აგებინებდნენ.

ყოველივე ისე მოხდა, როგორც კაცი ვარაუდობდა. მისი უზარმაზარი ცოდნა და ერუდიცია სოფელს ეპიდემიასავით მოედო. ბუხრის მწმენდელმა ერთი კიდევ გაიბრძოლა თავისი ღირსების გადასარჩენად: შუბლშეჭმუნული და დაფიქრებული იტყოდა ხოლმე, ამ საქმეში ეშმაკეულის ხელი ურევიაო.

მაგრამ ერთხელ, ღამით, როცა სოფელში თითქმის ყველგან ჩააქრეს შუქი, მანაც იკადრა კაცთან რალაცის საკითხავად მისვლა. მივიდა ჩუმად, მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით — არავინ დამინახოსო!

ეს კაცის დიდი გამარჯვება იყო. მისი სახელი კიდევ უფრო განითქვა და თუმცა მეზობელ სოფელში კვლავ დასცინოდნენ და მის ხსენებაზე შუბლზე საჩ-

ვენებელ თითს იკაკუნებდნენ, ეს ვერაფერს აკლებდა კაცის დიდებას. და მოხდა ის, რაც ასეთ დროს ხდება ხოლმე — როცა სოფელში ერთი ჭკვიანი კაცი მაინც არის, რომელმაც ყველაფერი იცის, მთელ სოფელსაც თავი ისეთივე ჭკვიანი ჰგონია.

ამის გამო სიცილით იჭაჭებოდნენ მეზობელ სოფლებში და ჩვენი სოფლის მცხოვრებთ მოთავებულ გიჟებად და შერეკილებად თვლიდნენ.

ასე გავიდა წლები. ბრძენკაცი მოხუცდა და მის ლექსიკონსაც დაატყო დრომ თავისი ხელი. ამდენი ხმარებისაგან ნელ-ნელა გაცვდა და როცა კაცმა ლექსიკონი თავის შვილს უანდერძა, უკვე მაშინ აკლდა მას რამდენიმე ფურცელი, ვიღაცებს ჩუმად რომ ამოეხიათ, როცა კაცთან ჭკუის საკითხავად მიდიოდნენ. კაცის ვაჟს არ ანალვლებდა ეს ამბავი: რაც ამ წიგნში არ წერია, ის არც არსებობსო, იცოდა თქმა. მამაჩემმა სიკვდილის წინ მითხრა, რაც არსებობს, ყველაფერი ამ წიგნში წერიაო.

როცა ახალმა მფლობელმა წიგნი თავის მხრივ თავის მემკვიდრეს გადაულოცა, ყდა და ნახევარი გვერდილა იყო დარჩენილი. ხალხი კი მაინც მოდიოდა და განმარტებებს თხოულობდა — რა არისო, ვთქვათ, „გიბრალტარი“ ან „დემოკრატია“. აიღებდა შვილიშვილი ლექსიკონის ნარჩენს, ძალიან განსწავლული კაცის იერს მიიღებდა და ეტყოდა შემკითხველს: აი — ხომ ხედავ: გიბრალტარი არ არსებობს, არც დემოკრატია არსებობს. ნახე — აქ გარკვევით წერია: ქსენოფობია*.

* ქსენოფობია — უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის შიში

ამ კრებულის ავტორები

ჰერმენ ჰესე (1877-1962) — დიდი გერმანელი მწერალი (1923 წლიდან შვეიცარიის მოქალაქე), პროზაიკოსი, ლირიკოსი, ესეისტი, ავტორი საქვეყნოდ ცნობილი რომანებისა და მოთხრობებისა: „დემიანი“ (1919; ქართულად 1993), „ზიდჰარტა“ (1922; ქართულად 1998), „ტრამალის მგელი“ (1927; ქართულად 1984), „ნარცისი და გოლდმუნდი“ (1930; ქართულად 2001), „მოხილვა დილის ქვეყნისა“ (1932; ქართულად 1981), „თამაში რიოში მარგალიტებით“ (1943) და სხვ. მიღებული აქვს ბაუერნფელდის (1904), ფონტანეს (1919), ქალაქ ფრანკფურტის გოეთეს (1946), ვილჰელმ რაბანეს (1950), დასავლეთ გერმანიის წიგნით ვაჭრობის სამშვიდობო (1955) პრემიები. 1946 წელს მიანიჭეს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.

ერიხ კესტნერი (1899-1974) — ლირიკოსი და პროზაიკოსი, უპირატესად სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებების ავტორი, ობივატელური მორალის, მილიტარიზმისა და ფაშიზმის უღმობელი კრიტიკოსი, წარმატებული საბავშვო მწერალი. ლაიფციგში, როსტოკში, ბერლინში სწავლობდა გერმანულ ლიტერატურას, ისტორიას, ფილოსოფიას. 30-იან წლებში ორჯერ დააპატიმრეს ფაშისტებმა. გამოცემული აქვს სატირულ-იუმორისტული ლექსების კრებულები „ხმაური სარკეში“ (1929), „კაცი იძლევა ცნობას“ (1930), რომანი „ფაბიანი“ (1931) და სხვ. 1957 წელს მიენიჭა გეორგ ბიუხნერის, ხოლო 1961 წელს ჰანს ქრისტიან ანდერსენის პრემია.

ზიგფრიდ ლენცი (დ. 1926) — პროზაიკოსი, დრამატურგი. ჰამბურგში სწავლობდა ფილოსოფიას, ანგლისტიკასა და ლიტერატურის ისტორიას. 1951 წელს გამოსცა პირველი რომანი „ქორები ჰაერში“. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „გერმანულის გაკვეთილი“ (1969; ქართულად 1978). 1955 წელს გამოვიდა ზ. ლენცის გროტესკული ნოველების კრებული „რა კარგი იყო ზულაიკენი“, რომელშიც სიყვარულით მოგვითხრობს თავისი მშობლიური კუთხის, მაზურენის, შესახებ (ეს კრებული ჩვენს გამოცემაში წარმოდგენილი ნოველით იხსნება). მიღებული აქვს რენე შიკელეს (1952), გერჰარტ ჰაუპტმანის (1961), ქალაქ ბრემენის ლიტერატურული პრემიები (1961), გერმანიის წიგნით ვაჭრობის სამშვიდობო პრემია (1988).

ჰაინრიხ ბიოლი (1917-1985) — პროზაიკოსი, ესეისტი, რადიო და ტელევიზიების ავტორი, მთარგმნელი. ექვსი წელი იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში როგორც ჯარისკაცი. ამერიკული ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ სწავლობდა გერმანისტიკას, მუშაობდა დამხმარე მუშად თავისი ძმის სადურგლო სახელოსნოში, სტატიისტიკური სამსახურის თანამშრომლად კიოლნში. ავტორი რომანებისა და მოთხრობებისა: „და არ უთქვამს არც ერთი სატყვა“ (1953; ქართულად 1964), „უკაცო სახლი“ (1954; ქართულად 1984), „ბილიარდი ათის ნახევარზე“ (1959), „კლოუნის თვალთხედვა“ (1963; ქართულად 1986), „როცა ომი დაიწყო“ (1962; ქართულად 1968), „როცა ომი დამთავრდა“ (1962; ქართულად 1968) და სხვ. მიღებული აქვს „ფგუფ-47“-ის (1951), რენე შიკელეს (1952), სამხრეთ გერმანიის პროზაიკოსთა და კრიტიკოსთა (1953), „ტრიბიუნ დე პარი“-ს (1954), ედუარდ ფონ დერ ჰაიდტის (1959), ნორდრაინ-ვესტფალენის მხარის (1959), ქალაქ კიოლნის (1961), გეორგ ბიუხნერის (1967) პრემიები. 1972 წელს მიანიჭეს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.

პეტერ ბიქსელი (დ. 1935) — შვეიცარიელი მწერალი. საერთაშორისო აღიარება მოუტანა 1964 წელს გამოცემულმა კრებულმა „ისე კი, ქალბატონ ბლუმს მერძევე კაცის გაცნობა უნდოდა“, რომელიც 21 მცირე მოთხრობას შეიცავს. 1969 წელს გამოსცა ნიგნი „საბავშვო ისტორიები“, რომელშიც შესულია ამ კრებულში წარმოდგენილი მოთხრობები. სამოციანი წლების ბოლოდან უმთავრესად პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწევა. მიღებული აქვს „ჯგუფ-47“-ის პრემია რომანისთვის „წელიწადის დრონი“ (1967) და გერმანული ახალგაზრდული ნიგნის პრემია (1970).

ვალტერ ქაუერი (1935-1987) — შვეიცარიელი მწერალი, სწავლობდა ბერლინში, მუშაობდა ჟურნალისტად და ნიგნის გამყიდველად. ავტორი ნიგნებისა: „მწვანე ნაკადი და შავი მინა“ (1963), „კოლოფის სივრცე“ (1974), „მალვიძარას წკრიალი“ (1981).

შინაარსი

მკითხველისადმი.....3

პირმან კესა

ევროპელი (თარგმნა გიორგი ბრეგაძემ).....5

დოქტორ კნიოლგეს აღსასრული (თარგმანი მისივე)..... 16

კაცი, გვარად ციგლერი (თარგმნა ლევან ბრეგაძემ)....26

საუბარი ლუმელთან (თარგმანი მისივე)34

ქალაქი (თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ).....36

მეფე იუ (თარგმანი მისივე).....45

ერის კესტნერი

ზღაპარი გონიერებაზე (თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ)...54

ზღაპარი ბედნიერებაზე (თარგმანი მისივე).....58

ზიგფრიდ ლენცი

კითხვის ჭინკა (თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ).....63

ჰაინრიხ ბიოლი

რალაც მოხდება (თარგმნა გიორგი ბრეგაძემ).....71

ანეკდოტი შრომითი ენთუზიაზმის დასაცხრობად
(თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ).....78

პეტარ ბიქსელი

ამერიკა არ არსებობს (თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ)...83	
ჯოდოკი სალამს გითვლით (თარგმანი მისივე).....92	
კაცი, რომელსაც აღარაფრის ცოდნა აღარ სურდა (თარგმანი მისივე).....97	
კაცი, რომელიც მეხსიერებას არ უჩიოდა (თარგმანი მისივე).....103	
მაგიდა მაგიდაა (თარგმანი მისივე).....108	

ვალტერ ქაუერი

მეთევზე (თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ).....114	
ლექსიკონიანი კაცი (თარგმნა ლევან ბრეგაძემ).....117	
ამ კრებულის ავტორები.....123	

დაკაბადონება
თენგიზ რობიტაშვილი

გარეკანსა და ტიტულზე
გამოყენებულია
ფრანც კაფკას
ნახატები